

652
1988

ISSN 0134 3459

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԶԵՆԻՏ

ՀԱՅԱՍՏԱՆ



1988 3

ქოჩოსი

განმცემის

განმცემის
განმცემის

30-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს მშობლიურ კავშირისა და ახალის განმცემის ორგანო

რა მშენებელი ზღა გვაქვს, აქარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

3

1988

მაისი
ივნისი



გატეხი

შ ი ნ ა ა რ ს ი

„ჭორობი“ 30 წლისაა 3

კოეზია, კროზა

ჯემალ ჯაყელი — ახალი წიგნიდან
(ლექსები) 7

ალექსანდრე ხამსონია — დრამა-
ტურგების ქალაქი (მოთხრობა,
გაგრძელება) 15

ემენ დავითაძე — წიგნიდან „სიყვა-
რული“ (ლექსები) 49

ასკლი თარგმანები

იაშარ ქემალი — ჩექირჯალი ახმედ
ეფე (რომანის ერთი თავი, თურ-
ქულიდან თარგმნა იბრაიმ გორა-
ძემ) 55

დაბრუნებული სახელები

გრიგოლ რობაქიძე — ევლოპილი 59

ვიზონებათა უზრცულები

ლილი წიქოვანი — „არ ვიცი, ბა-
ტონო“ 61

ახალის შურონალ-გაზეთების განმცემლობა

საგზაო ჩანაწერები

ამირან თურქია — სუეცის აღმოსა-
ვლეთით

67

ნ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

აუთანდილ დიასპიძე — ეასო გო-
ძიაშვილის გახსენება

76

ღადო შარაშიძე — რუსი მხატვრის
ქართული სამყარო

80

კვალი ნათელი

რამაზ სურსანიძე — წერილები
შავშეთიდან

82

ფერილავი

შამშე მეგრელიძე — ახალი ცნობა
შერიუ ხიმშიაშვილზე
გასულ ორ თვეში

91

93

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია
საქმური

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩყალიძე,
ჯუზუა ბორბილაძე,
მამია ვარსანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

ზოთა ზოიძე,
დავით თმდორაძე,
ჯამალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯამალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 24. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 11.4.88. ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 21.4.88, საგა-
მომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის
№ 1010, გვ 01648, ქაღალდის ზომა
60x90¹/₁₆, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Горького, 91

გარეკანის 1-ლ გვერდზე — რეპრო-
დუქცია იური მარტინოვის ნახატისა
„ნავსადგური“.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

ამ ოციოდე წლის წინათ, 1958 წლის გაზაფხულის დამდეგს, მეით-
ხველებმა მიიღეს ჩვენი ჟურნალის — „ლიტერატურული აჭარის“ (ახლა-
ნდელი „ჭოროხის“) პირველი ნომერი. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მო-
ვლენა არა მარტო აჭარის, არამედ სრულიად საქართველოს ლიტერატუ-
რულ ცხოვრებაში.

ახალი ქართული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-
პოლიტიკური ჟურნალის გამოსვლას მხურვალედ მიესალმნენ ჩვენი შემო-
ქმედებითი ინტელიგენციის უთვალსაზიროესი წარმომადგენლები — სოსებ
გრიშაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე,
გერონტი ქიქოძე, დემანა შენგელაია, ალექსი მაჭავარიანი, ვახტანგ ჭელი-
ძე, გრივოლ აბაშიძე. დიდ სიხარულთან ერთად თავიანთ მისალმებებში
მათ ბევრი კეთილი სურვილიც გამოთქვეს და გზა დაულოცეს ახალ ჟურ-
ნალს. „დაე, მან მადლა დაიჭიროს გონებრივი ლამპარი, რომლის ჩაქრო-
ბას ჩვენი სამშობლოს სამხრეთ მოსაზღვრე პროვინციებში ჩვენი მტრები
ამოდ ცდილობდნენ რამდენიმე საუკუნის მანძილზე“, — წერდა თავის მი-
სალმებაში ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე
გერონტი ქიქოძე.

ახალი ჟურნალის დაბადებას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდ-
ნენ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი აკვანი დაირწა მრავალტან-
ჯულ აჭარაში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ძალით მოწყვდიტეს დედა-
საქართველოს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში აჭარის დიდ
მეგობარს საქართველოს სახალხო პოეტს გიორგი ლეონიძეს, როდესაც
წერდა: „აღტაცებით მივესალმები „ლიტერატურული აჭარის“ გამოსვლას,
ამგვარი ჟურნალი აჭარაში ოცნება იყო, მაგრამ აუსრულებელი“.

ამ დიდი ხნის აუხრულებელ ოცნებას ხორცი შეესხა მხოლოდ ერ-
თიან ქართულ ოჯახში აჭარის დაბრუნების შემდეგ, როცა იგი აღორძი-
ნების გზას დაადგა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირფესვი-
ნად იცვალა სახე დიად სოციალისტურ გარდაქმნათა შეონებით. განსაკუ-
თრებით თვალსაზირო ძვრები მოხდა ლიტერატურის განვითარებაში, ლი-
ტერატურისა, რომელიც, ოციან წლებში გამოძეაღ ჟურნალ „აჭარისტა-
ნის“ სიტყვით, ყველაზე ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი აჭარის მკვიდრ-
თათვის. აი რას წერდა ამის თაობაზე გრივოლ აბაშიძე: „ახალი ჟურნა-
ლის „ლიტერატურული აჭარის“ დაარსება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა
ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ეს ფაქტი მოწმობს არა
მარტო კომუნისტური პარტიის მუდმივ ზრუნვას ჩვენი ლიტერატურის აყ-

ვაეებისათვის, არამედ მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს საქართველოს კულტურის ძველი კერის — აჭარის იმ დიდ კულტურულ აღორძინებაზე, რომელსაც მან ჩვენს დროში მიაღწია“.

თუ არა ეს აღორძინება, ქართველ მწერალთა დიდი რაზმის შექმნა აჭარაში, ახალი ჟურნალიც გაიზიარებდა ოციან წლებში გამოშვებულ „განდელის“, „ისპირისა“ და სხვათა ბედს, რომლებიც ერთი-ორი ნომრის გამოხვლის შემდეგ არსებობას წვევტდნენ, „ჭოროხი“ კი აკერ უკვე ოცდაათი წელია რეგულარულად გამოდის. მასმასაღამე, მისი დაარსება არათუ სასურველი, აუცილებელიც გახდა. ამ ფაქტს გაუხეა ხაზი თავის მისაღმებაში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვერნიკო ანჯაფარიძემ. „ლიტერატურა, ხელოვნება აჭარაში უკვე იმდენად განვითარდა და ისეთ სიმამლემდე ავიდა, — შენიშნავდა იგი, — რომ მისი გაშუქება და უფრო ვრცელი და ღრმა ასახვა აუცილებელია“.


ასეც იყო და ჟურნალის რედაქციამ თავიდანვე სწორად განსაზღვრა თავისი უპირველესი საზრუნავი, რომელიც მოწინავე სტატიამში ასე ჩამოაყალიბა:

„ჩვენი ჟურნალის საბრძოლო ამოცანაა ხელი შეუწყოს ჩვენს რესპუბლიკაში ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ მძლავრ აღმავლობას, შემოიკრიბოს და აღზარდოს ნიჭიერი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა ახალი კადრები. ჟურნალის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები.“

ჟურნალი ხაფუძვლიანად ასახავს აჭარის ისტორიას და მის ბედნიერ დღევანდლობას. იგი ფეხდაფეხ გაჰყვება ჩვენს დიად თანამედროვეობას და ფეხდაფეხს გააკეთებს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ იდეოლოგიური მუშაობის დარგში დასახული ამოცანების ღირსეულად განსორციელებისათვის“.

უკვე ჟურნალის პირველხავე ნომერმა ცხადყო, რომ ეს დაპირება არ ყოფილა ლიტონი დეკლარაცია.

მომდევნო ნომრებსა და წლებშიც „ჭოროხი“ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას, ასახავდა ჩვენს დღევანდლობასა და წარსულს, აღძრავდა ზაჭირბოროტო პრობლემებს. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ რედაქციამ თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო უკვე ცნობილი, არამედ ახალგაზრდა ნიჭიერი ლიტერატორები, რომლებიც დღეს ტონს აძლევენ ჩვენს ლიტერატურას. მის ფურცლებზე პათუმელი მწერლების ნაწარმოებებთან ერთად, იბეჭდებოდა თბილისელი, ქუთაისელი, სოხუმელი მწერლების მოთხრობები, ლექსები თუ ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები. კერძოდ, ბოლო დროს მან გამოაქვეყნა ჭ. ამირეჯიბის, რ. ინანიშვილის, ლ. ხანიკიძის, ჯ. ჩარკვიანის, მ. ფოცნიშვილის, რ. თვარაძის, რ. სტურუასა და სხვათა ნაწარმოებები. ეს კი იმის დასტურია, რომ „ჭო-



როსი“ არ იფარგლება ეთნიკური ჩარჩოებით და იგი საერთო ქართული
ლიტერატურული ორგანოა.

როდესაც „ჭოროხის“ განვლილ გზას ვაელებთ თვალს, გვერდს ვერ
ავუვლით იმ არასასიამოვნო ფაქტს, რომ „უკონფლიქტობის“ თეორიამ
და ე. წ. „აკრძალული თემების“ მოძალეობამ უძრავობის პერიოდში თავისი
ურყოფითი დაღი დააჩნია ჩვენს ჟურნალსაც. მომძლავრდა კონიუნქტუ-
რული, სინამდვილის ცალმხრივად აშხახველი ნაწარმოებები, გავრცელდა
პარადული წერამრავლობა, ცხოვრების გარდაქმნილი და ახლის დამამ-
კიდრებელი გმირის ადგილი ფაქტობრივად დაიკავა უზერზემო „საშუა-
ლო“ ადამიანმა, რომელიც საკუთარ ღატაკ სულიერ სამყაროში იქექებო-
და. ამგვარი მხატვრული ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, ვერ სწვდებოდა
მკითხველის სულსა და გულს, ყალბ წარმოდგენას უქმნიდა როგორც თა-
ნამედროვეობაზე, ისე ჩვენს ახლო წარსულზე. ლიტერატურულმა კრი-
ტიკამაც დაკარგა მებრძოლი სულისკვეთება და გახდა ცალკეული, უპირ-
ველეს ყოვლიზა, ჩინიანი მწერლების პატივმოყვარეობისა და ამბიციების
დაკმაყოფილების საშუალება. ამ ნეგატიური მოვლენების სრული დაძლევა
„ჭოროხის“ ერთი უმოთხრესი საბრძოლო ამოცანაა.

გარდაქმნისა და დაჩქარების კურსმა, რომელიც სკკპ XXVII ყრილო-
ბამ შეიმუშავა, ისე, როგორც ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალე-
ბებს, ახალი დიდი და საპატიო ამოცანები დაუსახა „ჭოროხსაც“. მან უა-
ღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პარტიის ახალი სტრატე-
გიული გეზის განხორციელებაში, ყოველნაირად შეუწყოს ხელი ადამი-
ანის სოციალურ გააქტიურებას, მის სულიერ გამდიდრებასა და ზნეობრივ
განხვეტაკება-ამაღლებას. განახლების პროცესი მოითხოვს იდეურ, ე. ი.
მაღალი ზნეობის ადამიანებს, რომლებიც არა სიტყვით, არამედ პრაქტი-
კული საქმეებით ცხადყოფენ კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებას,
მთელ ძალისხმევას ახმარენ ზალხის წინაშე მდგომი ამოცანების რეალი-
ზაციას. „სოციალიზმი, — თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII
ყრილობაზე, — მაღალი ზნეობის საზოგადოებაა. ვერ იქნები იდეური ადა-
მიანი, თუ არა ზარ პატიოსანი, ნამუსიანი, წესიერი, საკუთარი თავისად-
მი მომთხოვნი“. ამ გარემოებას რომ ითვალისწინებს, „ჭოროხი“ საგან-
გებო ყურადღებას უთმობს ადამიანს, მის სულიერ სამყაროს, ზნეობრივ
სახეს, რეგულარულად აღძრავს ეთიკის პრობლემებს და ცდილობს თავი-
სი წვლილი შეიტანოს თითოეულის ფსიქოლოგიურ გადახალისებაში, ადა-
მიანში ჭეშმარიტად ადამიანურის განვითარებაში.

საჯაროობა, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნორმა გახ-
და, ე. წ. „აკრძალული თემების“ გაუქმება შესაძლებლობას აძლევს შე-
მოქმედს სინამდვილე ასახოს ისე, როგორც არის, შეუღამაზებლად და
გაუშუქებლად, თქვას სრული სიმართლე, რაც ჰაერივით გვჭირდება დღეს.



ცხოვრება რთულია, კეთილი და ბოროტი, პოზიტიური და ნეგატიური გვერდიგვერდ არიან და მწერალი ღრმად, ყოველმხრივ უნდა გაერკვეს მიმდინარე მოვლენათა არსში, არა მარტო წარმოაჩინოს ისინი, არამედ გვიჩვენოს მათი განვითარების ტენდენცია. რა თქმა უნდა, უარყოფითის, ყოველგვარი დრომოჭმულის მხილება და დაგმობა საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დადებითი, ის ახალი, რომელიც გარდაქმნის პროცესში იბადება, პატიოსანი, სულით ძლიერი ადამიანები, რომლებსაც ძალა შესწევთ ასწიონ დროის ტვირთი.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვლილ გზასა და მათს თანამედროვე ამოცანებზე რომ ლაპარაკობდა, ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა: „როდესაც დროის, მეტადრე გარდამტეხი დროის გააზრების საზოგადოებრივი მოთხოვნილება ჩნდება, იგი ყოველთვის შობს ხოლმე ადამიანებს, რომლებისთვისაც ეს შინაგან მოთხოვნილებად იქცევა. ასეთ დროში ვცხოვრობთ ჩვენ ახლა, არც პარტიას, არც ხალხს არ სჭირდება პარადული წერამრავლობა და წერილმანი ყოფაქცეობა, კონიუნქტურულობა და საქმოსნობა. საზოგადოება მწერლისაგან მოვლის მხატვრულ აღმოჩენებს, ცხოვრებისეულ სიმართლეს, რომელიც მუდამ იყო ნამდვილი ხელოვნების არსი“.

ჩვენი ჟურნალი ყველაფერს იღონებს, რათა წარმოაჩინოს სწორედ ასეთი ადამიანები, გარდაქმნის, საზოგადოების განახლების ავანგარდში რომ მიდიან და სხევებს იდეური ცხოვრების მაგალითს აძლევენ, მეტადილს დაუთმობს მეტობოლ თეორიულ ჟანრებს — მხატვრულ ნარკვევსა და პუბლიცისტიკას, შეიცდება გააქტიუროს ლიტერატურული კრიტიკა, რათა მან დაჩქარებით დაძლიოს გულარსიანობა და ჩინებოთანება.

გარდაქმნა ყველასა და თითოეულის ღვიძლი საქმეა. ჩვენმა ჟურნალმა რომ წარმატებით შეასრულოს ახალი ამოცანები, უვხდაყვს მიჰყვეს ცხოვრებას, საჭიროა მას, როგორც ყოველთვის, დღეს კი განსაკუთრებით, მხარში ამოუდგნენ მწერლები, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია, შექმნან სრული სიმართლით გამორჩეული მაღალიდეური, დღევანდლობისა თუ ახლო წარსულის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც დაიპყრობენ მკითხველთა სულსა და გულს.

აჭარის მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა უკვე შექმნეს დროის სულისკვეთებით განმსჭვალული არაერთი მხატვრული ნაწარმოები და ეჭვი არ გვეპარება, ისინი კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებენ „ჭოროხში“, პრაქტიკულად დაეხმარებიან რედაქციას მთელი თავისი საქმიანობის ძირფესვიანად გარდაქმნაში.

ამ იმედით, ამ რწმენით იწყებს ჩვენი ჟურნალი თავისი არსებობის მეოთხე ათეულ წელს.

ახალი წიგნიდან

ჯემალ ჯაფელი — პოეტს, პროზაიკოსს, მეკლევარს, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს — დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

„ჭოროხის“ მკითხველთა სახელით უულოცავთ ჯ. ჯაფელს ამ თარიღს და ვბეჭდავთ მის ახალ ლექსებს.

გზაჯვარედინი

რომ არა ქვეყნად გზაჯვარედინი,
პატარძლისა და ნეფის მაყარი,
არ იქნებოდა გზათშესაყარი,
არ იქნებოდა გზათგასაყარი.
არ იქნებოდა განალღები
მექორწილე და მახარობელი,
არც მოწყალების ვინმე გამღები,
არც საფინხო და ამბის მთხრობელი.
რომ არა ქვეყნად გზაჯვარედინი,
ძმობა და ნდობა არ იქნებოდა.
გზა ყველა კუთხით დაიბნეოდა,
გზა ერთი კუთხით გაიგნებოდა.
ვინ მოიღებდა ნდობის აკიდოს,
შემოდგებოდა გამტან ქედით?!
თუ მოღალატე სადმე დაკიდეს,
ეს იყო მხოლოდ გზაჯვარედინი.
ეს იყო მხოლოდ სიტყვა სადიდო,
მოფართქალება გულზე გედევით.
თუკი ვაჟკაცი სადმე ადიდეს,
ეს იყო მხოლოდ გზაჯვარედინი.
არ მიწყენინოთ ადგილის სული,
გზები ნაჭდობი მიწაზე ჯვარად.
ედინოს მასზე სიკეთის სურვილს
და დიდ მშვიდობას მარადის მარად.

მე ახლა ვდგავარ გზაჯვარედინზე,
რომ ბედის ჩიტებს გაეუღო კარი,
რომ საქართველოს, მას დიდების მზეს
და მას მომავალს ეწეროს ჯვარი!

* * *

თავისუფალი ვარ, როგორც ქარი
და არ მედება თვალებზე რული.
ვისაც სჭირდება, — ჰა, ჩემი ქნარი,
ვისაც სჭირდება, — ჰა, ჩემი გული.
მოუსყიდველი, როგორაც ქარი,
ზურმუხტის ტევრებს შრიალით ვუვლი.
ჩემია შთა და ჩემია ბარი
და ეულკანების ელვარე სული.
ეს — მე ავინთე, ძვირფასო, კვარი,
როგორც ნათელი სახმარში თქმული.
თავისუფალი ვარ, როგორც ქარი
და არ მედება თვალებზე რული.
წარსულში სუფთა,
აწმყადშიც სუფთა
და მომავალშიც — სუფთა მხარული..
მე მივიტანე სულთან და გულთან
ყველა ტკივილი და სიხარული.
თავისუფალი ვარ, როგორც ქარი
და არას ენაღვლობ, რა ითქვა ჩემზე.
ვისაც სჭირდება, — ჰა, ჩემი ქნარი,
მას კანაცვალეზ გულსა და ჩემს მზეს!

* * *

მე —
ხევდიანი აედი, ანდა
კომედიანტი მოხეტიალე —
დაუქანცავი ცისიერ ლანდად
ღმერთის სულივით ხალხში ვტრიალებ...
და მზის იმედი თითებში ფეთქავს
და ცისფერ ქარში ნისლი ბანცალებს.

თუ დამავიწყდა, რაც უნდა შეთქვა,
 შენ შემახსენე, შენ გენაცვალე.
 ნებაზე ქროლვას ნაზი სანთელი,
 ვნებანი თვალთა ფერებს ვაცალე-
 თუ დავავიწყდა შენი სათქმელი,
 მე შეგახსენებ, შენ გენაცვალე.
 მე შეგახსენებ, ზოგჯერ ქუხილი
 როგორ გეხლება გულზე ჯერებად.
 არაფრად გიღირს სხვისი ტყუილი,
 მაგრამ არ ძალგიძს არდაჯერება...
 ცრემლებში ქროლვას ნაზი სანთელი,
 ვნებანი თვალთა დუმილს ვაცალე.
 თუ დამავიწყდა ჩემი სათქმელი,
 შენ შემახსენე, შენ გენაცვალე.

ფ რ ა გ ე ნ ე ტ ი

ეს მართალია, წლებმა მიწია,
 მაგრამ იმედი ჩემი ზვედრია.
 ყველა პასუხი არ გამიცია,
 ცხოვრების გზებზე რაც შემხედრია: —
 ვის საფლავს ვიცავ ძველთა ძეგლებიანს,
 ვის რატომ ვაჭრი ხელებს ცოდვიანს,
 მიტომ კი არა, — არ შემძლებია,
 მიტომ კი არა, — არა მცოდნია,
 მიტომ კი არა, — რა მეჩქარება,
 ყველა პასუხი არ გამიცია.
 ჩემი ცხოვრება და მჩქეფარება
 ძახილია და ერთი ფიცია,
 რომ გაპოვნისო ღიმილი იგი,
 რაც გქონია და არცა გქონია.
 გადავიშალო ცხოვრების წიგნი,
 ოდეს რომ ზღაპრად გაგიგონია,
 შეგაკონინო ციაგი მზეზე,
 ქროლვით შეგიძკო ფრთა სანთელი.
 გამოგიყვანო იმედის გზებზე
 და დავავიწყო ყველა სიავე.

როცა სენაკში სინათლეს ვიქრობ
და დიდ სიჩუმეს წკარუნით ვფანტავ,
მე მაშინ ვწერ და მე მაშინ ვფიქრობ,
მე მაშინ ვფიქრობ და მაშინ ვხატავ.
ცისკარს ამოსდევს სზივსა და ფერში
ის რაიც ჩემში ქროლაჲდა გუშინ.
ჩემს ნახატს უმზერ,
გჯერა და გესმის,
ლექსებს კითხულობ და მიმზერ სულში.
მთავარი არის მე რასაც ვფიქრობ
და არა იგი, რასაც ვერ ვხატავ.
არა და
როგორ დავხატავ დიდგორს,
ქცეულს სალოცავ საბრძოლო ხატად.
როგორ დავხატავ კრწანისის წვიმას
ანდა ასპინძის სანახებს ქვიანს.
როგორ დავხატავ ყველაფერ იმას,
რასაც სამშობლოს დიდება პქეია!
და ამიტომაც სიამეს ვიქრობ,
სიჩუმეს გულის წკარუნით ვფანტავ.
რომ დავხატავდი, — მე რასაც ვფიქრობ,
მიწას ვაქცევდი სალოცავ ხატად.

* * *

რა განათებს, გულო, სიკეთედ და ნებად,
რა განათებს ასე სინატიფის ხატით.
რა გაძაღლებს ასე, როგორც ქებათ-ქება,
რა განატრებს ასე სიყვარულია ნატვრით.
სად პოულობ ამდენ ტირიფების შრიადს,
სად პოულობ ვაჟის ცრემლის სიკისკასეს.
ოცნებასი ცისფერ კარებს როცა შლიან,
შუქით უნაზესით თვალებს როგორ ავსებ.
როგორ უძლებ, გულო, მძულვარების მტვერთა,
როგორ ითმენ ამდენ გაწამების წიბოს.
კიდევ რამდენს გაძლებ, გულო, ჩემთან ერთად,

კიდევ რამდენს გაძლებს შენი ჟინის ღიბო.
მაპატიე, გულო, ანთებულ ელვად,
სახეღველთა ბრმათა გახელა რომ სცადა.
იქნებ ზღვაი იგი სულ არ ღირდეს ღელვად,
იქნებ ღელვა იგი სულ არ ღირდეს ზღვად.
მაგრამ მაინც დაჰქრის ქარი, ქარი, ქარი...
ქარი იგი სული მიქანცული ფოთლის,
ვიდრე რეკავს ზარი, ვიდრე ფეთქავს ზვარი,
უსუფთესი არი სიყვარული ობლსი.
რა განათებს სულს, სიკეთედ და ნებად,
რა განაზებს, რაა, განგება თუ ზენა.
რად გაცხუნებს ასე ერთი ციცქნა ქება,
რად გეჭდობა ასე ერთი ციცქნა წყენა?!

საწუხარ არს ზრიალ

ყველა ჭანგის და ზორთუმის,
ძერათზმანების ავის,
ტაკიმასხარად მორთულის,
ფერით და სულით შავის,
უღრანესი ტყეების,
მწარე ცოდვებით სავსე,
ყოვლად მახინჯი ხეების
ჩრდილები მხედება გზაზე.
კორომთა განაძეგების,
გადაბლანდულის ვაზებს,
ყოვლად უჯიშო ხეების
ჩრდილები მხედება გზაზე.
ვაი მათ, ჩრდილთა, ღარდიანთ,
უჯიშოთა და მწართა,
საჭარიჭუროდ დადიან
უზენაესის კართან...
ნეტავი, მაინც კეთილთა, —
აღვის, მიმოზის, შინდის, —
სიკეთედ ამოსვეტილთა
დამეცემოდეს ბინდი...

კორომების და ტყეების
შემარცხენელთა ასე,
ყოვლად მახინჯი ხეების
ჩრდილები მხედება გზაზე!

ოვი მხეცავთან

ომია.
მფარავს ნათელი ზეცის,
ვმუსრე მომხედური,
ვიფარე ფარი.
ჭერეხად დაედგი ათასი მხეცი,
თითო მათგანი — ვეფხეების დარი.
ძერე დავთვალე დაყრილი
ფერხთით,
ღრენით რომ ღიბო მიმტყრიეს
გუშინ.
დახოცილთაგან აღმოჩნდა ერთი
გაქცეული და დაჭრილი ზურგში.
ზურგში დაჭრილი ათასში ერთი...
და მითხრეს, ზდება ასეთი რამო.

მე კი, მოწამე ბრძანდება ღმერთი,
შემჰაგდა იგი ღაჩრობის გამო.
შერე ღაჲმარხე ყველა პატივით,
როგორც მარხავდა ვმირებს
ელადა.

და იგი ერთი დამხრჩვალ პატივით
ყვავებს მიუზღვე საჯიჯგნელადა.
ასეა, ფერსო მიეგოს ფერი,
ასეა, კვალსო მიეგოს კვალი.
ღმერთო, მომეცი ჭკვიანი მტერი
და არა ვინმე ღირწი და მხდალი!

* * *

ბიყ-მოეთის ამდენის ჩუმის
და მოგუდული ქუხილის შერე
როგორ ჩაჲიქრო იგი სამუმი,
როგორ მოუუხმო სინაზის ფერებს.
ვით ვაპატიო იების ქელვა
და კეერის თრევა ყვაჲილთა ზედა,
სინატიფე და სინაზის ელვა
როგორ დაუდგა სინათლის
სვეტად?!

ვით ვაპატიო?!

ახლა და ახლა
უფრო ტრიალებს იგი ეკალი,
მაგრამ...

მწვერვლებს ავხედავ მაღლა
და ეხედავ,
მიხმობს ჩემი მწეკარი!

და მე მივიწვევ აღმა და აღმა,
ფეხქვეშ სწორდება ბილიკი
ვიწრო.

ფრთები შემაბა გრიგალმა
ლაღმა, —

მწვერვლებზეო იფრინო ვისძლო!

დრო არ გვეოფნის



ჩქარობ, ჩქარობ, ისევ ჩქარობ,
გსურს, მოასწრო ყველაფერი.
ჩქარობს ჩქერი, ჩქარობს ქარი,
ჩქარობს გენი შენი ერის.
გული მისდევს ხულის სწრაფვას,
ხელი მისდევს გულის ნებას
და სწრაფვათა ნაპერწკლები
ყველა გრძნობას ეფინება.
და ამიტომ და ამიტომ
უკმარობა სულში ბოლავს.
დრო არ გვეოფნის?

ვაი, თვითონ
ჩვენ არ ეოფნით დროის
სრბოლას!

* * *

სიერცე სავსეა საოცარ სიზმრით,
მირაჟი ფანჯრის ფერებს არიგებს.
ციდან კენჭივით ვარსკვლავებს
ისერის

გაჯავრებული წესრიგგამრიგე.
ჰეი, ძვირფასო, ფხიზელი თავით
კარგად გასინჯე სიმართლე
წუთით,

თორემ ცდუნებულ მელიასავით
დაგეკარგება ფუშფულა კული!

* * *

აქ ღაიმცრობა ზურმუხტის უბე,
აქ დაქანდება ზურმუხტის ფერდი,
ღაინამება ცრემლებით უბე,
გაკრთება სხივი, ნათელს რომ
ფენდი.

დაქროლავს ქარი და დაიწყება
სევედის ზმანება და ფოთოლცვენა.
გატაცებას და თავდავიწყებას
ურჩი სიღინჯით გაიწვევს ზენა,
გაიცრიცება ბედურის ბუდე,
ცა გაიტაცებს ფიფქა წეროებს,
სარკე ნათელი და სარკე მრუდე
გადააქანებს ხის კენწეროებს.
არ დამიღონდე ჩემო თოლიგე,
შემოდგომას მზე ნათელს იმეტებს,
მე, ვინც ძერებთან ომი მოვიგე,
მე გადავირჩენ ლამაზ იმედებს.

* * *

შენს ქვემოთ, ცივო ლეგო
ღრუბელს,
დასალიერის ფიცად წასულს,
როგორც ცისფერი ცხენი უბელო,
გაჭენებულა ზღვა უსასრულო,
გადასწეწია მქისე ფაფარი
და შუბლზე მირონს გრიგაფი
აეცლის,
უკვდავო არის, როგორც ზღაპარი
მისი თავგერძა მხედარი მკაცრი.
სიამაფეა ჭენება მისი,
სილამაზე და ცისფერი ბედი.
ამ საოცრების ვინცა ხართ ღირსი,
თითო გერგებათ მირონის წვეთი.
შენს ქვემოთ, ცივო ლეგო
ღრუბელს,
დასალიერის ფიცად წასულს,
ჩემი ცისფერი ცხენი უბელო, —
აწვევტილია ზღვა უსასრულო.

* * *

ნაზი პლაჟები სილად წასული
მდუმარებს, როგორც ლანდი
ეული.
ზღვასთან მოვიდა თეთრი ასული,
თეთრი ზღაპრიდან გამოწვეული.
ღილა შეიხსნა ნაზი თითოებით
და გადაიძრო ჩუმი ყვერები
და გამიცოცხლა ძველი მითები —
თრობა ცისფერი ბედნიერებით.
ტორტმანებს პლაჟი სილად
წასული,

მზეზე ანთია თვალი კეთილი,
ზღვას გადაჰყურებს თეთრი
ასული,
ღვთაების ხელით გამოკვეთილი.
ზღვას გადაჰყურებს ლანდი
მინაში,

უნატიფესი ლანდი, არა და
ასე მგონია, ზღვამ მის წინაშე
დაიჩოქა და დააბატარავდა.

* * *

აპრილი შიშველ ტოტებზე
ზრუნავს,
ტოტები ხელებს ითბობენ მზეზე-
ფიქრები შენზე ნისლივით
ბრუნავს, —
დაუწერელი ჩურჩული შენზე.
სიცოცხლე ჩემი ცისფერი რტოა
და თუ დაქანცეს იგი ქარებმა,
შენგან სურნელის ლანჩერი მოვა,
როგორც იმედი და აჩქამება.

ფიქრთა უდაბნოს ანაზღეულად
 მოაწყდებიან ოაზისები
 და მე, შთენილი ქარში ეულად,
 მოულოდნელად შენით ვივსები.
 კეთილი იყოს ეს ზურმუხტები,
 ღვთის საოცრებად შენათვისები.
 იისფერ თაღებს ისე უხდები,
 როგორც უდაბნოს — ოაზისები.

* * *

ჯიხვთა ბოტების დრო იყო,
 თვალდათვალ დანახულობის.

გამოღვიძების დრო იყო,
 სულშიგა გაზაფხულობის.
 ჯიხვთა ბუბუნის დრო იყო,
 ხვაშიად-განზრახულობის,
 ყამირის ტეხვის დრო იყო,
 ნასვენის გადახულობის.
 შენი ლოდინის დრო იყო —
 ნაზამთრალ-ნამარხულობის.
 წამოგეწიე ქარივით
 კვალზე დაწვეით უკმართა.
 დაგეწიე და გაგიგდე
 ზედ უნავირზე ნუგრადა.
 ჭენება გაზაფხულისა
 არ უნდა დაშვრეს უქმადა...
 ისე მშოილი, ღმერთმანი,
 მზე არ მყოფნიდა ლუკმადა.



დრამატურგიის ქალაქი

ერთი საღამო დრამატურგების ქალაქის თეატრში

როგორც პატივცემულმა მკითხველებმა უკვე იციან, სამსონ ალავეძე ასიათასიანი ქალაქის მეხუთე დრამატურგი გახლდათ, რაც დაახლოებით მეხუთე თამადას უდრიდა ასაკიან სუფრაზე. თუკი ღვინის სმაში შეჯიბრის მსგავსად სიტყვაკაზმულ მწერლობასაც თავისებურ ასპარეზობად წარმოვიდგენთ, სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე ყოფნა, ცხადია, პატივმოყვარე სამსონის მგრძნობიარე გულს კანონიერი სიამაყით როდი აღავსებდა და მასზე ნუმერაციით უფრო წარმოიქმნილი კოლეგების მისამართით ფრიალ უსიამოვნო ფიქრებს აღუძრავდა ხოლმე. დანომვრის პროცედურას კიდევ გაუძღვებდა კაცი, მაგრამ მეხუთე დრამატურგის გარდა, სამსონ ალავეძე ადგილობრივი და დამწყები დრამატურგიც იყო და, სოლიდური ასაკის მიუხედავად (ქრისტეს კბილა გახლდათ), მხოლოდ ერთადერთი დაღმძული პიესით იცნობდა თეატრალური საზოგადოება. რაც შეეხება დაუღმძელ პიესებს, მათი რიცხვი ერთ ათეულს უახლოვდებოდა. ავტორს ისინი რესპუბლიკის ყველა თეატრში ჰქონდა დაგზავნილი, ზოგიერთის რუსული ბჭკარედიც გააჩნდა, მაგრამ დამდგმელი, ჯერჯერობით, არ ჩანდა. ეს სამწუხარო მოვლენა მარტო კოლეგების მიერ საქმის ჩაწყობითა და რეჟისორების პურმარილზე დაპატიჟებით არ შეიძლებოდა აკვეხსნა, ძაღლის თავი უფრო ღრმად იყო დამარხული, თორემ ქეიფსა და დროსტარებაზე თუ მიდგება საქმე, სამსონ ალავეძესაც ბევრ თეატრალურ

მოღვაწესთან ჰქონდა პური გატეხილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი სიტყვას ტეხდნენ და დრამატურგის მისამართით სუფრაზე ნათქვამი სიტყვები, მოღიერივით ნიჭიერი ხარო, სადღეგრძელოს დამთავრებისთანავე ავიწყლებოდათ. ბევრი რომ არ გაავარძელოთ, სხვები ღვინოს სვამდნენ, სამსონ ალავიძე კი ხახამშრალი რჩებოდა. მართალია, იმედი არასოდეს დაუკარგავს, მაგრამ მაინც სევდიანი თვალებით შეჰყურებდა, როგორ იპყრობდნენ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე დრამატურგების პიესები არათუ რესპუბლიკურ, არამედ უფრო შორეულ თეატრებსაც, რადგან თავს ზემოთ ძალა არ იყო, ადგილობრივი მასშტაბის დრამატურგს ისღა დარჩენოდა, გაოცებისაგან ხელები გაეშალა და ნაღვლიანად ეღიარებინა, თურმე ნიჭი კი არა, ბედი უნდა ყველაფერსო!

ეს მოსაზრება, სხვათა შორის, ჭეშმარიტებას მოკლებული როდი იყო. აი, ახლაც, გვიანი შემოდგომის წყნარ საღამოს, თეატრის მარცხენა მეხუთე სვეტთან ეულად მდგომ სამსონ ალავიძეს, ცხადია, წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ სულ რაღაც ორიოდე წუთის შემდეგ რა სიურპრიზს უმზადებდა აქამდე დამდურებული ბედი.

ღიახ, როგორც ყველა დამწყები დრამატურგი, სამსონ ალავიძეც ადგილობრივ თეატრში დადგმულ თავის არცერთ სპექტაკლს არ აცდუნდა. რასაკვირველია, ეს ფაქტი ავტორის პატივმოყვარეობით როდი იყო გამოწვეული. მსოფლიოს ყველა გამოჩენილი თუ გამოუჩენელი დრამატურგის მსგავსად, მაყურებლებთან უშუალო კონტაქტი სამსონსაც ძალიან სიამოვნებდა, განსაკუთრებით თუკი ვინმე შეიცნობდა და თავის შთაბეჭდილებას საზოგადოებას ხმამაღლა გამოუცხადებდა, აი, ის კაცი გახლავთ ამ პიესის დამწერიო. ასეთი განცხადება დამსწრეთა შორის სხვადასხვანაირ გამოხმაურებას იწვევდა. ზოგიერთი, გაკვირვების ნიშნად, თავს გააქნევდა, შეხედულება რომ აქვს, იმაზე უფრო ნიჭიერი ფოფილაო, ზოგიერთის თავის გაქნევაში კი ქართული ანდაზა შეიძლება ამოგეკითხათ, ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო!.. პირში ასეთი მწარე სიტყვების თქმას, ცხადია, ვერავინ გაუბედავდა, ამიტომ ყურს მხოლოდ საქებარი ეპიტეტებით იტკბობდა და თანდათან საკუთარი თავი დაირწმუნა, ხალხი ჩემს შემოქმედებას აფასებს და, ნომერ პირველი დრამატურგის მსგავსად, მეც თანდათან პოპულარული ვხდებით, განსაკუთრებით ქალიშვილებში მაქვს დიდი მოწონებაო. უკანასკნელ გარემოებას დრამატურგიასთან არსებითი კავშირი მაინცდამაინც არ ჰქონდა. უცოლო სამსონ ალავიძე ქალაქში ჯერ კიდევ ახალგაზრდა სასიძოდ ითვლებოდა და გასათხოვარ გოგონებს პიესაზე უფრო ავტორის გარეგნობა მოსწონდათ, რაც, თავისთავად, სამსონს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ნაკლებად არ ახარებდა.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად (ნიჭი და სილამაზე მაქვს მხედველობაში) სამსონ ალავიძეს, გენიოსების ანალოგიურად, უარყოფითი თვისებებიც

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემიის
გამომცემი

გაჩნდა, კერძოდ, ცოტა ჩქარი იყო და უკვდავებას სიცოცხლეშივე აპირებდა. ასეთი მოქმედებით, ცხადია, მხოლოდ მტრებს აძლევდა საღამო კოს, მეხუთედან პირველ დრამატურგად განდომის მხოლოდ ერთი პიესით აპირებსო. სხვათა შორის, ავისმსურველებს არც ის დარჩენიათ შეუმჩნეველი, დიდად პატივცემული სამსონი თეატრში თავის ყველა სპექტაკლს რომ ესწრებოდა და ამის თაობაზე ჭეშმარიტებასთან საკმაოდ მიახლოებულ მოსაზრებასაც გამოთქვამდნენ, იმიტომ დადის, რომ დარბაზში მაყურებელს ითვლის, რამდენი ფული შემოიბივათ.


თეატრალურ საქმეებში გაწაფულმა ხალხმა შესანიშნავად იცის, რომ ეროვნულ სცენაზე დადგმული ყოველი სპექტაკლიდან დრამატურგს შემოსავლის ცხრა პროცენტი ეძლევა. ეს საკმაოდ სოლიდური ციფრია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პიესა ხალხით გაჭვდილ დარბაზში თამაშდება ზოლმე. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს ანშლავი არათუ თეატრებში, ისტადიონებზეც იშვიათი ხილია, მაგრამ აბონემენტების წყალობით დრამატურგებს, ფეხბურთელების მსგავსად, შემოსავალი მაინც არ აკლებათ. საკმარისია, დარბაზში სამი კაცი იჯდეს და ფარდა გაიხსნას, ეს სამი კაცი ოფიციალურ დოკუმენტებში სამასად გადაიქცევა და საფრთხე არც თეატრის ფინანსებს დაემუქრება და არც დრამატურგის ბიუჯეტს.

მვირფასო მკითხველებო, ბოდიშს მოგიხდით ამ არცთუ ისე სასიამოვნო პრობლემაზე საუბრის გამო. ნათქვამია, ფული ხელის ჭუჭყიაო, და რადგან ეს ნამდვილად ასეა, მეც ხელის დაბანის მეტი არაფერი დამრჩენია, იჯდეს და ითვალოს თავისი შემოსავალი სამსონ ალავექმე, რამდენიც გაეხარდება! ჩვენ კი უშუალოდ საქმეზე გადავიდეთ, ესე იგი, მივხედოთ დრამატურგების ქალაქის თეატრალურ მოედანზე გაჩერებულ ავტობუსს, რომელმაც სამსონ ალავექის კომედიაზე დასასწრებად ინგლისელები მოიყვანა.

როგორც კი „ლაზის“ წინა კარებში ჩამდგარმა ვიღმა თვალი მოჰკრა თეატრის მარცხენა მეხუთე სვეტთან ატუხულ მეხუთე დრამატურგს (აქაც რომ ნუშერაციათ იცავდა!), ისე გაეხარდა, თითქოს პაემანი ჰქონდა დანიშნული და სვეტთან დაყუდებული სამსონ ალავექე მხოლოდ და მხოლოდ მას უცდიდა. სხვათა შორის, ურიგო წყვილი არ იქნებოდა, მაგრამ ვიქტორია თოხაძეს უბანში მცხოვრები დრამატურგი ლამაზი ქალიშვილის თვალებზე უფრო კედელზე გაკრულ აფიშას უყურებდა, რომელზედაც კვირაში ერთხელ მისი გვარიც გამოჩნდებოდა ხოლმე.

ყველაფერი ეს წარსულ დროში იყო. ამჟამად კი გახარებულმა და წყნადაწვეებულმა ვიქტორიამ სავარძლიდან წამომდგარი ტურისტები შეაჩერა, ცოტა ხნით დამელოდეთ, სანამ ბილეთების საქმეს მოვაგვარებდეთ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სსს. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ინგლისელებს ლოდინის გარდა არაფერი დარჩენოდათ, მაღალ ქუს-
ლებზე შემდგარი ვიქტორია კი გრაციული პაკა-პუკით პირდაღებული სა-
სონ ალავიძესთან მივიდა და მოწაწებით მიესალმა, ლოპე დე-ვევას ჩემა
საღამო!

ასეთი შეხუძრების საბაბი, როგორც უკვე ვითხარით, ქალიშვილს
დახმაც ჰქონდა, ჯერ ერთი, ლამაზი რომ იყო და მეორეც კიდევ დრამა-
ტურგის მეზობლად რომ ცხოვრობდა.

— გაგიმარჯოს, ლამაზო გიძო! — ხუმრობა დაუბრუნა სამსონმა, მა-
გრამ „ლამაზი ვიღის“ მაგივრად „ლამაზი გედი“ რომ ეთქვა, ვიქტო-
რიას, ალბათ, უფრო გაუხარდებოდა, თუმცა ისედაც გაკვირვებული იყო,
ამისთანა გაბედული ღაპარაკი ჩემმა მეზობელმა როდის ისწავლაო.

— მკითხე ახლა, თეატრში რატომ მოხვედიო? — შეახსენა ქალიშვი-
ლმა.

— ჩემთან პაემანზე რომ არ მოხვდიდოდი, ეჭვი არ მეპარება. —
თვალი გაუსწორა სამსონს.

შემოდგომის ნადვლიანი საღამოს ბინდ-ბუნდში ვიქტორიას ელევან-
ტური ფიგურა ძალზე ეფექტურად გამოიყურებოდა.

— დამიბარე და არ მოვედი? — სევდიანად იკითხა მან.

— ჰოდა, რაკი მოხვედი, ჩემს სპექტაკლზე გაპატიუბე.

„ასე გაბედულად, ალბათ, ღვინო ალაპარაკებდნო“, დაახსენა ვიქტო-
რიამ, თუმცა გარეგნულად დრამატურგს სიმთვრალის არაფერი ეტყობო-
და.

— ბევრი ხალხია დღეს თეატრში? — დაინტერესდა გიდი.

ესეც ლოგიკური შეკითხვა იყო, რადგან შეყვარებულებს უმეტესად
ცარიელ დარბაზში ჯდომა ურჩევნიათ, მაგრამ სამსონმა ვიქტორიას ნათ-
ქვამში რატონდაც ირონია შენიშნა და ერთი გაფიქრება კიდევაც გაიფიქ-
რა, ეს ლამაზი ქალი ნამდვილად ჩემი მტრების მოგზავნილიაო. გაფიქ-
რების მიუხედავად, ხმამაღლა ამის თქმას როგორ გაბედავდა.

— არ არის ბევრი, — უთხრა მან, — ხომ იცი, „ილუზიონში“ დღეს
ამერიკულ ფილმს უჩვენებენ, თანაც შაბათია, ხალხი ქორწილებსა და
ტირილეზშია დანაწილებული.

— მაინც რამდენი იქნება? — არ მოეშვა ქალი.

— ჯერჯერობით, ათი-ხუთმეტის მეტი არ იქნება... მაინც რატომ
გაინტერესებს?

— იმიტომ, რომ ინგლისელი ტურისტები არ მომეშენენ, დელფინე-
ბის მაგივრად მაინცდამაინც სამსონ ალავიძის კომედია გვიჩვენეთ.

მეზუთე დრამატურგს ჯერ ყურის ბიბილოები წამოუწითლდა, მერე
კი წყენით ამოიოხრა.

— ჩეტაეი შენ, სულ ხუმრობის ხასიათზე რომ ხარ!

— ზუმრობა კი არა, ცეცხლი მეკიდება, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი

ვის დრო არ არის, დირექტორთან გაიქეცი და უთხარი, საჩქაროდ სამედიცინო ტექნიკუმის მოსწავლეები მოიყვანოს სპექტაკლზე დასასწრებად.

სამედიცინო ტექნიკუმს ქალაქის სხვა სასწავლებლებს შორის ის უბრაატესობა ჰქონდა, რომ თეატრთან ახლოს მდებარეობდა. ამ სიახლოვის წყალობით მისი მოსწავლეები ერთობ მოგებული იყვნენ. როგორც კი დრამატურგების ქალაქის საპატიო სტუმრები, სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, თეატრის ნახვასაც მოიწადინებდნენ, დარბაზის შესავსებად მომავალი ფერწელები და ექთნები მოჰყავდათ. ისინი ორმაგად კმაყოფილი იყვნენ, — ჯერ ერთი, გაკეთილები უცდებოდათ და მეორეც, სპექტაკლს უფულოდ უყურებდნენ, ერთი სიტყვით, მედიცინასაც ემსახურებოდნენ და ხელოვნებასაც.

რადგან დიდი ბრიტანეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები დრამატურგების ქალაქის საპატიო სტუმართა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, თან სპექტაკლზე დასწრების დიდი სურვილიც გამოთქევს, ტრადიციულად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება იყო საჭირო. საამისოდ ვიქტორიამ შესაბამისი განკარგულებაც გასცა, მაგრამ სამსონ ალბვიძეს მის შესასრულებლად თავი მაინცდამაინც არ გამოუღვია.

— ჩქარა წადი-მოქი, ხომ გითხარი, რას გაჩერებულხარ! — შეახსენა მას გიძმა. — მე მანამდე ინგლისელებს შევიქცევ. ამასობაში შენც დაბრუნდება და სტუმრებს გაგაცნობ.

დიდი ჭოჭმანის შემდეგ, მეხუთე დრამატურგი დარწმუნდა, რომ ვიქტორიას სიტყვები ზუმრობა კი არა, სრული ჭეშმარიტება იყო, მაგრამ სისხარულის მაგივრად რატომღაც შიში დაეუფლა.

— კაცო, შენ რა მოგივიდა?! — გაბრაზდა ვიქტორია.

— არაფერი არ მომსვლია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ზემოთ შეთანხმებულია ეს საკითხი? — დრამატურგმა ცერი გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა.


— რომელი საკითხი?

— აი, ინგლისელების დასწრება ჩემს სპექტაკლზე.

— ვითომ, რა შეთანხმებაა საჭირო?

— რაც უნდა იყოს, თანამედროვე პიესა... იქნებ მასში დასმული პრობლემების უცხოელებისათვის ჩვენება არ იყოს მიზანშეწონილი.

„ეს რა მხდალი ვინმე ყოფილა, ერთბაშად ომისა და მშვიდობის საკითხი არ ჰქონდეს გადასატრელით“, გუნებაში გაეცინა ვიქტორიას, ხმამაღლა კი დრამატურგი დაამშვიდა, ნუ გეშინია, ზემოთ ყველაფერი შეთანხმებულია, შენ წადი და მაყურებლის ორგანიზაცია მოაგვარეო.



ამ დამამშვიდებელი სიტყვების მოსმენის შემდეგ სამსონ ალაღვიძლე სწრაფად გაიქცა დავალების შესასრულებლად, გიდი კი ისევ თავისი იმედი ბუსს დაუბრუნდა და აფორიაქებული ინგლისელები დაამშვიდა, ნერვიულობა საჭირო არ არის, ყველა პრობლემა მოგვარებულიაო.

— ესე იგი, შევდივართ თეატრში, არა? — იკითხა ერთბაშად გამოცოცხლებულმა მაიკლ ჯექსონმა, რომელიც აქამდე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ საღამოს ვერც ადგილობრივ დრამატურგს ნახავდა და ვერც მის პიესას.

— რასაკვირველია, შევდივართ, — დაუდასტურა გადმა. — ოღონდ, სანამ ავტობუსიდან ჩავდიოდეთ, ორიოდე სიტყვით ჩვენი თეატრის ისტორიას მოგიყვებით.

მაიკლმა „სეიკოს“ ფირმის საათს დახედა.

— რვას თხუთმეტი წუთი აკლია, ვეღარ მოვასწრებთ.

გადმა დრო თავის „რადიოგაზე“ შეამოწმა.

— თხუთმეტი კი არა, ზუსტად თექვსმეტი წუთი აკლია, სერ მაიკლ. — ჯექსონის საპასუხო რეპლიკას ადარ დაუცადა და ინგლისელთა ყურადღება პროექტორებით განაჩნახებულ სვეტებიან შენობას მიაპყრო, — ბატონებო და ქალბატონებო, ამ ღამეში შენობის აგება ზუსტად ოცდახუთმეტი წლის წინათ დამთავრდა, მანამდე ამ ადგილას ერთსართულიანი პატარა სახლი იდგა, რომელსაც რკინის თეატრს ეძახდნენ.

— და შიგ რკინის ფარდა ეკიდა. არა? — მაიკლ ჯექსონი რის მაიკლ ჯექსონი იქნებოდა, თავში მაკვარანცხი აზრები რომ არ დაბადებოდა.

ექტორიამ სინანულით ამოიოხრა. ინგლისელებთან ახალი პოლემიკის დაწყება სულაც არ ეპიტანავებოდა, მაგრამ არც პასუხის გაუცემლობა ივარგებდა.

— რკინის ფარდა მოგვიანებით ჩამოვედით, — შეუსწორა მან, — რკინის თეატრი კი რევოლუციამდეც არსებობდა. სხვათა შორის, ქალაქის ოკუპაციის წლებში ამ თეატრში ინგლისელი ჯარისკაცებიც დადიოდნენ.

მაიკლ ჯექსონმა გიდის სიტყვები, რასაკვირველია, არ დაიჯერა, მაგრამ ჯენტლმენური საუბარი მაინც გააგრძელა.

— თუ არ გცდები, თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რომ ეს ქალაქი ერთ დროს ინგლისელების მიერ იყო ოკუპირებული?

— დიან, და გუბერნატორი კუკ კოლისი იყო.

— არ ვიცი, არ გამიგონია. — თავი გააქნია ბატონმა მაიკლმა.

— სხვათა შორის, თქვენს გარდა სხვებიც ბევრნი ყოფილან აქ, დარჩენით კი, როგორც ხედავთ, მარტო ჩვენ დავრჩით.

მთელი ამ პოლემიკის განმავლობაში მუშაობით დაღლილი დიმიტრი სეფეროულაძე საჭესთან ყვინთავდა და ინგლისური ლაპარაკი ყურში ნანი-

ჩასავით ჩაესმოდა, მაგრამ როგორც კი გაღიზიანებულმა ვიქტორიამ აღ-
ნავ ხმას აუწია, უმაღვე გამოფხიზლდა.

— კიდევ ჩხუბი და დავიდარაბა გვინდა ასლა ჩვენ?! დაუყვავე მატ-
რა მაგ ხალხს, — შეეხვეწა იგი ქალიშვილს.

გაღმა მძლოლის რჩევა დაიჯერა და სახე ისევ ღიმილით გაიღამაზა.

— ბატონებო და ქალბატონებო, სხვა შეკითხვები ხომ არ გექნებათ? —
თავაზიანად იკითხა მან.

— მე შეკნება შეკითხვა, — წამოდგა ერთი ქალბატონი, — რკინის თეა-
ტრი მაინც რატომ ერქვა?

— ადრე ამ შენობაში რკინეულობის საწყობი იყო და იმიტომ.

— ორიგინალური სახელი კი დაურქმევიათ.

— სხვათა შორის, ორიგინალური სპექტაკლებიც იდგმებოდა... საო-
პერო დასიც მდებოდა მის სცენაზე... დიახ, დიახ, ჩვენს ქალაქში მაშინ
ოპერის თეატრისც იყო... შალიაპინსაც პირველად სწორედ აქ იმდგრა და
არა თბილისში.

— მინდა დაგიჯეროთ, მაგრამ რაიმე დოკუმენტი არსებობს? — საუბა-
რში ისევ მაიკლი ჩაერთო.

— დიდი მომდერღის მემუარები არსებობს და შეგიძლიათ მას დაუ-
ჯეროთ. — ურჩია გიღმა.

მაიკლ ჯეკსონმა ისევ დახედა საათს. სპექტაკლის დაწყებამდე ხუთი
წუთი რჩებოდა. ვიქტორიამ, როგორც იქნა, თეატრიდან გამოსულ სამსონ
ალავიძეს მოჰკრა თვალი და საბოლოოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც
დრამატურგმა ხელით ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო.

გიღმა ავტობუსის კარი გააღო.

— ამ მცირე ექსკურსიის შემდეგ, უმორჩილესად გთხოვთ ეწვიოთ
თეატრს!

სიკლესიელები წამოიშალნენ და ავტობუსიდან ჩამოვიდნენ. თეატრის
წინა პატარა მოედანი მცირე გამოცოცხლდა. მხოლოდ სამსონ ალავიძე
იდგა სარგადაყლაპულივით აფიშის სვეტთან და ვერ გადაეწევიტა, რო-
გორ მოქცეულიყო. — მასპინძელივით ხელგამწილი შეგებებოდა უცხო
სტუმრებს თუ ჩმისამოუღებლად დაეცადა მოვლენების შემდგომ განვი-
თარებად.

ვიქტორიამ თავის მეზობელს თვალები მრისხანედ დაუბრიალა, სახე
რატომ ჩამოგტირის, გაცივინე ერთი გაცივებაო, და მერე ქართულიდან
ისევ ინგლისურზე გადავიდა.

— ბატონებო და ქალბატონებო, გთხოვთ იცნობდეთ, ეს ჯერ კიდევ
ახალგაზრდა სიმპათიური ჯენტლმენი ქალაქის მეზუთე დრამატურგი სამ-
სონ ალავიძე გახლავთ... დიახ, სწორედ მისი კომედიის ნახვა მოგვიწევს
ჩვენ ამ შესანიშნავ საღამოს.

დიმიტო სევერთელაძის მსგავსად სამსონ ალავეძეც ინგლისურულ
ცოტა მწერალად ბრძანდებოდა, ამიტომ საკუთარი სახელისა და გვარის
გარდა დანამდვილებით ვერაფერი გაიგო, თუმცა მაინც სევერთელაძის
ღმა და დაპლომბილი კბილები გამოაჩინა.

სტუმართაგან პირველმა თავისი მარჯვენა გასაცნობად მაიკლ ჯექ-
სონმა წამოიღო.

— ფრიად მოხარული ვარ თქვენი ნახვისა. — თქვა მან და სამსონიც
უთარგმნელად მიხვდა მის სიტყვებს.

— მეც მოხარული ვარ, ჩემო ბატონო. — სალამი დაუბრუნა ალავეძემ,
მაგრამ ვიქტორიას არც მისი სიტყვები უთარგმნია, ოღონდ ქართულად
შეასვენა, ყველას ხელს ნუ ართმევ, ქალებს თავის დაკვრით გადაუხადე
მადლობაო.

გაცნობა დამთავრდა, მაგრამ მაიკლ ჯექსონს საუბარი არ შეუწყვე-
ტია.

— ბატონმა დრამატურგმა უნდა მოგვეტევეს, რომ მის სპექტაკლს
დაუპატიუებლად ვესწრებით. — თანამემამულეთა სახელით ბოდიში მოი-
ხადა მან.

სამსონ ალავეძემ ვიქტორიას აღარ აცალა ხმის ამოდება, ეითომ ისე-
დაც გაიგო ინგლისელის ნათქვამი, და სხაბასხუპით წარმოთქვა:

— დილით კი წვიმდა, მაგრამ საღამოს შესანიშნავი ამინდი გამოვიდა,
ჩემო ბატონო.

ვიქტორიამ ასე გადათარგმნა:

— ბატონი დრამატურგი უმორჩილესად გთხოვთ დარბაზში მობრძან-
დეთ!

სტუმარ-მასპინძლები თეატრში შევიდნენ და სპეციალურად მათთვის
გამოყოფილ მეორე რიგში დასხდნენ. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.
ღირექციას დროულად მიეღო საგანგებო ზომები, — არათუ სამედიცინო
სასწავლებლის, არამედ პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს სწავლების
სტუდენტებიც უკლებლივ მოეყვანა წარმოდგენაზე. მაყურებელთა უმრავ-
ლესობა, ცხადია, ახალგაზრდობა იყო, მაგრამ თავი ყველას ღირსეულად
ეჭირა, არც ხმაურობდნენ და არც გაკვირებული მისჩერებოდნენ სტუმ-
რებს. ეს იმიტომ, რომ ნაცნობ სიტუაციაში იყვნენ მოზვედრილი და თა-
ვიანსაი დანიშნულებაც შესანიშნავად იცოდნენ — მსახიობების ერთსუ-
ლოვანი მხარდაჭერით მშობლიური ქალაქის ღირსება უნდა დაეცათ.

— სიძარტლე გითხრათ, ამდენი ხალხი ლონდონის თეატრებშიც არ
მინახავს... — აღიარა მაიკლ ჯექსონმა.

— სხვანაირად არც შეიძლება მომზდარიყო, რადგან ჩვენს ქალაქს
კარგ დრამატურგებთან ერთად კარგი მაყურებელიც ყავს. — ამაყად თქვა
ვიქტორიამ და თვალის სამსონ ალავეძეს ჩაუკრა, რომელსაც ჯერჯერობით.

დაჯდომა ვერ მოეხერხებინა და წერვიულობისაგან მუხლები უკანკალებდა.
მაიკლ ჯეკსონი და მისი თანამემამულეები გულმოდგინედ ათვალიყურებდნენ მაფურებელთა დარბაზს. მათი სახის გამომეტყველება ადასტურებდა, რომ ფრიად ნასიამოვნები იყვნენ.

— ჩინებული თეატრი გქონიათ, — არ დამალა თავისი კმაყოფილება ბატონმა მაიკლმა, — მეუდრო, მოხერხებული, ფერები საუკეთესოდ შეურჩევიათ, თვალს არაფერი ჭრის, სავარძლებიც ნამდვილად შესანიშნავია. ასეთ თეატრში თამაშზე არც ჩვენი დასი იტყვის უარს... როგორ ფიქრობს მისტერ სამსონი, იქნებ გასტროლების გაცვლაც მოხერხდეს?

ასეთი რთული საკითხის გადაჭრა მისტერ სამსონს კი არა, სხვა უფრო კომპეტენტურ პიროვნებასაც გაუჭირდებოდა. ვიქტორიას ჯეკსონის წინადადება, ცხადია, არ უთარგმნია, მაგრამ დრამატურგის დაცქვეტილ ყურებს საკუთარი სახელის ხსენება არ გამოპარვია.


— რაო, სამსონთან რა მინდაო მაგ ინგლისელმა?

— რა მინდაო და, ლონდონში საგასტროლოდ ზომ არ ჩამოიტანს თავის კომედიასო.

ხუმრობით ნათქვამი ალავიძემ კინალამ დაიჯერა, მაგრამ მართლაც რომ მოეთხოვათ ინგლისელებს პიესა, ზომ გაწბილებული დარჩებოდნენ! თქვენი არ ვიცი და, მისტერ სამსონი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ამ ეტაპზე საკუთარი კომედიის ინგლისური თარგმანი დასჭირდებოდა. რუსულად კი, ბატონო, ბწყარედი კარგა ხანია მზად ჰქონდა, თუმცა სატურნირო ცხრილში წინმდგომი ოთხი თანაქალაქელი დრამატურგი-საგან განსხვავებით, რუსულენოვანი თეატრები სამსონ ალავიძის კომედიისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებდნენ, რაც, ალბათ, ქართული თეატრის სპეციფიურობით იყო გამოწვეული, ამ სიმკვლეების მიუხედავად, სამსონი იმედს მაინც არ ჰკარგავდა და თავის გასამხნევებლად ობლის კვერის ამბავს იხსენებდა, დარწმუნებული იყო, ერთ მშვენიერ დღეს მისი პიესის გამოცხობასაც დაადგებოდა საშველი, ხოლო მისი სახელი და გვარი აფიშაზე რუსულადაც დაიწერებოდა.

დიახ, სამსონ ალავიძე ოპტიმისტი გახლდათ, რადგან თავი სხვებზე ნაკლებ დრამატურგად არ მიაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ კალამი თანაქალაქელ კოლეგებზე ნაკლებად არ უჭირდა. აკი სადღეგრძელოებშიც ეუბნებოდნენ ნიჭიერი ხარ, მაგრამ უიღბლო, ჩინეთში გამოსაჩენი, ანუ საჩინო პიესა შენ დაწერე და არა გუგუელი ჩხობაძემო. მიხვდით, ალბათ, ნომერ პირველ დრამატურგზე წინ რომ აყენებდნენ მეხუთე ადგილზე მყოფ სამსონს.

მართალი ბრძანდებით, სადღეგრძელოში მავანი და მავანი ზომიერებას ვერ იჩენს, მაგრამ ქება, როგორც მოგეხსენებათ, მთვრალს კი არა,



ფხიზელსაც ზიამონებს ზოლმე. ჰოდა, არც სამსონ ალავეძე აცხადებდა მაინცდამაინც დიდ პროტესტს სადღევრძელოში გაიმთქმულ სურათებზე, ოღონდ უცხოეთში გასვლაზე როცა ჩამოფარდებოდა ლაპარაკი, თავს ჩაღუნებდა და მორცხვად ჩაილაპარაკებდა, ჩინეთი ცოტა შორსაა, ჯერ სახელი სესერე კავშირის მასშტაბით უნდა მოვიხევეთო. ღვინო ავუღია-ნებდა, თორემ კავშირის კი არა, რესპუბლიკური მასშტაბიც შორს იყო სამსონისაგან. მშობლიური ქალაქის გარდა, მისი კომედია არცერთი სხვა თეატრის მაყურებელს არ აცინებდა.

როგორც ვატყობ, სიტყვა გაკვივრებულა, ჩვენს საუბარში კი შესამე ზარიც დარეკეს და უზარმაზარმა ბროლის ჭაღმა წელ-წელა დახუჭა თე-
 დები, აჟღერდა მელოდიური მუსიკა, პროექტორებმა თემატური ფარდა გაანათეს და დასწრეთა წინაშე შესანიშნავი სურათი წარმოჩნდა. ფარდა-
 ზე არგონავტების ლეგენდის ერთი ეპიზოდი იყო გამოსასულს, კერძოდ, მედეასა და იაზონის პირველი შეხვედრა. ნახატს მართლაც დადებულად იყო შესრულებული და მოწონების ნიშნად ინგლისელებმაც ტაში დაუკ-
 რეს. ეს ტაში სამსონ ალავეძეს ისე ესიაძოკნა, ათთქოს თემატური ფარდა მისი დახატული ყოფილიყო. გუნებაში უმაღლესი გაიფიქრა, ფარდამ რომ უცხოელები ასე მოხიბლა, ფარდის იქით რასაც ნახვევს, ალბათ, გადაუ-
 რეველი არავინ დარჩებაო. მთლად დაწყობილი ფიქრები არ გამოსუვიდა, მაგრამ მის მღვთმარებაში მყოფ კაცს მეტი არ მოეთხოვებოდა. ის კი არა, დარწმუნებული იყო, ინგლისელები პიესას მომთხოვენ და, სხვა რა გზა მაქვს, რუსული ბეკარედი უნდა შევთავაზოო. კაცი, თურმე, ყველა-
 ფერს უნდა ელოდო ცხოვრებაში. წონასწორობის კანონის თანახმად, წვიმიანი დღეების შემდეგ, მზიანი დღეც გავითენდება და უმჯვენად სა-
 სიხარულო ამბავს შეიტყობ. ამაზე სასიხარულო მე არაფერი მექნებაო. სამართლიანად დაასკვნა სამსონმა, და რაკი მეორე რიგის განაპირა სკამზე იჯდა, შეუმჩნევლად წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა რუსულად თარგმნილი პიესის მოსატანად.

დარბაზში კი ამ დროს თემატური ფარდა ასწიეს და მაყურებელთა თეატრის ჩაის ბუჩქებით დასუფუჭებული გორაკები გადაიშალა. კომედია პლანტაციისკენ მიმავალ სქაიეთა სიმღერით დაიწყო:

სადაც ჭყაოდა მგელი და ტურა,
 იქ გაგაშენეთ ჩაის კულტურა...

ნემსის ყუნწში ამერენდა პირველს სილეკანის როლის შემსრულებელ-
 ლი ახალგაზრდა მსახიობი მიშა ნოზამე, მეორეს არცთუ ისე ახალგაზრდა
 ბენია კარანაძე მღეროდა, ბანს კი ვიტერანს მსახიობი ხასან ბაბუჩიძე
 აგუგუნებდა. სამეულს თანდათან ჩაღისქუდებიანი ქალიშვილებიც შეუერ-

თდენ და იმისთანა სიმღერა ჩაახვეს, ზოგიერთ ოლიმპიადზეც რომ ვერ მოისმენს მონდომებული კაცი. მაიკლ ჯექსონი, მოწონების სიმნად, თავს მაღიმალ აკანტურებდა.

ვიქტორიამ სიმღერის ტექსტის გადათარგმნა დააპირა, მაგრამ მაიკლმა არ დაანება, მელოდია ჩემთვის გასაგებია, თქვენ ის მოთხარით, ასე თავკამოდებით რა ამღერებთ, ქორწილში ხომ არ მაღიანო.

— ქორწილში კი არა, ჩაის საკრეფად მიდიან. — ჩასწორებულა ვიდმა. სერ მაიკლ ჯექსონმა თავის კანტური შეწყვიტა.

— მერე და, ჩაის კრეფა უხარიათ?

— ვითომ რატომ არ უნდა უხაროდეთ?

— მზეზე ათი საათი წელში მოხრილი დგომა განა სასიხარულოა?

მაიკლის ნაცვლად თავი ახლა ვიქტორიამ გააქნია.

— ჯერ ერთი, მარტო ხელით კი არ კრეფენ, მანქანებიც ეხმარებათ, და მეორეც, თქვენ შრი ლანკის მაგალითით ნუ ზომავე ყველაფერს, შრომაზე ჩვენ სხვა შეხედულება გვაქვს.

— კეთილი, მაგრამ მაინც ვერ დაგიჯერებთ.

— არც შრომის სიმღერების არსებობას დაიჯერებთ?.. „ელესა“, „ნა-ღური“, „ოღოია“ არ გაგიგონიათ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ფირფიტაც მაქვს და სიამოვნებითაც ვუ-სმენ, მაგრამ მეჩაიების სიმღერას დღეს პირველად მოვკარი ყური.

ამასობაში სცენაზე კონფლიქტი დაიწყო. ბრიგადირმა ხასან ბაბუჩიძემ მერგოლური მიშა ნოზაძე კატეგორიულად გააფრთხილა, შენ და შენი რგოლი ხარისხს ნუ გადაყვეთ, არ დაგავიწყდეთ, მთავარი რაოდენობააო.

— მთავარი ხარისხია, — არ უთმობდა მერგოლური, — ჩვენს მოკრეფილ ჩაის სათოფედ რომ არავინ ეკარება, ამხელა დანაშაულს არავინ გვაპატიებს!

— მართალი ბრძანდები, — მორჩილად თავს იქნევდა ბრიგადირი, — ცუდი ხარისხისათვის საყვედურს გვეტყვიან, მაგრამ გვემის შეუსრულებლობისათვის გაგვიშვებენ დიხას (ესე იგი, მოგვხსნიანო, აფრთხილებდა).

ცხოვრების დარჯჯაში გამოვლილ კაცს ტყუილიც დაეჯერებოდა, მაგრამ მიშა ნოზაძეს სიმართლის გაგონება არ უნდოდა.

— მე მაინც ხარისხი მიმაჩნია გადამწყვეტ ფაქტორად! — თავისას არ იშლიდა იგი.

— რაოდენობა, აღმდიანო, რაოდენობა! — ჯიუტად გაიძახოდა ხასან ბაბუჩიძე.

ვინ იცის, ბრიგადირისა და მერგოლურის დავა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, ბენია კარანაძეს თავში ბრძნული აზრი რომ არ მოსვლიდა.

— რაოდენობაც საჭიროა და ხარისხიც! — ისე შთამბეჭდავად წარმოთქვა, თითქოს „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი გადაეწყვიტა.

თანხმობის ნიშნად მიშა ნოზაძემ და ხასან ბაბუნიძემაც ბენიას სე-
ლი მაგრად ჩამოართვეს და მაყურებელთა მქუხარე ტაში დაიმსახურეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჩენს
ნანინავ, ნანა.
ვენაცვალე ყელშიათ...
ნანინავ, ნანა.

დაიწყო ისევ პირველი მიშა ნოზაძემ და სხვებიც უმაღ შეეშველ-
ნენ.

ღარიბობა, გლეხკაცობა,
ნანინავ, ნანა.
შენ გამართე წელშიათ...
ნანინავ, ნანა.

ვიქტორიას არც ეს სიმღერა უთარგმნია, მაგრამ მაიკლ ჯექსონმა
როდესაც სიტყვა „ტრაქტორის“ ყური მოჰკრა, იკითხა, ტრაქტორი რომ
სცენაზე არ ჩანს, რატომ მღერიანო?

გიდმა აუხსნა.

— ეს სიმღერა კოლექტივიზაციის პირველ წლებშია შექმნილი, დღე-
ვანდელი გაგებით, ტრაქტორში მექანიზაციის სიკეთე იგულისხმება.

— ყველაფერი მივხვდიო, — ჩაილაპარაკა მაიკლ ჯექსონმა.

ამასობაში პირველი მოქმედებაც დამთავრდა და სცენაზე ისევ თემა-
ტური ფარდა ჩამოუშვეს. მერე ბროლის ჭადიკ აინთო და დარბაზის ყველა
კუთხე-კუნჭული გაანათა. ხალხი აიშალა და ფოიეში გავიდა. ინგლისე-
ლებიც წამოდგნენ. ერთ მათგანს სამსონი გააჩხენდა.

— ავტორი ხად დაგვეკარგა? — გულწრფელად შეწუხდა იგი.


— როგორც ყველა დრამატურგი, ისიც მორცხვი გახლავთ. — ბოდიში
მოიხადა ვიქტორიამ.

მორცხვი სამსონ ალავიძე კი იქვე, კუთხეში, იდგა და მომლოდინე
თვალებით გიდს შესცივინებდა, ინგლისელებმა ჩემს პიესაზე სასიკეთო
რაიმე თუ თქვესო. ხელში, ცხადია, გაზეთში გაზეუული საკუთარი პიესის
რუსული თარგმანი ეჭირა.

— ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება. — დაამშვიდა ვიქტორიამ.
სერ მაიკლ ჯექსონი დრამატურგთან მივიდა.

— ხად წახვედიო, მისტერ სამსონ? — ინგლისელის ხმაში მოდარაჯე
კაცის ყური საყვედურს შენიშნავდა.

— საკუთარი პიესის ნახვა არ შემიძლია და ამიტომ გარეთ გამოვე-
დი. — იცრუა ბატონმა სამსონმა, აბა, სიმართლეს ხომ არ გაამჩნელდა,
პიესის მოსატანად ვიყავი სახლში წასულიო.



— დღეს პრემიერა ხომ არ არის, ასეა უნდა დღეაღმდეგეთ. — დაუფრავა მაიკლმა, — თუმცა თქვენი ნერვიულობა ჩემთვის გასაგებია, როდესაც სპექტაკლს უცხოელები ესწრებიან, ავტორის პასუხისმგებლობა ორმაგად იზრდება.

ვიქტორიამ ეს რთული ქვეწყობილი წინადადება სამსონ ალავეძეს ზუსტად უთარგმნა და ბოლოს თავისი მოსაზრებაც დაუმატა, ასე შორიდან იმიტომ დაგიწყო ლაპარაკი, უეჭველად პიესის ინგლისში წაღება უნდაო.

ამ სასახარულო ვარაუდმა სამსონ ალავეძეს ლოყებზე აღმური მოუკიდა.

— კიდევაც რომ დააბიროს წაღება, მე ხომ ინგლისური თარგმანი არ გამაჩნია. — ისევ საწყლად ჩაილაპარაკა, ვიქტორიას გული გადაუტრიალდა.

— რატომ არ გაგაჩნია? — ჰკითხა მან.

— იმიტომ, რომ მაჩაბელი ცოცხალი აღარ არის. — ვითომ იხუმრა სამსონმა. მართლაც რომ ყოფილიყო იმასაც დაუმატებდა, ასე თუ შეგტკივა გული, ბჭარედის გაკეთება შენც კარგად შეგეძლოო.

— არც რუსული თარგმანი გაქვს? — დაინტერესდა ვიქტორია.

დასამალი არაფერი იყო.

— რუსული აგერ გაქვს გახეთში გახვეული, — უჩვენა და მცირე ყოყმანის შემდეგ დაუმატა, — სახლში ვიყავი წასული და მოვიტანე.

მაიკლ ჯეკსონის თანდასწრებით მშობლიურ ენაზე ხანგრძლივი საუბარი უზერხულობას იწვევდა. გიდი ისევ ინგლისურზე გადავიდა.

— როგორი იქნება თქვენი შთაბეჭდილება, მისტერ მაიკლ, სპექტაკლის გარშემო?

— უნდა ვაღიარო, მსახიობები შესანიშნავად მღეროდნენ.

— კომედიის შესახებ რას იტყვი?

— ჰირველ მოქმედებაში დრამა უფრო ენახე, ვიდრე კომედია, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ბოლომდე დავიცადით. — თქვა მაიკლ ჯეკსონმა და ღარბაზში შევიდა.

მეორე მოქმედება ისევ სიმღერით დაიწყო. სარისხისათვის ბრძოლა ახლა ჩაის ფაბრიკაში გაგრძელდა. მსახიობები ისეთ მოსწრებულ სიტყვებს ამბობდნენ, რომ ქართველი მაყურებლები სიცილით იხოცებოდნენ. უცხოელებს კი არც გაუღიმიათ, აღბათ, იმიტომ, რომ ვიქტორია საფანთივით ნასროლი ოხუნჯობის ლიტერატურულ თარგმანს კერძო ასწრებდა და მხოლოდ სცენაზე მომხდარი სასაცილო სიტუაციების მოკლე შინაარსს გადმოსცემდა.

კულისებში მდგარი ფერმიხდილი და აკანკალებული სამსონ ალავეძე, ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა მსახიობებს.

— როგორ არის საქმე, მოსწონთ, თუ იცით?

— ჩვენებს კი, — ოფლს იწმენდდა მიშა ნოზაძე, — მაგრამ სტუმრებს ვერაფერი შევატყვე.

ვეტერანი ხასან ბაბუნიძე დრამატურგს მამაშვილურად ამშვიდებდა.

— ანგლიზანების ამბავი მე მკითხე, შენ მაგენს ახლა ილიკო და ილია-რიონი რომ გამოუყვანო სცენაზე, წარბსაც არ შეათამაშებენ, მაგრამ საკ-მარისია, ერთი სიმღერა დავაგუგუნოთ და ავერ იქნები, რა ამბავს ატყვენ!

ხასან ბაბუნიძე ცამდე მართალი გახლდათ. მოსახლენი თინაღში მოხ-და, როდესაც მერგოლურსა და მის მოწინავე მეჩაიეებს უღვინო ანუ დიე-ტურა ქორწილი გადაუხადეს. როგორც კი სუფრის წვერებმა არომატუ-ლი ქართული ჩაით საესე ჭიქები ასწიეს, მიშა ნოზაძემ ზარივით შემოჭ-კრა „მრავალჟამიერი“, დანარჩენებმაც ხმები შეაშველეს და მხოლოდ მაშინ იკადრეს ინგლისელებმა ფეხზე წამოდგომა. სანახაობა ამით არ დამთავრებულა, სიმღერას „საზეიმო ფერხული“ მოჰყვა და დარბაში ახა-ლი ძალით იფეთქა ტაშმა. გახარებული მსახიობები თავს მდაბლად სრიდ-ნენ და უღრმეს მადლობას გამოთქვამდნენ მათი მოკრძალებული შრომის ესოდენ დიდად დაფასებისათვის.

რადგან ტაში არ ცხრებოდა, როგორც წესი და რიგია, ჯერ სპექტაკ-ლის დამდგმელი რეჟისორი გამოვიდა სცენაზე, შემდეგ მხატვარი, კომპო-ზიტორი და ქორეოგრაფი გამოჩნდნენ.

— ავტორი! ავტორი! — ღაიძახა ვიღაცამ დარბაზიდან და ამ დამახე-ბას ისევ მქუხარე ტაში მოჰყვა.

მიშა ნოზაძე და ბენია კარანაძე კულისებში ფარდას ამოფარებულ სამსონ ალავექსთან მიიჭრნენ.


— მომილოცავს, ბატონო სამსონ, — გადაკოცნა ბენიამ, — რატომ ანერვიულებთ ხალხს, გადით სცენაზე და დაენახვეთ.

— როდის იყო, მე სცენაზე გავდიოდი თავის დასაკრავად?! — აუარა დრამატურგმა.

— არასოდეს, მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა, — აუხსნა მიშა ნოზაძემ, — მგონი, თქვენც ბედი გეწიათ და ჩვენც... ისე ვატყობ, მალე ლონდონში მოვვიწვევს გრიადი!

სამსონის პროტესტის მიუხედავად, მსახიობებმა იგი თითქმის ძალით გაათრიეს სცენაზე. ავტორის გამოჩენას ახალი ტაში და გამოცოცხლება მოჰყვა. სტუდენტებმა დირექტორთან საგანგებოდ გადანახული წითელი მიხაკების თაიგული მიართვეს დრამატურგს, ინგლისელმა ქალბატონებმა კი ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნეს, მაიკლ ჯეკსონმა ხელი დაუქნია.

მადლობის ნიშნად ტრიუმფატორმა წითელი მიხაკები უცხოელ ქალ-ბატონებს სათითაოდ ჩამოურბა. მშვენიერი სქესის საზღვარგარეთელი



წარმომადგენლები ერთი ყვავილით ნაკლები აღმოჩნდნენ. მორჩენილი მან-
ხაკი, რასაკვირველია, ვიქტორიას ხედა წილად და ამ ვესტმა საყუდელში
თაო მოწონება გამოიწვია. აი, გვესმის ჭეშმარიტი ჯენტლმენი ყოფილია,
ამბობდნენ კმაყოფილი ინგლისელები.

თავისი ტურისტები ასე გამზიარულბულა რომ დაინახა, გიდი, ცოტა
არ იყოს, შეეჭვდა, მართლა მოეწონათ სპექტაკლი თუ თავზიანობის
გულისათვის იხდიან მადლობასო.

უცხოელებისა ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დიმიტო სეფერთელაძე
ნამდვილად აღფრთოვანებული დარჩა, ეს სამსონ ალავიძე მაგარი ვინმე
ყოფილა და მაგარი კომედიაც დაუწერიაო, ასეთი რამისათვის კი ღირს
ერთი საღამოს გაცდენაო. თბილისში რომ ვიყოთ, დიმიტოს მეუღლე ავ-
რაჟინაც თეატრის ტრფიალი ვახლდათ, ქმარს ყოველდღე ჩასწიწინებდა,
ღვინის სმას შეეშვი და სპექტაკლები ნახუო.

აღელვებული, გაოფილი, მაგრამ შინაგანად უზომოდ კმაყოფილი,
უფრო მეტიც, ბედნიერი დრამატურგი სტუმრების გასაცილებლად ფოიე-
ში გამოვიდა. ხელში, ცხადია, თავისი პიესა ეჭირა და ერთი სული ჰქონდა,
ინგლისელები როდის გამომართმევენო.

ხერ მაიკლ ჯეკსონმა, დელეგაციის სახელით, ავტორს ჯერ მადლობა
გადაუხადა, მერე კი სავიზიტო ბარათი გადასცა, თუკი ლონდონში მოგი-
წევთ ჩამოსვლა, აუცილებლად სტუმრად მეწვეიო.

ვიქტორიამ ყველაფერი სხაპასხუპით გადათარგმნა.

სამსონ ალავიძე, ცოტა არ იყოს, შეცბა და გიდს სევდიანად შეხედა.

— რაო, პიესის შესახებ არაფერი უთქვამს?

ვიქტორიამ მისი თვალების ცქერას ევლარ გაუძლო და ისევ ინგლი-
სელებს მიუბრუნდა.

— მისტერ მაიკლ, ახლა, როდესაც ორივე მოქმედება ნახეთ, როგორი
იქნება თქვენი შთაბეჭდილება... ბატონ დრამატურგს ძალიან აინტერესებს.

— სიბართლე ვითხრაო, ცეკვები შესანიშნავად იყო დადგმული. —
აღიარა ჯეკსონმა.

ვიქტორიას არაფერი უთარგმნია, კვლავ შეკითხვა დაუსვა.

— კიდევ?

— კიდევ თემატური ფარდა ოსტატურადაა დახატული, ლეგენდის
სულისკვეთებას შესანიშნავად გადმოგვცემს, ქართველებს ელინურ სამყა-
როსთან ზომ ღრმა უესეები გაკავშირებთ.

სტუმრები გასასვლელისაკენ გაემართნენ, სამსონ ალავიძემ გიდს
ხელი მოჰკიდა და მცირე ხნით მათ ჩამოაშორა.

— რაო, რა მინდოა მაგ ინგლისელმა?

აღვილობრივი მასშტაბის დრამატურგს ისეთი მთრთოლვარე ზმა ჰქო-
ნდა და ისეთი მოუთმენლობა ეხატა სახეზე, მისი მეზობელიც რომ არ ყო-



ფილიფო, ვიქტორია, რასაკვირველია, მაიკლ ჯექსონის ნათქვამს სიტყვით არ ჩაუვკაცლავდა.

— რაოდა, — ოდნავ შეფოვნდა გიდი, — პიესაზე დაწერილებით მაშინ ვილაპარაკოთ, რადესაც დრამატურგი ინგლისში მეწვევას.

განაწყენებულმა სამსონმა ხელი მოწვევებით ჩაიქნია.

— უცადოს ახლა მაგან, როდის ვეწვევი მე ინგლისში!

ამ ვესტმა, ცოტა არ იყოს, ვიქტორია გააბრაზა.

— რა გითხარი, ახლა, ამისთანა საწყენი?.. მაიკლ ჯექსონი კომერსია- ჰია და არა ლონდონის სამეფო თეატრის ხელმძღვანელი!

— მაშინ ტაშს რატომ უკრავდა ასე თავგამოდებით?

— აბა, ხომ არ დაგისტვენდა?.. სტუმარი კაცია, ისიც ინგლისელი... ბატონი დრამატურგი სიტუაციებში კარგად უნდა ერკვეოდეს და არ უნ- და გაბრაზდეს.

უკან დახევის გარდა, სამსონ ალავემეს გზა არ ჰქონდა.

— გაბრაზება არაფერ შუაშია... მე ვიფიქრე...

— ჯერ რესპუბლიკის მასშტაბით გასვლაზე უნდა იფიქრო, — გულ- წრფელად ურჩია ვიქტორიამ, — მერე საკავშიროზე... უცხოეთისაკენ სულ ბოლოს უნდა გაიხედო.

— სული რომ ამოხდება, მაშინ? — სიმწრით ჩაიძინა სამსონმა.

გიდმა ხუმრობას ხუმრობითვე უპასუხა.

— გულს ნუ გაიტეხ, ადგილობრივ გაზეთში სურათიანი ნეკროლოგი გარანტირებული გაქვს!

ამ ლაპარაკში სტუმრებიც და მასპინძლებიც თეატრიდან გავიდნენ. ისეთი დამე იყო, შევეარებულებს რომ გაეხარებოდათ — ვარსკვლავებით მოტყედილი, ბადრი მთვარიანი. მართალია, ოდნავ სუსხიც იგრძნობოდა, მაგრამ სუთთა და მშრალ ჰაერს გამეფელ-გამომეფელნი დიდი საიამოვნე- ბით ყლაპავდნენ.

სანამ ტურისტები ავტობუსში ჩასხდებოდნენ, დიმიკო სეფერთელაძე დრამატურგთან მივიდა და ხელი ვაჟკაცურად ჩამოართვა.

— ბატონო სამსონ, თქვენმა კომედიამ ისე მასიამოვნა, როგორც ნამთუ- რაღვე კაცს დილაბნელზე ნივრიანი ხაში ასიამოვნებს ხოლმე, — სეფერ- თელაძემ პირზე მომდგარი ნერწყვი გადაყლაბა და განაგრძო, — ეჭვი არ მეპარება, ამ პიესას სულ მალე ინგლისშიც დადგამენ, და თუ მშვიდობა იქნა, არც ამერიკამ უნდა თქვას უარი.

სამსონ ალავემეს მძღოლის ხოშორი სიტყვები მალამოსავით წაეცხო დადარდინებულ გულზე. ცხადია, დიდი მადლობაც გადაუხადა, მაგრამ არც თავისი გასაკტირი დაუმალავს, ნომერ პირველი დრამატურგი გზგული ჩსობაძე ინგლისში მე რას გამიშვებს, ჩემი შემოქმედება ამ ქალაქში უნ- და დაიფრფლოსო.



რასაკვირველია, ცხელ გულზე ნათქვამი საყვედური იყო, ან იქნებ სა-
მსონ ალავერდის ცოტა შურიც ალაპარაკებდა, თორემ კარგი პიესის ალავე-
რდის, გუგული ჩხობაძე კი არა, ტანკიც ვერ გაანერებდა ადგილზე. მიუხე-
დავად ამისა, მეტიმეტად მკაცრი მსაჯული ნუ ვიქნებით, სამსონ ალავე-
რდის თავისი გაჭირვება ვაკმართო და სახლში მშვიდობიანად მივეყვანოთ.

სხვათა შორის, იმ დამით ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ვი-
ქტორიასათვის საყვედური არავის უთქვამს, ინგლისელები თეატრში რა-
ტომ წაიყვანო, პირიქით, როდეს სიტუაციაში მოხერხებულობის გამო-
ჩენისათვის ზეპირი მადლობაც გამოუცხადეს. რაც შეეხება დიმიტო სეფე-
რთელაძეს, ღაგვიანებისათვის ქალბატონი აგრაფინა საყვედურებით კი შე-
ეგება კიბეებსზე, მაგრამ როდესაც მეუღლემ უთხრა, თეატრში ვიყავი და
დრო კულტურულად გავატარეო, ერთბაშად დაწყნარდა და მოსაბრახუნე-
ბლად მომზადებული კარი ფრთხილად მიუხურა... ყველაზე კმაყოფილი,
ცხადია, ინგლისელი ტურისტები იყვნენ, მსუბუქი ვანშიში შემდეგ აბაზა-
ნაში ცხელი წყალი მიუშვეს და იმდენი ისიამოვნეს, რამდენიც გაეზარდე-
ბოდათ.

აქ შეიძლებოდა ჩვენი შესანიშნავი მოთხრობის მეორე თავისათვის
წერტილი დაგვესვა, მაგრამ გვიან დამით დრამატურგების ქალაქში ისეთი
ამბავი მოხდა, მისი დამალვა ყოვლად შეუძლებელია. არა, არც მიწისძვრა
ყოფილა და არც ხანძარი გაჩენილა. „ილუზიონის“ დამთავრების შემდეგ
ახლადწამიწებული ვიქტორია ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა.

— გისმენთ. — დაღლილ-დაქანცული ხმით ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.
დარწმუნებული იყო, ვიდაც მირკვს ამ შუალამებო (ლამაზ ქალს თავვა-
ნისმცემელს რა გამოუღვებს!).

— ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის, — ყურმილში მამაკაცის ხმა
გაისმა, — თქვენ ვიქტორია თოხაძე ბრძანდებით, არა?

- დიახ.
- ვერ გამიგია, ასე მომზიგლელ ქალიშვილს ასეთი არამომზიგლელ-
ლი გვარი რატომ უნდა ჰქონდეს?
- სხვა შეკითხვები არ გექნებათ?
- კი მექნება, ოღონდ ტელეფონი არ დამიდგოთ, მე გუგული ვარ.
- გუგული? — დაიბნა ვიქტორია.
- ჩხობაძე, დრამატურგი.
- სალამი, ბატონო გუგული, ზომ მშვიდობაა?
- მშვიდობა კია... სწორედ ამ წუთში დავბრუნდი ჩინეთის სახალხო
რესპუბლიკიდან.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა!.. ტელევიზიამ შეგატყობინა,
პრემიერამ წარმატებით ჩაიარაო.



— ხომ იცით, მე თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ სიტყვა „წარმატება“ მაინც ვერ გამოხატავს იმის შინაარსს, რაც შანხაის თეატრში ხდებოდა.

— გულწრფელად გილოცავთ!

— დიდი მადლობა... სხვათა შორის, მე პირველი ქართველი დრამატურგი ვარ, ვისი პიესაც ჩინეთში დაიდგა.

— ძალზე სასიამოვნოა! სხვა რით შემძლია გემსახუროთ, ბატონო გუგული?

— გავიგე, ინგლისელები გყოლიათ დღეს თეატრში.

გაკვირვებულმა ვიქტორიამ პასუხის გაცემა დაუგვიანა.

— ალო, ალო! — გუგული ჩხობაძემ ყურმილს სული შეუბერა.

— დიახ, გასმენთ.

— მაინტერესებს, ინგლისელები მართლა გყავდათ თეატრში?

ქალიშვილმა უცებ იაზრა ყველაფერი.

— მყავდა და სამსონ ალაფიძის პიესაც ძალიან მოეწონათ.

— ხუმრობთ, თუ...

— ვითომ რატომ უნდა ვხუმრობდე?

— დავიჯერო, ახლა, რომ ინგლისელებს დამწეები დრამატურგის პიესა მოეწონათ? „დამწეების“ მაგიერ „უნიჭიც“ შეიძლებოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

ვითომ დიდად ესიამოვნებოდა, ვიქტორიამ გუგული ჩხობაძეს მიახარა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მოეწონათ, და, მგონი, თარგმნასაც აპირებენ.

— სანამ მაგას თარგმნიდნენ, დიდი დრო გავა, — ამ სიტყვების შემდეგ გუგული ჩხობაძე უმაღლეს ქამზე გადავიდა. — ჩემი პიესა თარგმნილია და ძალიან დამაველებთ, ამას ინგლისელებს თუ შეატყობინებთ, ჩინეთის ვარდა, უცხოეთის ხუთ ქვეყანაშია დადგმული.

ვიქტორიას ჯერ ტელეფონის დაკიდება უხდოდა, მერე რაღაც მწარეს თქმა დააპირა, მაგრამ ბოლოს მაინც თავი შეიკავა, რადგან ნოსქერ პირველი დრამატურგისათვის, ყველაფრის მიუხედავად, ანგარიში უნდა გაეწია.

— ალო, ხომ გესმით ჩემი სიტყვები? — თავი შეახსენა გუგულიძე. — იქნებ ხვალ პირადად შემსხვედროთ ინგლისელები... სხვათა შორის, სუენსონი ჩამოგიტანეთ პეკინიდან. აუცილებლად მოგვეწონებათ.

ვიქტორიამ „სვენირში“ ჯერ ფაიფურის ეპოქა წარმოიდგინა, მაგრამ პრაქტიკული ქალი იყო და არც ჩინურ თოჯინაზე იტყოდა უარს.

— ალო, რა მოუვიდა ამ ტელეფონს! — შეწუხდა ნოსქერ პირველი დრამატურგი.

— სუენსონისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო გუგული, ინგლისელებთან შეხვედრა არ გამოვა.

- მაინც რატომ არ გამოვა?
- იმიტომ, რომ ხვალ დილაადრიან მიფრინავენ დედაქალაქში.
- მეც კიდევ გაფრენამდე აეროდრომზე დავხვდები... ვიცი, ახლა ჩემზე ცუდ რამეს გაიფიქრებთ, მაგრამ მერწმუნეთ, პირად სარგებლობაზე უფრო მე საბჭოთა დრამატურგიის ინსტიტუტის მალაპარაკებს... დამე ნებისა, პატივცემულო ვიქტორია!
- კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო გუგული, ხვალ სუვენირის წამოღება არ დაგავიწყდეთ.

ყველაფერი გავშვობიდან იწყება

აქამდე რაც მოხდა. ერთი დამის ფათერაკები იყო, მაგრამ ამის შემდეგ რაც მოხდება, თქვენ კი არა, ხეირიანად არც მე ვიცი. გულს მაინც ნუ გავიტყნებ და ქართული ანდაზა გავიხსენოთ, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. ჰოდა, ჩვენც აუჩქარებლად მივეყვით მოვლენათა მსუელულობას. ზოგიერთმა სულწასულმა, შესაძლებელია, მაინც გაიფიქროს, ავტორს, ალბათ, სიბნელეში ყოფნა მოგზაურდება და მომდევნო თავში უეჭველად მზეს ამოიყვანს, რომ მისმა ცხოველმყოფელმა სხივებმა ყველაფერს ნათელი მოჰფინოსო.

ვაი, რომ იმედი უნდა გაგიცრუოთ, ჩემო დაღლილ-დაუძინებელი მკითხველო და დამით დაწყებული საუბარი ისევ წყველიაში უნდა გაგაგრძელო. ვიცი, სიბნელეში სიტყვას კი არა, თვალში თითს ვერ მიიტანს პატიოსანი კაცი, მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედის გზა არასოდეს ყოფილა ვარდით მოფენილი და, სხვათა შორის, არც ვარდი მოუტარებია ვინმეს უეცლოდ. რა სჯობია მზეზე ყოფნასა და სინათლეში ლაპარაკს, მაგრამ ბნელში სათქმელი მაინც იმდენი ღამრჩა, ერთი ჩვენი სასიკადულო მწერლის სიტყვები რომ გავიძეოროთ, თქვენ კი არა, საროტაციო მანქანებიც ვერ გამიძლებენ.

ღიას, ჯერჯერობით, ისევ დამით მოგვიწევს დრამატურგების ქალაქში სიარული. თქვენ გულში შიში არ გაიკაროთ, მის დაცარიელებულ ქუჩებს ახლა არც დავგვიანებული ლოთების სიმღერა აფხიზლებს და არც მოხეტიალე ძაღლების ყევა. არსაიდან ხმა, არსით ძახილი, ყველაფერი იღუმალებითაა მოცული, ანდამატივით მიმზიდველი, მაგრამ ენით აუწერელი იღუმალებით. ასეთ დროს აღამიანებს კი არა, ლამაიონებსაც ეხუჟებათ თვალები. ზღვა დატუქსული ბავშვივით დადუმებულია, სწორედ ის მომენტია, ერთ პირს წყალიც რომ წაიძინებს ხოლმე. ბნელა, მაგრამ არც ბნელა, რადგან ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი და კეცის ჭადივით აფუქებული მთვარე ცივი სხივებით ანათებს დაქანცულ დედამიწას. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არც ნიავე და არც კვიპაროსები შრიანდებენ. ქუჩის

ელექტროსაათის ისრებიც გარინდებულან, თითქოს დროის შეჩერება ნუზრასავთ, რომ დრამატურგების ქალაქის დამაშვრალ მოქალაქეებს სვენების ტკბილი წუთები გაუზანგრძლივონ.

ერთი სიტყვით, მძინარე ვიქტორია თოხაძესაკვით ლამაზი დამეა. ვიქტორია ხომ გახსოვთ, გუგული ჩხობაძესთან საუბრის შემდეგ თავის ერთადგილიან ლოგინში რომ მოვასვენეთ? ნომერ პირველი დრამატურგი, როგორც მოსალოდნელი იყო, იმ წუთებში ჩინურ სიზმრებს ხედავდა. ისგლისელმა ტურისტებმა ზუსტად რეგლამენტით გათვალისწინებულ დროს დახუჭეს თვალები, დიმიკო და აგრაფინა სეფერთელაძეები კი ჩვეულებრივ ადრე დაწვნენ, რომ დილით ჩვეულებრივზე ადრე ამდგარიყვნენ.

სხვათა შორის, იმ უცნაურ დამეს სინათლე არც სამსონ ალავიძის ორთახიანი ბინის ფანჯრებში ენთო, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განაცხადო, რომ ნომერ მეხუთე დრამატურგის თვალებს რული არ ეკარებოდა.

თქვენ, ალბათ, მიხვდით, რატომ მაინცდამაინც სამსონ ალავიძე ფხიზლობდა ერთიანად დაძინებულ ქალაქში და რატომ ვერ მოეხერხებინა მას ფიქრების სახვეალიოდ გადაღება. დიახ, ინგლისელთა მოულოდნელმა სტუმრობამ გაუჩინა სამსონს ასეთი სადარღებელი. რა უნდოდათ, ვინ ეხვეწებოდათ? ყველაფერს ბედი უნდა, თორემ აუტკივარ თავს ძალად როგორ აიტკივებს კაცი! ვიქტორიას მაინც რა ბზიკმა უკბინა, ქორწილი ხომ არ იყო, ერთი ავტობუსი ხალხი დაუპატიჟებლად რომ მოიყვანა თეატრში? რომ ჰკითხო, ვითომ გამოცდილი გიდაა, მაგრამ ჩვენი კლასობრივი მტრების განზრახვას ეერაფერი გაუგო, ადგებიან და მსოფლიოს შეატყობინებენ, საქართველოში ცუდი ხარისხის ჩაის კრეფენო. არა, ამას არც ჩვენ ვმალავთ, მაგრამ შინაური საქმე ისევ შინაურების მოსაგვარებელია. ეთქვათ, არც სამსონ ალავიძეს მოსწონს ინგლისური ვისკა, ჩვენებურ სანთლის არაფს როგორ შეედრება, მაგრამ დავდგეთ ახლა და ამაზე ავტყობოთ ალიაქოთი, მოგვიწონებს ვინმე ასეთ საქციელს? არა, არავენ მოგვიწონებს, შეიძლება გაგვამტყუნონ კიდევაც.

შეწუხებულმა სამსონ ალავიძემ ლოგინში მხარი იცვალა (მარცხნიდან მარჯვნივ გადაბრუნდა), ამ მხარის შეცვლამ მარცხიანი აზრიც გადაუბრუნა და მოვლენებს სადი თვალისთ შეხედა (ხატოვნად ვამბობ, თორემ თვალდახუჭული ფიქრობდა).

რასაკვირველია, სამსონს თავში ისევ ათასი კითხვა უტრიალებდა, მაგრამ ამ ათასიდან, უმთავრესი ის იყო, ინგლისელებს ჩემი პიესა მოეწონათ თუ არაო. რომ არ მოსწონებოდათ, მაშინ ასე თავგამოდებით რატომ დაუკრავდნენ ტაშს, ხომ შეეძლოთ დადლილობა მოემიჯნებინათ და

თეატრი დაქტოვებინათ?... ეთქვას, ჯენტლმენობა გამოიჩინეს და დრამატურგს გული არ დასწყვიტეს, მაგრამ მაშინ ასე რატომ გამოიღეს ხელი ჯარდის დახურვის შემდეგ, ან კიდევ სერ მაიკლ ჯეკსონის საეიზიტო ბარათი რას ნიშნავდა, თუ არა ინგლისში მიწვევას! ზომ შეიძლება, სამსონ ალავიძემ დაკრას უეზი და ინგლისში ჩაფრინდეს, რას იტყვის მაშინ ბატონი მაიკლი, ცალი ყბით დაგპატიუე, არ მეგონა, გზის ფულს თუ ამოვიღიო? ფულით ზომ არ იზომება ყველაფერი, მოაგონია ურთიერთნდობა და პატივისცემა... როდესაც კარზე მიმდგარ ქართველ დრამატურგს დაინახავს, მასპინძელს ისლა დარჩენია, ადგეს და ლონდონის თეატრები ჩამოთაროს, ამ კაცს კარგი პიესა აქვს დაწერილი და, აბა, რომელი აპირებთ მის დადგმასო. თეატრების მესვეურები, რასაკვირველია, სიხარულით არ გადაირევიან, არა მე დავდგამ და არა შენო, მაგრამ ისიც ზომ შეიძლება, ვინმე მართლაც დაინტერესდეს სამსონ ალავიძის შემოქმედებით და პიესის დადგმა გადაწყვიტოს. რაო, ვითომ, გუგუღი ჩნობადის ტრაგედიამ ჩინელები თუ ატირა, სამსონ ალავიძის კომედია ინგლისელებს როგორ არ გააცინებს, მათ ზომ იუმორის ფასი კარგად იციან, თუმცა ქართული ანიკდოტებისა და მოსწრებული სიტყვების უცხო ენაზე აფლერება იოლი საქმე არაა. მაგალითად, როგორ უნდა ითარგმნოს ინგლისურად „გაშპა გურული“ და „ქვე შენი ჭირიმი“ რაჭველი“? ძნელი საქმეა, მაგრამ მონდობება და ხელისშეწყობა თუ იქნა, ყველაფერი მოგვახერხდება. ნიჭს ოღონდ ფართო გზა მიეცი და წინ ვერაფერი გაუჩერდება. აგერ, ჩავიდა რუსთაველის თეატრი ინგლისში და ყველამ მოწიწებით ქუდი მოუხადა, ვერ წარმოვიდგენდით შექსპირის დადგმა ასე თუ შეიძლებოდაო. მართალია ის შექსპირი იყო და არა სამსონ ალავიძე, მაგრამ მეხუთე დრამატურგის პიესაც ზომ შეიძლება დაიდგას სხვანაირად? რას იტყვიან მაშინ პატივცემული კოლეგები, ინგლისის პრემიერ-მინისტრთან ჩააწყო საქმეო? ჩაწვობით შეიძლება კაცმა ციტრუსები ჩააწყო ჩემოდანში და ფეხბურთის მსაჯს მიუტანსო, გვიჭირს და ერთი თამაში მოგვაგვიტანსო. შეურაცხყოფილი მსაჯი იმ ციტრუსებს ქეხებით მოგაყრის ზურგში, ეს როგორ მაკადრეთ, ერთი თამაშის მოგებას ერთი ჩემოდანი ფული უნდაო!.. ყველაფერი ზემოთ ნაფიქრი, რასაკვირველია, ზუმრობაა, მაგრამ ზუმრობაც თუ ზუსტად არ ითარგმნა, ჩასაფრებული კაცი საქვეყნოდ თავს მოგჭრის, ქართველებმა ევროპის თასიც ციტრუსების ფულით იყიდესო.

ამასობაში მოვარე ნელ-ნელა გადაიხარა ცის კაბადონზე და მის სხივებსაც ნათელი მოაკლდა, თუმცა სამსონ ალავიძის ოთახში ყველაფერს ისევ თეთრად აქათქათებდა და ადუმილების ბურუსში ახვევდა. მარტივად რომ ეთქვას, ისეთი პოეტური ღამე იყო, „მოაწმინდის მთვარეს“ თუ არა, ფანდურზე დახამდერებულ ღექსს მაინც დააწერინებდა მუზის ტემ-

მარიტ თავგანისცემელს, მაგრამ უძილობის იმ მტანჯველ წუთებში ხა-
სონ ალავიძის ამღვრული გონება პოეზიის ნაცვლად დრამატურგობას დას-
ტრიალებდა.

ეთქვათ და, „ჩემი მეგობარი ზილევა-ნი“ მართლაც დაადგა ლონდო-
ნის სამეფო თეატრში. ამ დიდამბიძნელიდან მოვლენას ცენტრალური ტე-
ლევიზია უსათუოდ გადმოსცემს და, სანდოთა კავშირის გარდა, ნახევარი
მსოფლიო მაინც გაივებს. ჯველა პატიოსან ადამიანს გული კანონიერი
სიამაყის გრძნობით აღევსება, პატრონთვალივით პატარა საქართველოს
კადევ ერთი ნიჭიერა შეილი ჰყოლია! ბევრ ურწმუნო თომასაც ენა ჩა-
უვარდება პირში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისური გაზეთები
სამსონ ალავიძის ფერად პორტრეტებს დაბეჭდავენ და ზედ აღფრთოვანე-
ბულ რეცენზიებსაც მიაყოლებენ. ამ რეცენზიებს, უეჭველად, ჩვენი პრე-
საც გადმოებეჭდავს და, აღვილი წარმოსადგენია, როგორი აფიოტაჟი ატ-
ყდება, დრამატურგების ქალაქს კორესპონდენტები მოაწყვებიან ინტერ-
ვიუს ასაღებად, დიდი ბრიტანეთის დამპყრობ ნომერ მეხუთე დრამატურ-
გის სახლთან უზარმაზარი რიგი გაჩნდება, თუმცა მეხუთე კი არა, მაშინ
პირველი და ერთადერთი დრამატურგი ის იქნება, რადგან დანარჩენები
სიბრაზისაგან ავტომატურ კალმისტრებს სანაგვე ყუთში გადაავადებენ.

მარტო ერთ პიესასზე თეატრებს რა გააჩერებს, დეპეშებს ვეროპის
მრავალი ქვეყნიდან დააფრიან, ბატონო სამსონ, აბა, კიდევ რით გაგვაზა-
რებთო. შესაძლებელია, იმ დროისათვის ალავიძის დრამატურგიით ამე-
რიკის კონტინენტიც დაინტერესდეს, მე თქვენ გეტყვით და, პატივცემულ
სამსონს პიესები შემოაკლდება, ჯერ დაუდგმელი რამდენი აქვს! იმათგან
რომ გაიცლის ხელს, მიუჯდება მაგიდას და ყოველ კვირაში თითო კომე-
დიას მაინც გამოაცხობს..

ჩამავალი მთვარე თანდათან სცილდებოდა სამსონ ალავიძის ფანჯ-
რებს, თუმცა გაოცებამდე მაინც შორს იყო და მეხუთე დრამატურგი ერთ-
გამოძინებას მაინც მოასწრებდა, მაგრამ სად იყო ძილი და მოსვენება,
ტვიანის ყოველი უჯრედი სამომავლო გეგმებზე მუშაობდა!

სანამ ინგლისში პრემიერაზე მიიწვევდნენ, ათასი პრობლემა გადას-
ჭრელი. უპირველესი, რასაკვირველია, ცოლის მოყვანაა. კარგი გარეგნო-
ბისა და ნიჭის მიუხედავად, სამსონ ალავიძე დიდი დონეზე არასოდეს
ყოფილა. სხვა მის ადგილას ცოლის მოყვანას კი არა, გაშვებასაც მოას-
წრებდა. ორმოც წელს მიახლოებულ დრამატურგს კი სერიოზულად გუ-
ლი არავისზე მიუწევდა, თუმცა სარეზერვოდ რამდენიმე ქალიშვილი მა-
ინც ჰყავდა გამორჩეული. დიან, თქვენ არ შემცდარხართ, ერთი მათგანი
მეზობლად მცხოვრები ეპქტორია თოხაძე იყო. დამერწმუნებით, არ არის
ცული გოგო, დრამატურგების ქალაქში ბარე ორ გამორჩეულ სასიძოს
გაურბის თვალი მასზე, გარეგნობასა და სიტყვა-პასუხს ვერავინ დაუწუ-

ნებს, ცოდნა და განათლება ხომ აქვს, ქართულზე უკეთესად ინგლისურად ლაპარაკობს!.. სამსონი ბევრ იქეთურსა და აქეთურს კი არ დაუწყებს, თქმელს პირდაპირ ეტყვის, თუ ხელს მომიცემ, გეტყვებს გაგიკეთებო! გადმოხდის შინაურულ ქორწილს. ჩემო ბატონო, და იალა, თვითმფრინავში, თაფლობის თვეს დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე გაატარებენ! რაო, გაუჭირდებათ უცხოეთში გამგზავრება? მაიკლ ჯეკსონი იქ არ არის? მათი შეუღლების ამბავს რომ გაიგებს, ორ ვიზას იმავე დღესვე გამოუგზავნის. დილით რომ მოსკოვიდან გაფრანდებიან, პრემიერის დაწყებადღე ლონდონში იქნებიან. აეროდრომზე, რა თქმა უნდა, მაიკლთან ერთად თეატრის წარმომადგენლებიც დახვდებიან, ბევრი ოჯახშიც დაპატიჟებს, მაგრამ ვიქტორია და სამსონი მასპინძლების შეწუხებას მოერიდებიან და საცხოვრებლად ლონდონის ცენტრში მყუდრო სასტუმროს აირჩევენ.

მასახადამე, ცოლის პრობლემა ადვილი მოსაგვარებელია, გაცილებით ძნელი ჩაცმის საკითხია. ყველაფერს რომ თავი დაგანებოთ, იმხელა გზაზე მიმავალს ორი წყვილი კოსტიუმი მაინც უნდა ჰქონდეს, არა, სამსონ ალავიძე არც კოსმოდოლიტი ყოფილა ოდესმე და არც მოდის დიდი მიმდევარი, მაგრამ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად კაცი მშობლიურ ქალაქში შეკერილ ტანსაცმელს ვერ ჩაიცვამს, თანაც მარტო კოსტიუმი არ კმარა, ყველაფერი გამორჩეული უნდა შეიძინოს — ფეხსაცმელი, პერანგი, პალსტუხი — ეს, რაც გარედან ჩანს, ხოლო რაც არ ჩანს, იმის ყიდვაც არ უნდა დაგავიწყდეს. ცხადია, მაღაზიაში ვერ იშოვი, ან საწყობში უნდა ნახო, ან სპეკულანტთან. ამიტომ ტანსაცმელზე ადრე ბევრი ფული უნდა იშოვო, ბევრს ფულს კი მაშინ იშოვი, როდესაც ბევრ პიესას დადგამ. მანამდე, ვალის აღების გარდა, სხვა საშუალება არ არსებობს.

დაღლილ-დაქანცულმა სამსონ ალავიძემ კიდევ ერთხელ იცვალა მზარი საწოლში და კიდევ ერთხელ შეატრიალა ბალიშზე დარდით გასიებული თავი, მაგრამ ბზიკივით დასეული შავი ფიქრები მაინც კერ მოიგერიდა.

ბრძენ კაცს უთქვამს, ფულის მოხვეჭას სახელის მოხვეჭა სჯობიაო. ბავშვობიდან ნიჭიერ, მაგრამ უფულო სამსონს არც ერთი აწყენდა და არც მორე. ამიტომ საგონებელში იყო ჩავარდნილი, თუმცა გარეგნულად მაინც არაფერს იმჩნევდა და, მტრების ყურადღების მოსაღუწებლად, არჩენისად იტყორდა ხოლმე, ჯანმრთელობა იყოს და დიდება თავისით მომდებნისო. თავისით არავენ მოგძებნის, დიდებისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე ბეწვის ხიდი უნდა გაიარო, მაგრამ ბეწვი თუ გაგიწყდა, დაღუპულია შენი საქმე, წყალწაღებულ კაცს ვერავითარი მაშველი რგოლი ვერ უშველის! ამიტომ აუტკივარი თავი სამსონ ალავიძემ ძალით არ უნდა აიტკივოს და ინგლისში პიესის დადგმაზე უარი უნდა განაცხადოს... იჯდება თავისთვის ლამაზად მშობლიურ ქალაქში, არც ცოლის მოყვანა დასჭირ-

დება და არც კოსტიუმების ყიდვა. მის თავზე დასადგმელი დაფნის გვირგვინი, და, სხვებმა დაიდგან, თვითონ მეხუთე დრამატურგი იყო და სხვებმა ლაც მეხუთე დარჩება, პირველობას არც გუგული ჩხობადეს შემოეღწეა და არც არავის. სადაც გაენარდებოთ, იქ მიატანონ თავიანთი პიესები, გინდა ჩინეთში და გასდა ელადივ სტოკში, სამსონი დრამატურგების ქალაქიდან ყვეს არ მოიცვლის. თუ მშვიდობა იქნა, ჩუთი წლის შემდეგ ერთ კომედიას, ალბათ, კიდევ დაუდგამენ მშობლიურ თეატრში და იმაზეც მაღლობელი იქნება.

რაკი გადაწყვეტილება მიიღო, სამსონ ალავიძეს ცოტა თხი მიეცა, ჭეშმარიტად ბრძნული გამოსავალი ვიპოვეო, მაგრამ გვიან შემოდგომის მთვარიან ღამით ამ საბრძნის შემფასებელი არავინ იყო და გული ისევ გალიაში დამწყვდეული ჩატივით შეუფრთხილდა. დაახ, მეხუთე დრამატურგი მარტოდმარტო ებრძოდა უძილობას და, ერთი ქარაული ანდაზისა არ იყოს, მარტოხელა კაცი ლოგინშიაც ბრალია.

ვითომ ათასი დარდი არ ემაროდა, ათასშევრთეც გაუჩნდა, ვაითუ შეკდი და დრამატურგია სალიტერატურო ასპარეზად ტყუილუბრალოდ ავირჩიეო. ალბათ, სჯობდა, ბავშვობის პირველ გატაცებას, ესე იგი, პოეზიას გაჰყოლოდა და თავისი დაუღალავი კალამი ლექსების წერაში გაე-ვარჯიშებინა. რასაკვირველია, ამ ვარჯიშით მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ადგილს პრეტექციითაც ვერ გაინადრებდა, მაგრამ, დრამატურგების ქალაქის პირობაზე, ცნობილი თუ არა, იმედისმომცემი პოეტი მაინც იქნებოდა.

საკითხავია, რატომ შეცდა და, ხატოვანი გამოთქმა რომ ვისმართო, სცენის მტვერი რატომ გადაყლაპა? განა არ სჯობდა, ზღვისპირა ბაღში სუფთა ჰაერი გადაეყლაპა, ნაცხობი გოგონები შოკოლადის ნაფინზე დაეპოტიებინა და შემდეგ მათთვის სატრფიალო ლექსები ეკითხა?

როგორც ძველი ბერძნები იტყოდნენ, ყველაფერში განგების ხელი ერია, რაც ქართულად დაახლოებით იგივეა, კაცი რომ ბჭობდა და ღმერთი იცინოდა... ახლაც დაწერილებით მოგახსენებთ.

ისევ ელინურ მითალოგიას უნდა დავეყვასოთ. თურმე, სატყევეაზრ-მული მწერლობის ყველა დარგს თავისი ძფარველი მუზა ჰყავს. კაცმა არ იცის, რომელი მუზა შეკავყარებს და საწერ მაგიდაზე დაგიფრინდება. სამსონ ალავიძეს ვერ პოეზიის მუზა ეთამაშებოდა შორიდან, მაგრამ დრამატურგიის მუზამ არ დაანება, სამსონი ჩემი სიმშათიან და შენ ტყუილად მაგ მაღლურ თვალებს ნუ უტრიალებო! რა ექნა პოეზიას, ძალიან ნაზი და მგრძნობიარე იყო, დრამატურგიის მუზასავით ორი თავი არ ება. ამიტომ სევდიანად ჩაილაპარაკა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, და სამსონ ალავიძეს სამუდამოდ დაემშვიდობა.



პატარა სამსონმა, ცხადია, ზეცაში მომხდარი ამბების არაფერი იცო-
და, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, ლექსების
წერას თავი დაანება და თოჯინების თეატრში „სამი გოჭის“ სანახაოდ
წაიღა. გოჭობის ასაკი რომ გაუვიდა, ნამდვილ თეატრს მიაშურა და კვი-
რადღეობით არცერთი სპექტაკლი არ გაუცდენია.

თეატრალური გათვითცნობიერების საწყის ეტაპზე სამსონ ალავიძე
დახვეწილი გემოვნებით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. თავად განსაჯეთ:
ნაკარქექიას ოინები ისეთსავე ზეგავლენას ახდენდა მასზე, როგორც ოტე-
ლოს უიღბლო სიყვარული, ამიტომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვა-
რდებოდა, ხან იცინოდა, ხან ტიროდა და ამ სიცილ-ტირილში, ქართული
პროზის დიდოსტატის გამოთქმა რომ ვიხსნათ, ყმაწვილკაცური ცხოვ-
რების ბედნიერა დღეები ნაბდით დაჭედილი ბედაურებავით გარბოდნენ.

დრამატურგების ქალაქის თეატრში კი, როგორც იტყვიან, შემოქმე-
დებითი ცხოვრება დუღდა და გადადუღდა. არა, ინტრიგებიც იყო, ღავაშ-
უბებიც, უსახელო წერილებს წერაც და რეჟისორთა გაქცევა-გამოქცე-
ვაც, მაგრამ სცენაზე მაინც ხელოვნების ღვთაებრივი ცეცხლი ვიხივებ-
და. როგორც წესი, პრემიერა წელიწადში ერთხელ კი არა, ყოველთვიუ-
რად იმართებოდა, ქალაქი მისი მოლოდინით ცხოვრობდა და ამ ქალაქის
შექმდებული მოქალაქეების მოღისიმიდევარი ცოლები სპეციალურად პრე-
მიერისათვის ახალ კაბებს იკერავდნენ.

იქნებ ვინმე შემოგვედავოს: იმ დროს, შეუძლებელია, შეძლებული
მოქალაქეები ყოფილიყვნენ, ყველა თანაბრად ცხოვრობდა და თანაბარ ზე-
ლფასსაც ღებულობდაო, მაგრამ მერწმუნეთ, შეძლებული მოქალაქეები
ყოველ დროს შეძლებულად ცხოვრობდნენ, საკუთარი მკერავიც ჰყავდათ
და თეატრის ლოჟაში საკუთარი ადგილიც ჰქონდათ დაჯავშნული. სხვაგან
შეიძლება სხვა სურათი იყო, მაგრამ დრამატურგების ქალაქში ყველაფე-
რი ისე ხდებოდა, როგორც ეს სამსონ ალავიძეს საკუთარი თვალთ უნა-
ხავს და დიდად ნიჭიერ ავტორს ამ შესანიშნავ მოთხრობაში გადმოუტა-
ნია.

ნამდვილად ღირსსახსოვარი დრო იყო. მსახიობებს ვალების გარდა,
არაფერი ამძიმებდათ — არც წლები, არც წოდებები, არც ორდენები, ამი-
ტომ ყველა მონდომებული იყო და ყველა თავის გამოსაღწეო ოფელს იღენ-
და. ხალხი ამას შესანიშნავად ხედავდა და სიყვარულს სიყვარულითვე
უპასუხებდა. მსახიობებს სცენაზე ხომ დიდი ტაშითა და ოვაციებით აჯი-
ლდობდნენ, მაგრამ სპექტაკლის შემდეგ უნდა გენახათ, რა ხდებოდა —
დღეს რომ წარმოგვეჩაღა დადის, ორი იმდენი მაყურებელი გასასვლელში
იცდიდა, სანამ მათი სათაყვანებელი არტისტები გრიმს მოიცვამდნენ,
ტანზე გამოიცვლიდნენ და ქუჩაში გამოვიდოდნენ. ერთი სიტყვით, მანამ

იცდიდნენ, სახამ ოიდიპოსი იოსებ ქობულაძემ არ გადაიტევოდა, იოვანე — ნინო შავაძედ, კიკეიძე — გულად კვირიკაძედ და გრიშუტკა — ასლან მეგრელიშვილად. ისინიც უბედნიერესი ადამიანები იყვნენ, რადგან მათი ქალაქი ხელის გულზე ატარებდა.

ყველაფერი ეს შორეულ წარსულში ხდებოდა, მე იმ წლებზე მოგახსენებთ, როდესაც ტელევიზია და დისკოკლუბები არ იყო და მოქალაქეთა აღზრდის უპირველეს საშუალებას თეატრი წარმოადგენდა. იგი, როგორც ადრე მოგახსენეთ, ეკლესიასავით ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას იდგა და, მღოღვლელების მსგავსად, მაყურებლებიც ყოველ საღამოს მისკენ მიიჩქაროდნენ. მაშინაც 8 საათზე იღებოდა თეატრის კარები, მაგრამ სპექტაკლი დღევანდელი კინოფილმებისაგან საათნახევარში კი არ მთავრდებოდა, არამედ შუალაქმდე გრძელდებოდა.

ასეთი გვიანი დროის მიუხედავად, უნდა გენახათ, როგორი ხალხმრავლობა იყო მაშინდელი პატარა ქალაქის პატარა ქუჩებში, რა კმაყოფილება ეხატათ სახეზე პროვინციული თეატრის ეალმოზდილ მსახიობებს. მდიდოდნენ და, როგორც აბანოდან გამოსულ არსენა ოძელაშვილს, უკან მტრედის გუნდის თაყვანისმცემლები მისდევდნენ, — კაცებიც და ქალებიც. ხანში შესულნიც და ხანში შეუსვლელნიც. რასაკვირველია, ბავშვებიც ბლომად იყვნენ. ისინი ერთმანეთს ბიძა-არტისტების როლების დაზეპარებაში ეჯიბრებოდნენ და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ, ხელებს გაშლიდნენ და პათეტიკურად გაიძახოდნენ: „ყოფნა — არ ყოფნა, საკითხავი აი ეს არის“, „მამას უბუხთლა და უფრთხილდი, შენც არ გიშუხთლოს“ და ასე შემდეგ.

მსახიობები კი, რომელი ლეგიონერებისა, ამაყად მიაბიჯებდნენ დაპყრობილი ქალაქის მთავარ ქუჩაზე და აფრიალებულ ხალხს თითქოს ვერც ამჩნევდნენ, რასაკვირველია, აღტაცებული შეძახილებიც შესანიშნავად ესმოდათ, მაგრამ უკან მაინც არ იხედებოდნენ, რადგან მათი ყური ქებადიდებებს კარგა ხანია შეჩვეული იყო.

მთავარი ქუჩა ცენტრალურ ტელეერაფთან მთავრდებოდა. ამ ადგილას დამპყრობლებიც და დაპყრობილებიც ერთი წუთით შეჩერდებოდნენ, სულს მოითქვამდნენ, და მერე ყველანი თავიანთი გზით წავიდ-წამოვიდოდნენ. ასაკოვანი მსახიობები, ცხადია, ოჯახისკენ აიღებდნენ გეზს, რომ ღოღინით დაღლილი ცოლ-შვილი გაეხარებინათ, უასაკონი, ანუ ახალგაზრდები, თავიანთსმცემელ ქალებთან ერთად, ზღვისპირა პარკში სასეირნოდ წავიდოდნენ. დანარჩენებს არც ოჯახში ეჩქარებოდათ და არც ბაღში. ისინი თავიანთსმცემელ მაშაკაცებს ხათრს ვერ უტყუხდნენ და სავანშმოდ ღამის რესტორანში შედიოდნენ, რომელსაც იმ ეპოქისათვის ფრიად კოსმოპოლიტური სახელი, „კალიფორნია“, ერქვა.

სულ ბოლოს თეატრალური ხელოვნების ყველაზე ერთგული კოჰორ-
ტა — მოსწავლე ახალგაზრდობა დაიშლებოდა ხოლმე. ყველა თავ-თავის
სახლს მიაშურებდა, რესტორანში შესვლას, ცხადია, ვერავინ გაბედავდა.
ისინი ომისშემდგომი წლების ზრდილი ყმაწვილები იყვნენ, სუურასთან
ჯდომას თეატრში ჯდომა ერჩიათ. უმრავლესობას წვერის პარსევა ახალი
დაწყებული ჰქონდა, მაგრამ ღვინის გემო საერთოდ არ იცოდა, შემოვრა-
ლეობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. მეტსაც გეტყვით: იმ ყმაწვილებს
თავიანთი სათაყვანებელი მსახიობები, მთვრალი კი არა, ნასვამიც ვერ წა-
რმოედგინათ, თუმცა, ერთ მშვენიერ ღამით...

მიხვდით, ალბათ, იდამინდელი ამბავი სწორედ სამსონ ალავიძეს
შეემთხვა, რადგან უცნაურ კარსკვლავზე იყო დაბადებული და ფათერაკები
ხშირად ატყდებოდა თავზე. იმ მშვენიერ საღამოს პატივცემული სამსონი
თეატრში არ ყოფილა, რადგან გამოცდები კარზე იყო მომდგარი და საჯა-
რო ბიბლიოთეკაში, ქართული ლიტერატურის ღრმად აოვისების მიზნით,
დადიანბის „კრიტიკულ ეტიუდებს“ იზებირებდა. საჯაროდან სახლისაკენ
მიმავალი დაღლილ-დაქანცული სამსონი, სრულიად შემთხვევით, რესტო-
რან „კალიფორნიიდან“ გამოსულ ოდნავ შეჩარხოშებულ იოსებ ქობულა-
ძეს შეენჩა და, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, თავზე მეზი დაეცა.
რასაკვირველია, ყველაფერი მოულოდნელობის ეფექტმა გამოიწვია. ამის
გაფიქრებაც კი ძნელი წარმოხადგენი იყო, რომ ასე პირისპირ დაუდგე-
ბოდი წინ შენს სათაყვანებელ კერპს, დაუდგებოდი კი არა, ღამის დაეჯა-
ხებოდი კიდევაც! მართალია, ამ დაჯახების შედეგად, ჩხირივით გამხდა-
რი სამსონ ალავიძე ახლავს იოსებ ქობულაძეს ძერასაც ვერ უზამდა, მაგ-
რამ ასეთ საქციელს მაინც უზრდელობაში ჩამოართმევდნენ და მომავალ-
ში სანანებელი გაუხდებოდა. ამიტომ იყო, სახეზე აღმური წაეკიდა და
ისეთი უმწყო გამომეტყველება მიიღო, მსახიობის ყურადღება უმაღლესი მი-
იქცია.

— რა იყო, ბიჭო, ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა იოსებმა.
დაბნეულმა ბიჭმა ხმის ამოდებადღე თავი გააქნია, რაც იმას ნიშნავ-
და, ცუდად არა ვარო.

— მაშ, რატომ ხარ ასე შეწუხებული, — არ მოეშვა მსახიობი.

— არაფერი... მე ისე... — ჩაილაპარაკა სამსონმა.

იოსებმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და შავი თმები ლომის
მერყ თავისი ვეებერთელა ტორი სამსონს ძმაცაცურად მხარზე დაადვა.

— რა ისე? რესტორანში შესვლას ხომ არ აპირებ?

— როგორ გეკადრებათ! — გადაირია ბიჭი, — რა დროს ჩემი რესტო-
რანია.

იოსებმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და შავი თმები ლომის
ფაფარივით ჩამოეყარა სახეზე.

— აი, მესმის! ღვინის სმას, ჩემხელა რომ გახდები, მაშინაც მიახ-
წრებ... ჰო, მართლა, იცი მე ვინა ვარ?

სამსონს, ჯერ ეწყინა, ასეთი მიუხედარელი რატომ ვგონივარო, მერე
გაეხარდა, ამხელა პიროვნებასთან თავის გამოჩენის საშუალება მომეცაო,
და რაც შეეძლო, რიხიანად უპასუხა:

— მსახიობ იოსებ ქობულაძეს მე კი არა, მოეღი რესპუბლიკა იც-
ნობს! (თავდაპირველად „ქალაქის“ თქმა უნდოდა, მაგრამ „რესპუბლიკა“
მაინც უკეთესად ჟღერდა).

საქვეყნოდ ცნობილ მსახიობს ქება არასოდეს აკლდა, მაგრამ იმ უცნა-
ური ბიჭის სიტყვები მაინც ძალიან გაეხარდა.

— შენ მართლა ყოჩაღი ყმაწვილი ყოფილხარ, — კიდევ ერისხელ მო-
ხვია ხელი მხარზე იოსებმა — იქნებ ჩემი როლებიც გახსოვს.

თავის გამოჩენის უკეთესი საშუალება სამსონ ალავიძეს არასოდეს
მიეცემოდა, მხოლოდ მორცხვობა უნდა დაეძლია და გამოჩენილ მსახიობ-
თან საკუთარი ნიჭიერება უნდა გამოემჟღავნებინა. გადაწყვეტილების მი-
ღებადღე ბიჭმა ჯერ იოსების მძიმე ხელი მორიდებით მოიშორა მხრიდან,
მერე ჩაახველა და მთრთოლევარე ხმით დაიწყო:

თქვენ კი, თებესელთ, აწ გაწმენდილთ ბოროტებისგან,
თხოვნით მოგმართავთ: აწ და მარადის
სიმართლე გქონდეთ ცხოვრების საგნად
და უკუნითი გწყალობდეთ ღმერთი...

ცრემლმორეულმა იოსებ ქობულაძემ სამსონს შუბლზე აკოცა.

— რომ იცოდეს, როგორ გამახარე, ჩემო ბიჭუნავ... იქნებ სხვა მონო-
ლოგებიც გაიხსენო, ოდისღ, მე ნუ მომბაძავ, საკუთარი ინტონაციით წა-
იკითხე.

— ოტყელო შეიძლება? — ჰკითხა სამსონმა.

— ოტყელო, ოტყელო! — ხელები გაშალა იოსებმა, — კეთილშობილი
მავრი... მიდი, აბა, დაიწყე!

სამსონ ალავიძემაც დაიწყო:

ჯერ შეიცადეთ, ვიდრემდე წახვალთ
მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა.
მე ვენეციის სახელმწიფოს განმგებელთათვის
გამიწევია სამსახური. თვისონც იცოიან...

იოსებ ქობულაძემ ბიჭს მონოლოგის დამთავრება არ აცალა, ბორღი-
ურზე შედგა და მთელი ჭუნის გასაჟონად დაიბუხუნა:

მაგრამ ამაზე არას ვამბობ, მე ვთხოვთ მას მხოლოდ, თქვენს წერილებში რომ აუწყებთ იმ ზედმავ ამბავს, მიწოდეთ იგი, რაცა ვარ მე, ნურც რას მოუკლებთ და ნურც ნურაფერს მიუმატებთ გაბოროტებით.

ლამის სინუმეში თოფის გავარდნასავით ეფექტი მოახდინა იოსების ბაგეთაგან გამოსროლილმა სიტყვებმა. ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერდა-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი გამოვივა (იმ დროს მანქანები კანტი-კუნტად დადიოდნენ), მაგრამ ხალხი ნამდვილად შეჩერდა. მე თქვენ გეტყვით და, არ უნდა შეჩერებულყო? თეატრში ოტელოს მონოლოგის მოსახმენად ერთი კვირით ადრე უნდა დამდგარიყავი ბილეების რიგში, აქ კა დიდსა თუ პატარას სრულიად თავისუფლად შეეძლოთ იოსებ ქობულაძის გარდასახვის დიდებული უნარით დამტკბარიყვნენ. ამიტომ იყო, ყველანი სულგანაბრული უსმენდნენ, გაოცება თანდათან აღტაცებაში გადავიდა, და როცა უბედურმა მაგრმა თავისი გაჭირვების მოყოლა დაამთავრა, იმხელა ტაშმა იქუხა, ნამდვილ სცენაზეც რომ არ მოუწყვეტია ბევრისმნახველ მსახიობს.

ეს მართლაც დაუენწყარი წუთები იყო, განსაკუთრებით სამსონ ალავეიძისათვის, რადგან სწორედ მაშინ შეჭვიცა საკუთარ თავს, ჩემი ცხოვრება აუცილებლად თეატრს უნდა შევწირთ... რასაკვირველია, ყველაფერი გამოუცდელობის ბრალი იყო, თორემ ასე ნაჩქარევად ცხოვრებას კი არა, პაიკსაც არ სწირავენ ჭადრაკის დაფაზე, თუმცა ყმაწვილის გულს ვინ რას გაუგებს! ალბათ, იმაზე დიდი ბედნიერება ძნელი წარმოსადგენია, რაც იმ დამით იოსებ ქობულაძემ განიცადა. სხვა რა პროფესიის კაცს უნდა დაემსახურებინა ხალხის ამხელა სიყვარული, თუ არა მსახიობს!.. მაშასადამე, გაუმარჯოს თეატრს და გაუმარჯოს სცენას!

დიახ, ეს იყო გარდატეხის წუთები სამსონ ალავეიძის არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე, მისი ბედი დღეის ამას იქით მხოლოდ და მხოლოდ თეატრს დაუკავშირდება! არც ექიმობა, არც ჟურნალისტობა, არც ინჟინრობა სამსონს უკვე აღარ იტაცებს, მხოლოდ სცენა და სხვა არაფერი! ცხადია, სცენაზე გასვლამდე სკოლიდან გამოსვლაა საჭირო, საშუალო ხომ უნდა დაამთავროს, ასე რომ, ერთი წლის ლოდინი კიდევ მოუწევს, მაგრამ მიზანდასახული კაცისათვის ერთი წელი ერთი სულის ამოსუნთქვაა... ბოლოს და ბოლოს, ის ბედნიერი დღეც დადგება, როდესაც სიმწიფის ატესტატს მიიღებს და ცხოვრების ფართო გზაზე გაინაგარდება. ეს გზა კი სამსონ ალავეიძეს ზუსტად თეატრალურ ინსტიტუტში მიიყვანს.

გაზაფხულის მზიანი ღამე იდგა, ოცნებასავით ღამაში და რწმენასავით ნათელი. ცას ატმები მოესხა, მოვარეც ანათებდა და ჰაერში აყვავე-

ბული მაგნოლიების სურნელება მძაფრად იღვრებოდა. მაგნოლიის ყვავილმა თავის ტკივილი იცისო, ამბობენ, მაგრამ სამსონ ალავიძეს — თავი ახლა ფიქრებმა აატკივეს და ამიტომ იყო, ასე აფორიაქებული მიუყვებოდა მთავარ ქუჩას იოსებ ქობულაძესთან ერთად. მართალია, მსახიობი მონოლოგს უკვე აღარ კითხულობდა, მაგრამ გამვლელ-გამომვლელნი მაინც დიდი მოწიწებით უხრიდნენ თავს და სულ „ბატონოს“ და „საყვარელოს“ ეუბნებოდნენ. მშვენიერი იოსებიც პასუხად მათ „თავად ბატონოს“ და „ძვირფასოს“ უბრუნებდა.

— ჩვენი თეატრის სიამაყეს ჩვენი მორიდებული საღამო! — შორიდან დაიწყო კრამა.

— გაგიმარჯოთ, თქვენი ჭირიმე! — თავი დაუქნია თეატრის სიამაყემ.

— როგორ ბრძანდებით, დიდებულ ოდიშოს?

სწორედ ასე, სცენაზე ნათამაშევი გმირის სახელით მიმართეს და ოდიშოსმაც ჩვეულებრივი მოკვდავის ენაზე უპასუხა.

— გმადლობთ, თქვენი ჭირიმე, ჯანმრთელობას, ჯერჯერობით, არ უუჩივი.

— ახალი როლით როდის უნდა გაგვახაროთ, ბატონო იოსებ?

— გახარებაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ მომავალ შაბათს პრემიერა მაქვს, გენერალი ბაგრატიონი უნდა ვითამაშო.

— ისევე შექსპირი, ხომ?

— კი, ჩვენი ქალაქის შექსპირის პიესაა, — კეთილად გაუღიმა იოსებმა. — ვოლდემარ შარაშიძე ხომ გაგიგონიათ?

— როგორ თუ არ გამიგონია! — ცოტა ეწყინა მოსაუბრეს, — მე ჩამოსული. კაცი ხომ არ გგონივართ, ბატონო იოსებ, მკვიდრი ქალაქელი გახლავართ... არცერთ სექტაკლს არ ვაცდენ ჩვენს სცენაზე, სხვათა შორის, ლადო მესხიშვილის თამაშიც მინახავს რკინის თეატრში.

— გაუმარჯოს აბა მკვიდრ ქალაქელს! — იოსებმა უცნობს ხელი მაგრად ჩამოართვა და თავისი ქუჩისკენ გაუხვია. სამსონ ალავიძე, ცხადია, უკან მიჰყვა.

— შენ რა, ამ უბანში ცხოვრობ? — ჰკითხა მსახიობმა.

— არა, მე ნავსადგურთან ვცხოვრობ, საბაჟოს ქუჩის სამ ნომერში, — ისე დაწვრილებით აუხსნა სამსონმა, თითქოს ეს კაცი მასთან სტუმრობას აპირებდა.

— მაშინ, ჩემო კეთილო, ჩვენ სხვადასხვა გზა გვქონია, — იოსებმა პაერი ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ მაგნოლიის ყვავილის მძაფრი სურნელი იმ მიდამოებში უკვე ვეღარ წვდებოდა.

ბიჭი მიხვდა, თავი მოვაბეზრეო, და სწრაფად აუხსნა.

— თუ შეიძლება, სახლამდე მიგაცილებთ და მერე წავალ.

— როგორ თუ არ შეიძლება, მადლობის მეტი არაფერი მეტქმის...

აგერ ჩემი სახლიც... ჰო, მართლა, არ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი?... მე...
თუმცა ჩემი ამბავი ყველაფერი გცოდნია.

— მე კიდევ სამსონ ალავეძე ვარ, — თავი წარუდგინა ბიჭმა, — ხომ
მერ პირველი ვაჟთა ქართული საშუალო სკოლის მეათე კლასში ვსწავ-
ლობ.

— სამსონ ალავეძე? — კითხვა დაუბრუნა იოსებმა, — არ მითხრა აბ-
ლა, ბენია ალავეძის შვილი ვარო!.. მე და მამაშენს რომ დრო გვიტარე-
ბია...

— არა, ბატონო, ბენია ალავეძეს საერთოდ არ ვიცნობ, მამაჩემს კი
აღფეხი ჰქვიაოდა.

— ჰქვიაოდა?

— დიახ, ორმოცდაორში დაადგა ნოვოროსიისკთან.

იოსებ ქობულაძემ ბიჭს ისევ მძიმე ტორი დაადო მხარზე, მერე
ის ტორი თავზე გადაუსვა და ბრიტანული გაპრიანებული თმები აუჩვენა.

— მაშ, ობოლი ყოფილხარ... დედა?

— დედა მყავს, ბატონო, სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს... და კიდევ
ჩემზე პატარაა, მიექვსე კლასში სწავლობს.

— შენ რომელ კლასში ხარ?... ჰო, მოთხარი უკვე, მეათეკლასელი ვა-
რო.

— დიახ, გაისად ვამთავრებ სკოლას.

— და აუცილებლად სამედიცინოზე აპირებ მოწყობას? — გაუღიმა იო-
სებმა.

სამსონ ალავეძეს, ცხადია, შეეძლო დიმილითვე თავი დაექნია და დი-
დი მსახიობი არ გაეწბილებინა, მაგრამ ტყუილის თქმა ვერ მოახერხა, მა-
ინც გაწითლდა და მორცხვად ჩაილაპარაკა, ექიმობა სრულებით არ მიტა-
ცებო.

— არც ინჟინრობა? — არ მოეშვა იოსები.

— არა. — უთხრა ბიჭმა.

იოსებ ქობულაძემ სამსონს ნიკაპზე ხელი მოჰკიდა და თავი აუწია.

— მაშ, რა პროფესია გიტაცებს?

ბიჭი დუმდა.

— ჰო, შენ გეკითხები, რამ დაგამუნჯა?

სამსონმა ჭირის ოფლი ჭრელი ცხვირსახოცით მოიწმინდა და მსა-
ხიობს თვალი გაუსწორა.

— მე, ბატონო იოსებ, არტისტი მინდა გავხდე...

— არტისტი? — თვალები გაუფართოვდა იოსებ ქობულაძეს, — ხუბ-
რომ თუ მართლაც მეუბნები?

— თქვენთან ხუმრობას მე როგორ გაუბედავ... არ ვიცოდი, თუ ასე გა-
გვიკვირდებოდათ.

— კი, ძალიან გამიკვირდა... ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდას არც მამამ და
რად გინდა, ღუპავ ოჯახს ხომ?

სამსონი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ალბათ, ხუმრობს ეს პატიოსანი კაცი,
მცირე ყოყმანის შემდეგ მაინც გაბედა და ჰკითხა.

— თქვენ რომ დღეს ხალხმა პატივი მიგაგოთ, იმის მეოთხედი სიყვარული
რომ ვინმეს არგუნოს ბედმა, განა ეს ოჯახის დაღუპვა იქნება?

იოსებ ქობულაძემ ხელები გაშალა.

— პატივისცემა კი, ბატონო, მაგრამ ოჯახს მარტო პატივისცემით
ვერ არჩენ... არა, ჩემი კეთილი, უფრო სახიერო საქმე უნდა გამონახო.

— მაინც რომელი?

იოსებს სახე ეშმაკურმა ღიმილმა გაუნათა.

— აი, მაგალითად, დრამატურგობა რომ ისწავლო, ფული ჩენჭივით
გექნება.

— განა დრამატურგობის სწავლა შეიძლება? — გულწრფელად გაუკვირდა
სამსონს, — მაგას ნიჭი უნდა.

მსახიობმა აუხსნა.

— ნიჭი ყველაფერს უნდა, მაგრამ მარტო ნიჭი არ კმარა, გატანაც
უნდა შეგეძლოს... ეს, სხვათა შორის, უფრო ძნელი საქმეა... ერთი სიტყვით,
რასაც დასწერ, დაუდგმელი არცერთი არ უნდა დატოვო.

ისე შთამბეჭდავად იღვრებოდა გაზაფხულის ღამის სიჩუმეში იოსებ
ქობულაძის ხავერდოვანი ბარიტონი, ისე მომხიბვლელად წარმოთქვამდა
იგი თითოეულ სიტყვას, რაგინდ ურწმუნო თომა ყოფილიყავი, მაინც თავის
სიმართლეში დაგაჯერებდა. სამსონ ალავიძესაც უკანდასახევი გზა
მოჭრილი ჰქონდა და მხოლოდ ერთი გაუბედავი შეკითხვა მოახერხა:

— განა ასე ადვილია პიესის დაწერა, ბატონო იოსებ?

სადარბაზოში შესული ბატონი იოსები ისევ ქუჩაში გამოვიდა.

— ადვილი არაა, მაგრამ...

— აი, სწორედ ეს „მაგრამ“ შემიშლის ხელს.

— ეგ არაფერი. შენ ეს მითხარი, ლექსებს თუ წერ?

— ლექსებსაც ეწერ და იგავ-არაკებსაც.

— რომ იცოდე, როგორ გამახარე... რომ დაწერ, ზომ არავის უმაღავ,
სკოლის კედლის გაზეთში თუ აქვეყნებ?

— კედლის გაზეთში კი არა, „ნორჩ ლენინელშიც“ დამბეჭდეს ორი
ლექსი, — ამჟამად განუცხადა სამსონმა (სინამდვილეში ერთი ჰქონდა დაბეჭდილი,
მაგრამ ერთიც კიდევ თავისი ნაწიერების გასაძლიერებლად დაუმატა).

— ოჰო, — დაიბუხუნა იოსებ ქობულაძემ, — შენ მართლაც სანაქებო
ყმაწვილი ყოფილხარ... თუ ზეპირად გახსოვს, ერთი ლექსი წამიკითხე.

სამსონ ალაკიმეს სიმორცხვე უკვე დაძლეული ჰქონდა.

— კი, ბატონო, ახლავე წაგიკითხავთ... თეატრზე ხომ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება!

მეტი სითამამე რომ მისცემოდა, სამსონმა ენერგიულად ჩააბკეცა და

დაიწყო:

პატარა ნუ გგონივართ,
მე ხომ უკვე დიდი ვარ,
ბილეთი მაქვს ნაყიდი
და თეატრში მივდივარ.

— ყოჩაღ შენ! — სიცილი ვერ შეიკავა იოსებმა, — ოღონდ ერთი მო-

საზრება მაინც უნდა გითხრა ამ ლექსთან დაკავშირებით.

— ბრძანეთ.

— დიდი მაყურებლის ამბავი გასაგებია, მაგრამ პატარასაც ხომ შეუძ-
ლია ბილეთი იყიდოს და თეატრში წავიდეს?

— პატარა მაყურებელს მშობლებმა უნდა უყიდონ ბილეთი და დილის
წარმოდგენაზე უნდა წაიყვანონ, საღამოს სპექტაკლზე მას არავინ შეუძ-
ლებს.

ბეჯითი მოსწავლის გულმოდგინებით უხსნიდა სამსონ ალაკიმე მსა-
ხიობს თეატრში შესვლის წესებს და ისიც მორჩილად თავს უქნევდა,
სწორი ბრძანდებითო. როცა ბიჭმა სათქმელი დაამთავრა, ერთხელ კიდევ
შეაქო.

— რომ მეგონა, შენ იმაზე უფრო ჭკვიანი ყმაწვილი ყოფილხარ, პიე-
სის დაწერა ნამდვილად არ გაგიჭირდება.

— ნუ მაქებთ, ბატონო იოსებ, მაინც ვერ დავწერ. — თავი მოისაწყვლა
სამსონმა.

— მთავარია, გაბედო. დრამატურგის კალამს თუკი ერთხელ მოკიდებ
ხელს, დამიჯერე, შემდეგ არასოდეს აღარ გადადებ.

ღმერთივით ლამაზი იოსებ ქობულაძე ამაყად იდგა თავისი სადარბა-
ზოს წინ და ახლადგაცნობილ ნორჩ თაყვანისმცემელს მამაშვილურად მო-
ძღვრავდა. პიესის თაობაზე მისი რჩევა-დარიგება, რასაკვირველია, სიმა-
რთლზე მეტი უწყინარი ხუმრობა იყო, ამას, სამსონ ალაკიმეც გრძნობ-
და, მაგრამ მსახიობის პროფესიას რაც შეეხებოდა, სრული ჭეშმარიტება
იყო. მაშინ როდესაც დრო იდგა, დაღსინებული არავინ იყო, ცხადია, არ-
ტისტებსაც უჭირდათ, მაგრამ ეკონომიკური ფაქტორი მათ ნათელ შემოქ-
მედებას ვერ აფერმერთალებდა. ისინი ჭეშმარიტი მსახიობები იყვნენ და
თავიანთ პროფესიულ მოვალეობას მუდამ პირნათლად იზდიდნენ.

ამასობაში იოსებმა ჯიბიდან ძველებური საათი ამოიღო.



— ოჰო, თორმეტი გამხდარა უკვე! — თქვა მან. რაც იმას ნიშნავდა, ჩვენი გამომშვიდობების დრო მოვიდაო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო იოსებ! — თავი მოწიწებით დახარა სამსონმა.

— კარგად, ჩემო საყვარელო ბიჭუნავ!.. რას იზამ, ღიზვალ შაბათს პრემიერაზე?

— როგორ თუ არ მოვალ, მე არცერთ პრემიერას არ ვაცდენ!

— ძალიანაც კარგად იქცევი, თუ არ აცდენ, მაშასადამე, გელოდები, შენი აზრი ძალიან მაინტერესებს... კიდევ პიესის ავტორსაც გაგაცნობ.

— ვოლდემარ შარაშიძეს?

— დიახ, ვოლდემარ შარაშიძეს!.. პირველი დრამატურგია ქალაქში... მერწმუნე, ძალიან კმაყოფილი დარჩები მისი გაცნობით... ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს... არა, ცოტა ადრე რომ იყოს, სახლში ავიდოდით და სიმბოლურად თითო ჭიქით აღვნიშნავდით ჩვენს შეხვედრას.

— მე, ბატონო იოსებ, ღვინოს არ ვსვამ. — შეახსენა სამსონმა.

— ჩაი მქონდა მხედველობაში, თორემ ღვინოს მე რომ ვსვამ, ავაშენე ვითომ ქვეყანა?.. ნახვამდის, ჩემო კარგო სამსონ.

ბილეთი მაქვს ნაყიდი

და თეატრში მივდივარ...

ჯერჯერობით სახლში მივდივარ, თეატრში შაბათს წავიდეთ, აბა, კარგად იყავი.

— ნახვამდის, ბატონო იოსებ.

— მერწმუნე, ჩემო კეთილო, ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანი.

— მეც მოხარული ვარ, ბატონო იოსებ, დღევანდელი დღე უბედნიერესი იქნება ჩემს ცხოვრებაში.

იოსებ ქობულაძე შუა კიბეზე შეჩერდა, მობრუნდა და ბიჭს გადმოსძახა:

— ასე პათეტიკურად რატომ ლაპარაკობ?

— იმიტომ, რომ დიდი მსახიობის გვერდით ვიდექი და მის რწევა-დარიგებას ვისმენდი.

— შენ ხუმრობაც გცოდნია, ჩემო სამსონ ბიძია!.. მერწმუნე, აუცილებლად დაწერ პიესას... თანაც კომედიას!..

ქობულაძის ნაბიჯების სმა კარგა ხანია მიწვდა, მაგრამ სამსონ ალავიძე მაინც მონუსხულივით იდგა სადარბაზოსთან და ყურში ისევ დიდ მსახიობის სიტყვები ჩაესმოდა, შენ აუცილებლად პიესას დაწერო.

ისე თქვენ ყველაფერი კარგად აგვიჩდაო, ძვირფასო მკითხველო, როგორც სამსონ ალავიძეს იმდამინდელი ნათქვამი აუხდა.

(გაგრძელება იქნება)

წიგნიდან „სიყვარული“

არც დავითარღები

ჩემო ძვირფასო,
შენს სიყვარულზე
სიტყვას რომ ვამბობ, დარდით
უფითრღები.

არ დაუფიქრებდი,
მე იმ წარსულზე
გაუცვლი ყველაფერს, არ
დაუფიქრებდი.
მიმაგონდები ხანდახან მწარედ,
ო, ამ სინანულს ვერ წაშლის
ხანი.

შენ მიმატოვე, მე დავრჩი გარეთ
გულდაწყვეტილი და ცრემლიანი.
ტბასთან, მიმქრალი მთვარის
ნათელში,

სადაც მტირალა თრთოდა
ტირიფი, —
ედგაუარ მდუმარედ, მე წიგნით
ხელში
და სახეში მცემს წვიმა ირიბი.
ასეა მუდამ, ყოველ მარტობას,
შენს მოლოდინში დარდით
ვირთვები.

იმ პირველ ტრფობას,
იმ პირველ ტრფობას
მოვიგონებ და მემსხვრევა
ფრთები.

წვიმს, იცრემლება ტირიფი
უხმოდ,

ტირიფი შენ ხარ, გაშლილი
თმებით.

ედგაუარ მოწყენით, შენს
აჩრდილს ვუხმობ
და იმ დღეებზე ოცნებით ვთბები.
მოგელი, ეიღრე დამაჰყნობს
სევდა,
ვიღრე ჩამოთოვს გულშიც
ფიფქები
მე შენი ტრფობა ამქვეყნად
მსდევდა,
იმ ქვეყანასაც შენი ეიქნები,
მოდო ძვირფასო, ერთს
გაკოცებ და
ისე მოკვდები, არც
დაუფიქრებდი...

გ უ ლ ი

მე შენზე ლექსებს აღარ დავწერ,
აღარ ვიმღერებ.
შენს სადღევრძელს აღარ ავწევ
ამ თასის მერე.
მე შენს ლოდინში ბაღში აწი
არ დავთელი ხეებს.
აღარ გაგიტობ ახალ ამ წელს
მაგ ციცქნა ხელეგს.
მე შენზე სიზმრებს აღარ ვნახავ,
აღარ ვიკვნესებ
და შენს ფეხებთან, სადაც დგახარ,
არ დავფრი ლექსებს.
შენდობა ვუთხრათ, გვიჯობს ასე,
იმ პირველ გრძნობას.
აწ ველარ დავთელი შენს ლოყაზე
ვარდისფურცლობას.

წაელთან წლები, დღეებს შეცვლის
დღეების რიგი.

აღარ ვიქნები ალბათ შენთვის
ამ დღეის იქით.

მე შენს საბუდარს ჩუმჩუმელად
აღარ ჩაუვლი.

თუმც სხვას მინებლი უშურველად,
აქ დაგჩა გული.

აღარ მოგიხმობ და არ მოგწერ
ამ დღეის იქით.

გული კი...

გული...

მას არ მოგცემ,

ტყვედა მყავს იგი.

ნუ მწერ

ისევ გახსოვარ,

ახალწლის ღამეს

ვკოცნე და ვკოცნე შენი ბარათი.

ვიწამე ჩემო, ახლა ვიწამე,

სიყვარულს ერთი აქვს მისამართი.

მიენდო გული შენს ალაღ

ლოცვებს,

გადაიფრინეს ცაზე მტრედებმა

დაგვებეღება ამ წელს საცოცხლე,

ამ წელს დიმილი დაგვებეღება.

ნუ მწერ, ძვირფასო, —

მზე მიწვეს მკლავზე,

ნუ მწერ, უშენოდ ვარ ბედნიერი.

დაღლილი სული ცრემლით მაქვს

სავსე,

სხვას კი ჰგონია, რომ მართლა

ვმღერი.

ნუ მწერ, არა გვაქვს პოეტებს

ღარდი,

ნუ მწერ სილაღე ჩემი ხვედრია.

ნუ მწერ, გიყვარდი,

ნუ მწერ, გიყვარდი,

აწ ყველაფერი ხომ სულ ერთია
თოვს,

მოწყენილი ბაღი თეთრდება,

არ გაიშლება აქ ახლად ვარდი.

მაგრამ თ, გული არ დაბერდება,

ნუ მწერ, რომ გულშიც ბარდნის

და ბარდნის.

ნუ მწერ, რომ ჭკნები, აფრენილ

ხოხობს

ისევ იმგვარად ჰგავხარ, ვით

ჰგავდი.

ნუ მწერ, გიყვარვარ,

ნუ მწერ, გიყვარვარ,

ისევ იმგვარად, როგორც

გიყვარდი.

ნუ მწერ,

თ, ნუ მწერ რაც უნდა მოხდეს,

სიყვარულს ერთი აქვს მისამართი.

ღ ა მ ე

ხიივებს, ხან მსხვერუღს, ხან

მრთელს

ეთამაშება ბროლი.

ვაჟი გადასწვდა სანთელს,

ქალმა შეიხსნა თორი.

ბაღში გადაჰყვა ქარი

მორცხვე ალუბლის რონინს.

ვაჟკათ საღლეგრძელო, დამი...

ამ ღამაზე ღამის ხსოვნის.

შუქი ცხოველი მთვარედ

ჩემთან დარჩება რომლის,

ჩემი დაკარგვის ღამე,

და ღამე შენი ჰოვნის.

ნუ, ხმა ნუ მოგაქვს, ქარო,

კვნესის,

ალერსის,



თრთოლვის.

ვაჟი: სიცოცხლის წყაროვ,
ქალი: უტკბესო ყოვლის...
ვით აღუბალი მღელის,
გდია საყურე წყვილი.
ისმის ღულუნა მტრედის,
როგორც ჭყელობინი ჩვილის.
სარკმელს აქანებს ქარი,

ტოტზე წკაბუნობს წვეთი
და ქანდარაზე მჯდარი
ტკბილად კრუსუნებს მტრედი.
სხივებს, ხან მსხვრეულს,
ხან მრთელს
ეთამაშება ბროლი.
ვაჟი გადასწვდა სანთელს,
ქალმა შეიხსნა თორი...

მოვალ

რისთვის ვჩქარობდი, შორს მყავდი როცა,
შინ დამხვდა სევდა და მარტოობა.
ჩემი ცხოვრების მაღალო ლოცვაჲ,
ჩემი იმედის ტკბილო რტოობაჲ.
წასულხარ,
დოქში დამშრალა წყალი,
სარკმელთან აღარ ჰყვავის ქოთან.
და სხვენზე მტრედის ღულუნა, წყნარი
შენს ხმას მაგონებს, ქარის მოტანის.
სადამოობით შრიალებს ვერხვი
და მე შენს ჩურჩულს ვუსმენ ნეტარი.
ასე მგონია, მოხვალ და მეტყვი —
შენს სიყვარულში მომკლა ნეტავი...
სიზმარი რაა, განმიდგა ისიც,
შენთან შეხვედრას რომ ვერ ვეწიო.
მთას ღეჩაქივით მოუსხამს ნისლი,
შენი გზა ახლა საით ვეძიო.
მოვალ, გულს შენი გენიით მოვწვავ,
გავიტან ნისლსა თუ უგზოობას.
ჩემი ცხოვრების მაღალო ლოცვაჲ,
ჩემი სიცოცხლის ტკბილო რტოობაჲ.

* * *

იყო წუთები — მიღალატნია,
ჯიოფილვარ ათას შერისხვის ღირსი.

მაგრამ შენს იქით არ მინატრია
ჯერ სიყვარულში მონობა სხვისი.
ჩემი ცხოვრება ვით სევდის წვეთი
შენს მოლოდინში ჩამოიღვენთა.
მიღალატნია...

თუმცა შენს მეტი
არვინ მყოლია ხატად და ღმერთად.
არვის მოუკლავს გული ანკარა,
გული რომელიც ცრემლისფერია.
მიღალატნია, მაგრამ ამგვარად
ჯერ არავისთვის არ მიმდერია.
არ მილოცია ხატება სხვისი
და სხვისი წყენა არ მინალეღია.
რაც უნდა იყოს, ამაყ სულს ვიცი
ჩემი ლექსები შენს წინ დახრიან.
გეტყვიან, ბედმა სადაც მატირა,
გულს მხოლოდ ერთი ფიქრით
ვღალავდი.

არ მინატრია,
არ მინატრია,
ჯერ სიყვარულში შენზე დაღატი.

* * *

სატრფომ თქვა, ერთი ხალხურ
საფლავის ქვაზე სწერია:
ვისაც მე ვიყავ ერთგული,
ეს უფრო ჩემი მტერია...

ხ ა ლ ხ უ რ ი

ხშირად იტყვიან, — გავიდა ყავლი,
და თვალწინ შენი მიდგას ქალობა.
ნეტა ბუღბუღი რად არ ვიყავი,
ოდნავ საშენო რამ მეგალობა.
ახლა სხვა არის ამ წუთის ფასი,
დუმილში გული გულთან საუბრობს.
ყველაზე მწარე ამივსე თასი
და სევდიანი მიმდერე უფრო.

დამწვია სული თვალების აღში,
როგორც ონაგარ თარვანას ფრთები.
შენს ღიმილს კეძებ სულ ყველა ქალში,
სულ ყველა ქალის მაშინებს თმები.
მომწყურდა შენი თვალების მდურვა,
და უშეზოებით გზებზე ხეტება.
ყველაზე უფრო ვისაც რომ ეძულვარ,
მხოლოდ იმისი მსურს გადმერთება.
უკანასკნელი ისევე სიტყვა,
ვით განწირული კაცის სურვილი.
ყველაზე უფრო მე მაინც მიყვარს,
ვისაც რომ ჩემი ჰკლავს სიძულელი.

ნ ა რ გ უ ლ ი

შენ ეგ სახელი ვინ გიხმო,
მთაში გაზრდილო ნუკრო.
ზოგი თვალს უფრო ენდობა,
მე გულის მჯერა უფრო.
წლები მიქრიან, შენს ვარსკვლავს
რა გაანელებს, უქრობს.
ზოგი თვალს უფრო ენდობა,
მე გულს ვენდობი უფრო.
დრომ ბევრი მოკლა ოცნება,
ფრთიანი, ზოგიც უფრთო.
ზოგჯერ ტკბილია სიცოცხლე,
ზოგჯერ მწარე და უღვთო.
არის ზოგი რამ, სასხვისოდ,
არ ითქმის სასაუბროდ.
რას იზამ, ჩემო, ბევრ რამეს
გული ინახავს უხმოდ.
უბუდოდ ვინ დარჩენილა,
უცალოდ, უგზო-უკვლოდ.
ახლა სადა ხარ, ნეტავი,
სად, რომელ მხარეს ფუტკრობ.
იხარე, თვალი ვერ გხედავს,
გული ხომ გლოცავს უფრო.
მთაში მოსულო ყვავილო,
მთაში გაზრდილო ნუკრო...

შენ სიყვარულზე საუბრობ გულთან
და მოზღვაგებულ ენებას ვერ ფარავ.
ისევ სიცოცხლეს ვუმღეროთ უნდა,
სხვა არჩევანი არა გვაქვს, არა.
ღაზამთრდა თუშცა,
აცივდა გარეთ,
სულში კი ისევ გაზაფხულია.
ვიცი მას აქეთ, რაც შემიყვარე
გული დარღებით გადახსულია.
ისევ, დაფრინდი იმედის ტოტზე,
შენ ზომ მზის სხივი ფრთებად გზურია.
მე სიყვარულზე არაფერს მოგწერ,
ყველა ოცნება წაკითხულია.
შენ კი,
ო, შენ კი ნუ დაგზარდება,
ბარათი შენი, იმედის კონცხი.
რომელიც მუდამ ასე მთავრდება:
ნახვამდის, გკოცნი,
ნახვამდის, გკოცნი...



იანვარ ქვემო

ჩეჩირჯალი ახმედ ეფე

რომანოს ერთი თავი

რაც ყანაღად გავარდა, ჰაჯის ერთ დღესაც არ გაუცინია. სულ თავ-
დახრილი, დაღრეჯილი იყო, ტირილის ხასიათზე არისო, იტყობი. სოფე-
ლში, თუ ეინმე გაუღიმარი და სახემოღუშული ბავშვი გამოჩნდებოდა,
ზედმეტ სახელად ჰაჯი-ყაჩაღს დაარქმევდნენ. ამას მიზეზიც ჰქონდა. ჰა-
ჯი-ყაჩაღს ისეთი შხამიანა ისარი ჰქონდა გულში მოხვედრილი, რომ ვერ
იფიწყებდა. რამდენიმე წლის წინათ ერთი ახალგაზრდა გოგო შეერთო ცო-
ლად, რომელმაც მასთან რამოდენიმე წელს იცხოვრა. ქალს მისი მოსამ-
სახურე შეუყვარებია, გაქცეულან და ცოლად შეურთავს. ოდემიშში ცხოვ-
რობდნენ. მოჯამაგირეს იმ ქალიდან ერთი ქალიშვილი შეძენია. ის ქალი-
შვილი მერე შემეღს შეურთავს ცოლად. ჰაჯი-ყაჩაღი მოხუცებული იყო. მი-
სი მოჯამაგირე კი ახალგაზრდა ვაჟაკი. ჰაჯიმ იმ მოჯამაგირესა და მის
ნაცოლარს ბევრი სდია მოსაკლავად, მაგრამ ხელში ჩაგდება ვერ მოახერ-
ხა. სოფელში რომ ყოფილიყო, იქნებ გაუსწორებდა ანგარიშს, მაგრამ რო-
გორც გითხარით, ჰაჯის შიშით ქალაქ ოდემიშში დასახლდნენ. ჰაჯი-ყა-
ჩაღის დაღონების მიზეზიც ეს გახლდათ.

ერთ დღეს მემედი გამოიძახა.

— შვილი მემედ, — უთხრა, — უკვე გაიზარდე, ვაჟკაცი გახდი, რაც
შემეძლო, ყველაფერი გაგიკეთე. შენთვის არაფერი დამიკლია. ვაჟკაცი ხარ,
უბატონოდ ხმას ვერავე გაგცემს. გაფრენილ წეროს თვალში მოარტყამ
ტყეიას. მე თუ ასეთ დროს სიკეთეს არ გამიკეთებ, როდის უნდა გამიკე-
თო? ცალი ფეხი საფლაგში მაქვს. მოგვედები და გულში ჩამრჩება. შენ
ახმედ ეფეს შვილი ხარ. სიტყვა შენზეა, შვილო, ჩემი ჯინი და ჩემი შუ-
რა შენ უნდა იბიო. მე შენს მეტი ვინა მყავს? ამ საქმეს უნდა მოუარო.
დროა უკვე, ჰაჯი ბიძიას ღარდი სამარეში არ ჩაატანო. ამ დღეს ვუც-
დიდი, ჩემი მემედი დავაჟაკდება და ჩემს შურს იძიებს-მეთქი. რაც ქო-
ნება გამაჩნია, ყველაფერი შენია. აგერ, დაბლა რომ ბაღია და ყანა, ყველა
შენია.

მემედმა თავი დალუნა, უთქმელად აღგა და წავიდა. პირდაპირ ჰაჯი მუსტაფასთან მივიდა, ყველაფერი მოუყვა. მანაც თანხმობა მისცა.

ერთი ამხანაგიც მიიმხრეს და ოდემიშში წავიდნენ. იმ ქალს, ქმართან ერთად ბილში, ყელი გამოჰჭრეს... უხმოდ, ისე რომ, არავის გაუგია, სახელიდან გამოვიდნენ.

მეძელი ყაჩაღ ჰაჯისთან მივიდა.

— შენ მტერს, რაც იმას დღე წაკვიდეთო, — უთხრა.

დიდად გახარებულმა ჰაჯიმ სოფელი შემოიარა. თხუთმეტი წლის ბიჭივით ღარბოდა, იცინოდა, ხუმრობდა, ერთობოდა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა, თითქოს ის ძველი დაღრეჯილი ჰაჯი არ ყოფილიყო.

მკვლელების ვინაობა უნდა შეეტყუოთ და ამ საქმის გამორკვევაც მემედის მამის მკვლელ ჰასან-ჩაუშს მიაწოდეს. ჰასან-ჩაუშმაც რამოდენიმე თვეში დაადგინა ცოლ-ქმარის მკვლელები. მეძელსაც მიაგნო. ერთ დღეს მოულოდნელად მემედი და მისი ამხანაგები დააპატიმრა ჰასან ჩაუშმა, ხელებზე ბორკილები დაადო და იზმირის უმაღლეს სასამართლოზე წაყვანამდე საპატიმროში მოათავსა.

მემედის ციხეში შესვლის დღესვე ყველა პატიმარი მოვიდა მის სანახაოდ. ზოგმა სიკეთე უსურვა, ზოგმა კი მისი დარდი არაფრად ჩააგდო ამათ მეძელზე ცუდად იმოქმედა.

მემედი ციხეში გამოცდილი ტუსაღივით მოქმედებდა. პირველ დღეს სულ არ გაუცინია, ლაპარაკსაც ერიდებოდა. ვინმე თუ ბაას დააპირებდა, ყურადღებას არ აქცევდა, სერიოზული იყო და ამაყი, არავის ემძინოდა, არც სხვის საქმეში ჩაერეოდა, თავისთვის იყო.

სამი თვის შემდეგ მთელი ციხის ასაყალ-დასაყალი გაივიო. სეიდ-ალასთან მეგობრობა დაამყარა. ის ერთი მდიდარი სოფლელი იყო, ბუნებით სერიოზული კაცი. თავს ბევრი რამ გაღახდენოდა. ასერით წელი ჰქონდა მისჯილი, ოთხი ადამიანი ჰყავდა მოკლული, ნამუსის შერცხვენა არავის ვაპატიო. მათ კარგად გაუგეს ერთმანეთს, სეიდ-ალას ახალგაზრდა კაცის თავმდაბლობა და სერიოზული ყოფა-ქცევა მოსწონდა.

— კაცი თუ ვინმე გამოეა, მაგისთანებიდან გამოვო, — იტყოდა ხოლმე. სეიდ-ალა დიდი გამოცდილი ვინმე იყო. სასამართლოს საკითხებში კარგად ერკვეოდა: მეძელს სასამართლოში წასვლამდე დიდხანს ასწავლიდა, მოსამართლეებთან როგორ მოქცეულიყო და რა უნდა ეთქვა. სასჯელის მუხლები ზეპირად იცოდა.

ციხეში ერთიც დელი იორუკი ეფე იმყოფებოდა. დელი იორუკი ძალღონიანი, დიდი ტანის ვინმე იყო. ათი კაცი მის ბრძანებას ემორჩილებოდა და ემსახურებოდა. მართლაც რომ ვიკი იყო, ბევრ სიავეს ჩადიოდა, ყველასაგან ხარჯს იღებდა. ახალმოსულს, მდიდარი იყო თუ ღარიბი, მისთვის გადასახადი უნდა მიეცა. დანახვისთანავე მემედსაც გადაეკიდა და გა-

დასახადი მოსთხოვა, მაგრამ უარი უთხრეს, რის გამოც მემედს გადაემტკრა და სულ კბილებს უკრეჭდა, საჩხუბარ მიზეზს ეძებდა, რამდენჯერმე მემედს თავისი კაცები მიუგზავნა, მაგრამ მის მუქარას უშიშარი ახალგაზრდა აინუნდია არ აგდებდა. ჰაჯი მუსტაფაც ვოველმხრივ მზად იყო.

დელი იორუკმა რომ შეამჩნია, მემედი სეიდ-აღასთან შეგობრობსო, ძალიან გაცხარდა. ციხეში დიდსა თუ პატარას სეიდ-აღა მამასავით უყვარდა.

ერთ დღეს დელი იორუკი სეიდ-აღასთან მივიდა.

— შენო, — უთქვამს, — თმა და უღვაში ვაგოთერებია, მაგრამ ჭკუა რომ ვერ გისწავლია, არა გრცხვენია, რომ ციხეში გუშინ შემოსულ ბაქ-შეთან, ყაჰბას შეილთან რომ მეგობრობ? კარგად დაიმჯსოვრე, აწი ის ყაჰბას შვილი შენთან აღარ უნდა მოვიდეს!

ეს ამბავი, ცხადია, მემედის ყურამდე მივიდა. ციხეში საიდუმლოს ეინ შეინახავს. ვითომც არაფერი მომხდარაო, თავი ისე დაიჭირა, არც სეიდ-აღასთვის უკითხავს რამე. ამის გამო, ცოტა არ იყოს, მემედის ავტორიტეტი შეირყა. მეტოქე ძლიერი ჰყავდა, ნახევარი ციხე მისი მონა-მორჩილი იყო, მტრებიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ დელი იორუკის დამბახნის ეშინოდათ. ფარულად და ამკარად ყველა მემედს ღაცინოდა. მემედს კი სჯეროდა, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

ამასობაში თვეწახევარი გავიდა. იმ ზნის განმავლობაში მემედი სეიდ-აღასთან შეხვედრას არ ცდილობდა. ეს ციხე მაინც რა იყო! ეგონა, ლომებთან მაქვს საქმეო და მელიების ხელში არ აღმოჩნდა? ყაჩაღებს და კაცის მკვლელებს დელი იორუკის წინაშე ხმა ვერ ამოუღიათ და მისი მონა-მორჩილი გამზდარიყვნენ, თუნგიტ წყალს უსხამენ, თუნგიტ ტუალეტამდე მისდევენ. ხომ კარგი სანახავი იყვნენ!

ჰაჯი-მუსტაფაც გულხელდაკრეფილი არ დარჩენილა, ისიც ემზადებოდა, ღამით მემედთან ერთად გეგმა დასახეს.

მემედმა თქვა:

— ჰაჯი ბიძია, ხვალ, როდესაც იორუკი ბოლთისცემას დაიწყებს, უნდა დავესიოთ და დამბახა უნდა ავართვათ. მერე საქმე როგორც გვინვენებს, ისე უნდა მოვიქცეთ. დელი იორუკთან პირველად მართო მე უნდა მივიდე. შენ დანარჩენ ამხანაგებთან ერთად მისი მომხრეები უნდა გააჩერო, რომ დახმარება ვერ გაუწიონ.

გათენდა. დელი იორუკი ღერეფანში ბოლთას სცემდა. ის რომ იქ იყო, სხვა ვერავინ გაჭაჭანდებოდა.

მემედი თითქოს რადიკის ასაღებად წავიდა, დელი იორუკმა ვერც კი შეამჩნია. მემედი იორუკს რომ გაუსწორდა, ელვის სისწრაფით ეტაკა, ძირს დააგდო. იორუკი უცებ ვერც კი მიხვდა, რა მოუვიდა, ხელი დამბა-



ჩაზე იკრა, მაგრამ იარაღი წელზე უკვე აღარ ჰქონდა. მემელი რომ დაე-
ტაკა, იმ წუთშივე დამბაჩა ამოაცალა და იქვე კარებში მდგარ ჰაჯის გა-
ფუგდო.

საშინელი ბრძოლა დაიწყო. ხან ერთი მოექცეოდა ქვეშ, ხან მეორე.
დელი იორუკი, დიდი ჯანის მიუხედავად, მემელს მაინც ვერ ჯობნიდა, რა-
დგან ათი წლის პატიმრობას დაეუძლურებინა, მემელი ხომ ახალგაზრდა
იყო. იორუკის დასახმარებლად მოსულები, წინ ათი კაცი რომ დაინახეს,
გაჩერდნენ, მოჩხუბრებთან მისვლა ვერც კი გაბედეს, შორიდან იყურებო-
დნენ. ჰაჯის დამბაჩა მათკენ ჰქონდა დამიზნებული.

დელი იორუკი ამოღო ემახდა თავის ხალხს.

— მომეშველეთ! სადა ხართ?

არავინ ჩანდა, ან ვინ გაბედავდა, როდესაც ჰაჯი დამბაჩით იდგა.

მემელი მუშტებს ურტყამდა, იორუკი სისხლში გაღვრილიყო, ღონე
არ შერჩენოდა. არც არავინ შეელოდა. ჟანდარმეებიც კარებიდან იყურე-
ბოდნენ, მათი კინკლაობით ერთობოდნენ. იორუკი სულ რომ დაუძლურდა,
კარები მაშინ გააღეს, ჟანდარმეები შევიდნენ და მოჩხუბარნი გააშველეს.


მკმედსა და იორუკს ხელბორკილები დაადეს. იორუკი სირცხვილისა-
გან ყველას პირს არიდებდა.

ამ ამბის შემდეგ მემელი ციხეში პირველი კაცი გახდა. მაგრამ არა-
ვისი მონა-მორჩილება არ მოუთხოვია.

ასე იყო თუ ისე, ციხეში ხმა გაერცელდა, აქედან გასელისთანავე მე-
მელი მთებში უნდა წავიდეს ყაჩაღად, მამის შური უნდა იძიოსო.

ციხეში დამბეზღებლებიც იყვნენ. ეს ამბავი მთავრობას შეატყობინეს,
მთავრობაცა და ჰასან-ჩაუშიც საგონებელში ჩავარდნენ, მაგრამ ბრალდე-
ბის დამადასტურებელი ფაქტი არ ჰქონდათ საკმარისი.

თურქულიდან თარგმნა იბრაჰიმ გორაკმაშ.



გრიგოლ როგავაძე

ე პ დ ო შ ვ ი ლ ი

უცნაურია ბედი ედღოშვილის, გაჰქრა ისე, რომ თავისი ნამდვილი სიტყვა არ უთქვამს. თქმა კი შეეძლო, რადგან მის ლექსებში, სიტყვასა და სიტყვას შუა, ამის უტყუარი ნიშანი მრავალი არის...

პირველი პერიოდი მისი შემოქმედების უმოაგრესად სოციალურია მოტივებით. აქ მგოსანი მებრძოლად გამოდის, მხატვრობის მხრით ეს პერიოდი სუსტია მეტად. არა იმისათვის, რომ ავტორი სოციალური მებრძოლეა, — მოტივს თავის თავად მნიშვნელობა არა აქვს: ემილ ვერჰარნი სოციალურ მოტივებს გვერდს არ უვლის, მაგრამ მისი სოციალური გმინვა ძლევამოსილი პოეტურობით იშლება. — სუსტია ეს პერიოდი ედღოშვილის შემოქმედებაში მისთვის, რომ მან სოციალური მოტივი უკანასკნელი სიღრმით ვერ განიცადა და პოეტურ იდეად იგი ვერ აქცია, ვერ გამოჰკვეთა... მრავალი მისი ლექსი ამ მხრით მხოლოდ გარითმული პროკლამაციაა სარეველუციო...

უფრო მდიდარია და უფრო ძლიერი მეორე პერიოდი მისი შემოქმედების: აქ მან საკვებით იგრძნო სამშობლო დედის ძუძუ (განსაკუთრებით გადახეწილობის ჟამს) და მრავალი მარგალიტი გადმოშალა, სამშობლოს სიყვარულის ცრემლით ათამამებული. ასეთია მაგალითად „უცხო მდინარის ნაპირზე“, „პირსისხლიანო ყორანო“ და სხვა... ხოლო მისი პოეტური ძალა მაინცა და მაინც არც აქ გაშლილა საკვებით. რაღაც უშლიდა ხელს; მგონი, საშინელი სენი, რომელმაც ჯვარს აცვა მისი სიტყვაყვეამას თვითონვე გრძნობდა: მისი ლექსი „გადატეხილი ჩანგი“ უთუოდ ამას ადასტურებს:

„მე რად მინდა გაზაფხული,
მისი მოხვლა მე რას მარგებს,
სიციცხლეს ვერ აათრთოლებს,
ვერ ამიწყობს ჩანგზე ჰანგებს!

გულს მიკლავენ ყვავილები,
მათი გაშლა არ მახარებს,
და ჩანჩქერიც, კლდის ჩანჩქერიც,
შორიდანა მაწვევებს თვალებს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სხვა.. დამერწმუნებით: თუ მეოხანს „ყვავილები გულს უკლავენ“ და „კლდის ჩანჩქერი გულსა სწვევებს“, იმ შემთხვევაში მისი პოეტური აფროთოვანება აღის მოსახსნამს ვერ მოიხსნამს და არც გამოიჭრება იმა აფროთოვანებისაგან სამარადო მხატვრობის ნაკვეთი. პოეტმა პირველ ყოვლისა უნდა სძლიოს თავის საკუთარ სიცოცხლეს, — მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ნამდვილ შემოქმედებას. წარმოვიდგინოთ: რომელიმე ხელოვანი პირადს ცხოვრებაში უბედურია საშინლად, მან ეს უბედურება ხელოვნებით უნდა ამოსწუროს. ხელოვნების ნაქნარში მოჰკლას. თუ ეს ვერ შესძლო მან, თუ მის შემოქმედებაში კიდევ გაიხსნის ტკივილი „პირადისა“, მაშინ იგი ვერ გამოვა როგორც ძლევაგამოსილი ხელოვანი. ევდოშვილის ლექსებში ბევრია ტკივილი „პირადისა“ — და მით მის შემოქმედებას ერთმევა ძლევაგამოსილება...

ევდოშვილს აქვს ერთი ლექსი („თვით ჩემი მუზაც ვეღარ იცლის“), რომელიც ყველა მის ლექსებზე უკეთესია, რომელშიაც ცხადყოფილია მისი შემოქმედი ბუნება. აი ნაწვევტი:

„მე ფერფლი-და ვარ ცეცხლზე დამწვარ საღამურისა,
მე გმინვა-ლა ვარ — მშველის გმინვა განგმირულისა,
მე ვარ ორბის ფრთა, მოტეხილი, მოღუნებული,
მე ვარ ვარდის ძირს მიგდებული მეღარი ბუღბული.
მიტომ ვუკრძალავ თავხედ მუზას შენს გახსენებას,
ამიტომ ჩანგსაც, რომ გიმღეროს — არ ვაძლევ ნებას!
და მხოლოდ ერთხელ... ეს იქნება უკანასკნელი —
სულს ამოჰყვება სიკვდილის წუთს შენი სახელი“...

დიდი განცდაა ამ ლექსში ჩამარბული... სიკვდილის წუთს უთუოდ ამოჰყვებოდა ევდოშვილის სულს „მისი“ სახელი... და ეს „სახელი“, ჩვენითვის სრულიად გაუხსენელი, ევდოშვილისათვის ისეთი წმიდათაწმიდაა, რომ მის გახსენებასაც კი უკრძალავს იგი თავის მუზას. შესაძლოა, ევდოშვილმა მისთვის ვერ სთქვა თავისი ნამდვილი სიტყვა.

1915 წ. გაზეთი „სახალხო ფურცელი“.



ლილი ჩიქოვანი

«არ ვიცი, ბატონო!..»

ყრუ დერეფნით მივდივართ. საცოდავად ბუუტავს ჭუჭყიანი ნათურა და გზას უსიამო ყვითელი ფერით „გვინათებს“.

ფეხწამოხაკრავი აქ მაინც არაფერია. მხოლოდ თავიდანვე ვარ გაფრთხილებული, როგორ უნდა მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ შემხვედრი ნაბიჯების ხმას გავიგონებ.

ის იყო, უნდა მოგვეხვია, რომ ბრძანებაც გაისმა:

— კედელთან! პირი კედლისაკენ! არ გაბედო გამოხედვა!

განკარგულებას სანიმუშო სიზუსტიითა და სისწრაფით ვასრულებ. მოუხვევით. ერთი სართულით დაბლა დავეშვით. ისევ მივდივართ. გამყოფი კმაყოფილია ჩემი „ნიჭიერებითა და მიხვედრილობით“ და ახლა უფრო მოკლედ იძლევა ბრძანებებს:

— კედელთან!

— წავედით!

მივდივართ. ბოლო არ უჩანს ამ უსასრულო მიხვეულ-მოხვეულ დერეფანს.

აქამდე მხნედ მეჭირა თავი, ახლა, ვატყობ, ნერვიულობას ვიწყებ. ვწუხვარ: არ მინდა, სიმზღაღეზე დავიჭირო ჩემი თავი, არ მინდა შესაბრაღისად გამოვიყურებოდე. პროტესტის გრძნობით პირთამდე სავსეს, გმირობის გამოჩენა მწყურია, მაგრამ ემოციები სწრაფად იცვლებიან.

როგორც იქნა, შევჩერდით ერთ-ერთი საკნის კარებთან. „ვახტიორმა“ ჯერ „სათვალთვალო“ გააჩხაკუნა, შეიხედა, თავი გადააქნია, შემდეგ ძლივს ამოარჩია საჭირო გასაღები და კარი ფართოდ გამოაღო.

სუნთქვა შემეკრა. ზღურბლზე გადაბიჯება გამიჭირდა. ვდგავარ გაქვავებული, ერთბაშად დამეხშო სმენაცა და მხედველობაც. მაინც ძაღვ მთქმვე გონს. „ვახტიორმა“ საკმაოდ უხეშად მიბიძგა და მომიხურა კარი.

ზურგიით ამ კარს მიყრდნობილმა, მისაღმება ვცადე და უაზროდ გავიღამე.

— ღმერთო, სულ ბავშვია! — ამბობს ჩურჩულით ერთი შუახნის კაცი ქალბატონს. მას სანდომიანი სახე აქვს და სიკეთითა და ცრემლიანობით სავსე თვალები.

მიმოვიხედე. დანარჩენებსაც დავაკვირდი. ისინიც უძრავად და უსიტყვოდ შემომცქერიან თავთავიანთი ადგილებიდან: სამი ზის, ორი დგას. უცერად ერთი ფეხზე მდგომთაგანი მოსწყდა ადგილს, გამოექანა ჩემსკენ ჭალარა თავის კანტურით, სულ ახლოს მომიტანა სახე სახესთან და მეუბნება:

На прутике записка:
«Не подходите близко!»
Записке ты не верь,
Я самый добрый зверь.
За что сижу я в клетке.
Я сам не знаю, детка.

ახლა მეორე მოდის.

— მე გიჟი არ გეგონოთ, — მეუბნება ისიც რუსულად, მაგრამ რაღაც სხვანაირი, თავისებური აქცენტით, — მე ეს-ეს არის, გადასახლებიდან დამაბრუნეს, ათი წლით პატიმრობა მაქვს მისჯილი, თმები იქ გადამიღეს. ეს „ფორმაც“, ახლა რომ მაცვია და გადარეულს მამგვანებს, იქაურია, „ჩემი ორგანიზაციის“ წევრები ვერ უპოვიათ, მგონია, ადგილებზე და, ალბათ, ისევ მომიწვობენ დაკითხვებს.

— მე კი, მე უბედური, ანეკდოტისტისთვის ვარ ჩავარდნილი, — უკვე ქართულად მომმართავს მესამე. — სეტაკ, პოლიტიკური მაინც ყოფილიყო. რაღაც სისულელეზე გიციანოდით ქალები, სულ სამნი ვიყავით. შემომიხსენენ: რიფსიმე, ერთი შენებურად „გუსუნებაზე“ მოგვიყვანეო“. მეც ხატრი ვერ გავუტყუე და... აი, ახლა აქ ვსიყარ. ერთმა დამაბეზლა (არ გაახარებს იმას ჩემი შვილების ცოდვა!). ერთიანად გადააკეთა, ყველაფერი გადასხვაფერა და ისე მიიტანა, ვითომ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამბავი. მოწმე არავის მოუკითხავს. იმ ღამესვე წამომიყვანეს. ძლივს გამოძვლივს კალთას ბავშვები.

ატირდა. აცრემლდნენ სხვებიც. მხოლოდ ერთმა ქალმა, კედელთან, ელნათურის გვერდით რომ მოკალათებულიყო და დიდის მონღოლებით მუროთ იღებავდა წამწამებს, შემოგვივლია: რა ვქნა, მეც მეტირება, მაგრამ, თავი თუ არ შევიკავე, ეს ოხერი მური შავად დამიდარავს მთელ სახესო (მისი ქმარი ცნობილი კულტმუშაკი, უფრო მეტიც, დედაქალაქის ერთ-ერთი განთქმული კულტურის კერის ხელმძღვანელი ყოფილა. იგი დაუბატიმრებდათ და ცოლიც — როგორც „ხალხის მტრის ოჯახის წევრი“ — დაუჭერიათ). სულით ზორცამდე გაიყიდა ეს ქალი გამოძიების დროს. არ მსურს მისზე ლაპარაკი. სხვაც არაერთი შემხვედრია ასეთი.

დაღა ჩემი ჯერი — მეც გავახსენდი. შემომეხვივნენ: რამდენი ხანია ჟებზე დგას და ჩვენს „აღსარებას“ ისმენს. ვინ იცის, რა უჭირს, როგორაა დაღლილი. სასწრაფოდ მიმიჩინეს ადგილი, დამსვენს, ახლა შენს შესახებაც გვიაშუ რამე, ცოტათი მაინც მოგეშვება გულზე და შევიმსუბუქდება ტვირთით.

ძალიან მოკლედ ვაცნობე, რომ მშობლები შარშან, 37-ში დამაპატიმრეს. ვარ დედისერთა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, კომკავშირიდან გამრიცხეს. ამას წინათ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრებაზე მომთხოვეს მშობლების დაგმობა. მე ეს ვერ შევძელი და, აი, ხომ ხედავთ, საბოლოოდ თქვენს შორის აღმოჩენილი-მეთქი.

წამწამებშიმურულმა ქალმა კატეგორიული ტონით აუკრძალა ყველას ჩემთან ლაპარაკი („ჩემი შეწუხება“). მთხოვა, მივწოლილიყავი, იქნებ ჩამძინებოდა კიდეც, თორემ აქ ღამით იციან გამოძახება დაკითხვაზე და, თუ დღისით ცოტა მაინც არ დაისვენე, იცოდე, გავიჭირდებაო.

მე, მართლაც, მეტისმეტად ვიყავი გადაღლილი. სულ მოკლე დროში იმდენი შთაბეჭდილება დამიგროვდა, ისდენი განცდით ვიყავი აფორიაქებული, რომ მეტი არავითარი „ინფორმაციის“ არც მიღება შემეძლო და არც ვაცემა.

მეწეკი. ჩამეძინა. ჩამეძინა კი არა, ღრმა ძალით დამეძინა. საკანში დღის 12 საათზე შემიყვანეს, ხოლო, როდესაც გამოძევება, საღამოს 8 საათი იყო. ცხელი წყალი შემოგვითანეს, პურის ნატეხი მეზობლებმა მიწილადეს. ასე „ვიკანშმეთ“ და დავლიეთ „ჩაი“. ამის შემდეგ მაინც როგორღაც გამოცოცხლდა, გამხიარულდაო თითქოს საკანი. მხოლოდ ერთი ფერმიზდილი სიფრიფანა ქალი მიმჯდარიყო კუთხეში და, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, მხოლოდ ხანდახან შემოგვანათებდა თავის უძირო, სევდით დანისლულ ლამაზ თვალებს.

ღიახ, ლამაზი, ძალიან ლამაზი ღურჯი თვალები ჰქონდა და ყორნის ფრთასავით შავი წარბ-წამწამები. ორი მსხვილი ნაწნავი კოჭებამდე სცემდა. ტანად პატარა იყო, კონტა და ჰეროვანი. მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირი ის იყო, რამდენი ძალა და სიმტკიცე, რა გაუტყენელი რწმენა და სებისყოფა გამოსჭვიოდა ამ, ფიზიკურად ასე სუსტი ქალის, მიღუვლი არსებიდან!

როგორ მინდა, მერწმუნო, მკითხველო, რომ მეხუთე საუკუნეში იგი შუშანიკი იქნებოდა, მკნეიდეტებში — ქეთევან წამებულა, მკოცეში კი ის, ვინც იყო სინამდვილეში — სარია ჯიხაშვილი, — ბოლშევიკი რევოლუციონერისა და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ნესტორ ლაკობას ღირსეული მეუღლე და თანამოაზრე, ქედუხრელობის უმაგალითო ნიმუში!

გაი, რომ „ხალხის მტრად“ მონათლული ლაკობა ამ დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო, მისი მეუღლის წამება კი გრძელდებოდა — ახლა

მისგან უნდოდით, რაც შეიძლება მეტი „ცნობისა“ თუ საჭირო „საბუთის“ „ამოქაჩვა“ (ყალბი იქნებოდა იგი თუ მართალი, ეს რა თქმა უნდა არა ვის აინტერესებდა, ეს არ იყო მთავარი).

ქალბატონი სარია ჩემი მისვლიდან 2-3 დღეში სხვა საკანში გადაიყვანეს, მაგრამ შემდეგ მე მას ისევ შევხვდი და ამჯერად საკმაო ხანი დაყვავით ერთად. მოვასწარი (მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა) დაახლოება, ერთმანეთის გულწრფელად შეყვარება. უკვე ძალიან ცუდად იყო, ხშირად და საეჭვოდ ახველებდა, ცხვირსახოცი მუდამ სისხლით დაწინწკლული ეჭირა ხელში.

მაინც ვერ გატეხეს, ვერ დაიმორჩილეს, ვერ მოაწერინეს ხელი ვერც ერთ მათ მიერ შეთითხნილ „ჩვენებაზე“, ვერ დაიყოლიეს და ვერ წარმოატყვევინეს ვერავითარი, თუნდაც სულ უმნიშვნელო, სიცრუე.

გადაიყვანეს საავადმყოფოში და, როგორც შევითქვეთ, აქ გარდაიცვალა. თუ ეს სიმართლეა, წარმოდგენილი მაქვს, რა მშვიდად და ამაყად შეეგებებოდა სიკვდილსაც ეს გასაოცარი პატარა ქალი — ჭეშმარიტად გმირი ქალი!

განა მისი ასე მოკლედ მოხსენიება კმარა? ქალბატონ სარიასზე წიგნი უნდა დაიწეროს და დაიწეროს პროფესიონალი მწერლის, მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატის მიერ. ეს კი, პირველ რიგში, შენ გადევს ვალად, ჩვენი დვიძლო, საყვარელი აფხაზეთო! თანაც უნდა იჩქარო, სანამ აქა-იქ კიდევ შემოვრჩენილვართ ცოცხალნი მისი ბოლო, გატანჯული წლების მოწმენი, მისი იშვიათი ზნეძალდობისა და ამტანობის თვითმხილველნი.

ისევ ჩემს პირველ საკანს ვუბრუნდები. აქ ნერვიულად დააბიჯებს მაღალი, გამხდარი, თავგადაბარსული პატიმარი ქალი, მოკლე ყავისფერი სატინის შავარშიაშემოვლებული ქვედატანი და ასეთივე ზედაწელი რომ აცვია. მის შესახებ დასაწყისშიაც ვთქვი რამდენიმე სიტყვა.

ეს ქალი (სამწუხაროდ, არ მახსოვს ზუსტად მისი სახელი და გვარი) წარმოშობით ბულგარელი ყოფილა. ქმარი ქართველი ჰყოლია. დრმა პატივისცემით იყო განმსჭვალული ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი ისტორიისა და კულტურისადმი. ცდილობდა, კარგი რძელობა გაეწია საქართველოსთვის და, მართლაც, უმძიმეს გასაჭირშიც უერთგულა თავის მეუღლეს, ჩირქი არ მოსცხო არც მის სახელს, არც მის ერს, არც თუნდაც ერთ უდანაშაულო ადამიანს.

მას არ ეშვებოდნენ. როგორც აბსოლუტურად ყველას, 37-38 წლებში დაპატიმრებულს, ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია და ორგანიზაცია. ბოლოს, მოულოდნელად, თურმე, ყველაფერზე თანხმობა განაცხადა, ხელი მოაწერა ყველა ყალბ „ჩვენებას“, მისგან რომ თვეების განმ-



ელობაში დაჯინებით მოითხოვდნენ, და გადასცა გამოძიებულს „ორგანიზაციის“ წევრთა სია. სიაში, მითითებისამებრ, 30 კაცი იყო. გაიხარეს განყოფილების მუშაკებმა, ამაყად თავაწეული დადიოდა „გამარჯვებული“ გამოძიებელი. ქალს 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს (რა თქმა უნდა, დაუსწრებლად) და გადააგზავნეს რუსეთში, ხოლო აქ შედგა თქერატიული ჯგუფი „ოცდაათი ხალხის მტრის“ „ასაყვანად“. ამას გაუთვალისწინებლად დიდი დრო დასჭირდა, რადგან (ოი, საოცრება!) ოცდაათივე „დამნაშავე“ თუ მეტის არა, 2-3 წლის გარდაცვლილი მაინც აღმოჩნდა. არც ერთი, არც ერთი ცოცხალი ადამიანი სიაში!

განუზომელი იყო ხელისუფალთა რისხვა და აღშფოთება. პატიმარი სასწრაფოდ დააბრუნეს და ერთი კვირის შემდეგ მის შესახებ არავის არაფერი სმენია, არც არავის შეხვედრია იგი რომელმაც საკანში — გაქრა სამუდამოდ მისი კვალი. არა! სიცოცხლე გაქრა, თორემ კვალს რა ვააქრობს? აბა, რისთვის და ვისთვის ვწერ ამ სტრიქონებს, აბა, რად შემოინახა ზსოვნამ საქართველოს ღირსეული რძლის ეს საკვირველი თავგადასავალი?! ნურც ნურასოდეს გამქრალა იმ წკვარამ ღამეში გავლებული მისი სათელი კვალი — უსახელო ბულგარელი ქალის ფასდაუღები მადლი და ამაგი!

...

გვიანი ღამეა. არ გვიძინავს. ჩვენს „ინტერნაციონალურ საკანში“, სადაც სამი ქართველი, ერთი სომეხი, ერთი რუსი და ერთიც ბულგარელი ვიმყოფებით, სრული „მშვიდობა და ერთგულება“ სუფევს. არც რამ ქონება, არც რამ ტერიტორია გაგვიანია სადაო და გასაყოფი, სამაგიეროდ უბედურება იმდენი გვაქვს, მთელს ღუნიას ეყოფა სავალალოდ!

უეცრად ზემო სართულიდან საშინელი ბრაგვანი მოისმა. მე შევკრთი, წაპოვხტი. დანარჩენებმა მხოლოდ გადახედეს ერთმანეთს. ბრაგუნი განმეორდა და ღამის სიჩუმეში განსაკუთრებული სიმკვეთრით გაისმა გატანჯული ადამიანის ცრემლნარევი ზმა:

— არ ვიცი, ბატონო!.. რა ექნა, ბატონო!.. არ ვიცი, ბატონო!..

ისევ საშინელი ბრაგვანი, ისევ განწირული შეძახილი:

— არ ვიცი, ბატონო!.. რა ექნა, არ ვიცი, ბატონო!..

— არ შეგეშინდეს, ეს ყიდაც მთერალი გამოუყვანიათ, ალბათ, და ის ღრიალებს, — მანუკეშეს ქალებმა ერთხმად. მხოლოდ ხარია ლაგობა წამოიწია თავისი ფიცრის ტახტიდან და მკაცრად მითხრა:

— გატყუებენ! და მე არა ვარ ამის მომხრე. რაც გესმის, ეს ჩვენი უსამართლო ზევდრია. მას დასსომება უნდა და არა მიჩქმალვა. ამ ჩმის ღავიწყება არ შეიძლება. შენ სულ ახალგაზრდა ხარ, მოესწრები, დაღვე-

ბა დრო, სამართლის აღზევებისა და ამ ხმის გამოძახებისა, რომ იგი ყველა
ლამ გაიგონოს და ისევე განიცადოს. თორემ, რა, კიდევ ერთი 445-
და ხმა ჩაწყდება, ჩაჩუმდება, დაიკარგება. რატომ? ან თვითონ მოკვდება
ის კაცი, ან მოკლავენ, ან, ყველაფერი „ვიციო“, განაცხადებს, ყველაფე-
რზე ხელს მოაწერს როგორც ბევრი და, ვინ იცის, კიდევ რამდენ რჩეულ
და უდანაშაულო ადამიანს ამოაყოფინებს აქ თავს! ამას იმიტომ კი არ
იზამს, რომ, ვთქვათ, უნამუსოა, არამედ იმიტომ, რომ მეტი აღარ შეუძ-
ლია, აღარ შეუძლია, აღარ... აღარ... შემდეგ თავიდან დაიწყება და განმე-
ორდება (არ ვიცი, როდემდე) ყველაფერი!..

მე ვკანკალებ. ვუსმენ ლანდადქცეული ქალის „ფოლადნადნობ“ სიტ-
ყვებს და თან, თუმცა, ეტყობა, კარგა ხანია დამთავრდა დაკითხვა, მაინც
იმ უბედური პატიოსანი კაცის სულის შემძვრელი ხმა ჩამესმის:

— არ ვიცი, ბატონო!.. არ ვიცი, ბატონო!..

არა, ეს ხმა როგორ დამაციწყდება! ათეული წლების შემდეგაც, თუ
ვიცოცხლე, მე მას ათას ხმაში გამოვარჩევ, ათას ხმაში გამოვიცნობ! —
შფოთვით ვფიქრობ და ვჩურჩულებ ჩემთვის.



ამირან თურაძე,

ტახეკრ „ფორე მოსულიშვილის“ კაპიტნის
უფროსი თანაშემწე

საუბრის აღმოსავლეთით

ჩემი ჩანაწერები იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ტახეკრ „აქტაუზე“ ვმუშაობდი.

...ლოცმანი რობერტ ოდიშარია სალოცმანო კატარღაზე ჩავიდა და ტახეკრმა მშობლიური ნავსადგური დატოვა.

იხევ რეისი, დღე დღეს მიჰყვება და ღამე—ღამეს. შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში ვახტი ვახტს შეცვლის და ხომალდის ცხოვრება ჩვეულებრივად წარიმართება.

მანამდე კი...

გვში ნახევარ წელიწადზე მეტს დროებითი იჯარით თავისუფლების კუნძულზე მუშაობდა. მოკლე გადასვლა, ნავსადგურში ხანმოკლე დგომა... ინტენსიური სატვირთო ოპერაციები საშუალებას არ იძლეოდნენ, დროზე ჩატარებულიყო ხომალდის პროფილაქტიკური და შესაკეთებელი სამუშაოები. საბოლოოდ ეს ტახეკრის ტექნიკურ მდგომარეობას დაეტყო. და აი, მოუხდა „აქტაუს“ საბაზო ნავსადგურში შესაკეთებლად ყოფნა...

დაიწყო დიზელ-საწვავის დატვირთვა და კაპიტნის მეორე თანაშემწის მ. კარამატოზიანის, მატროსების ა. ვერულიძისა და დ. ფანცულაიას ხელშეწყობით ყველაფერი მოგვარდა, წესრიგშია ყოველივე, ტვირთი მიღებულია „ზომა-წონაში“ განსხვავების გარეშე და ხომალდი ეთიოპიის ნავსადგურ ასების გზას გაუდგა.

ეკიპაჟი თითქმის მთლიანად შეიცვალა და წინ ახალი სამუშაოა, ეკიპაჟის ახალ წევრებთან, ახალი ხალხი, ახალი ხასიათები... ეს ჯერ როდია კოლექტივი და კაპიტანმა ვ. კარახალაშვილმა, მისმა პირველმა თანაშემწემ თ. კანდილაკმა, უფროსმა მექანიკოსმა ა. მინოსიანმა ბევრი უნდა იშრომონ, რომ ნამდვილი და მჭიდრო კოლექტივი შექმნან. ზელახლა უნდა ჩამოყალიბდეს პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, პოლიტიკური, ტექნიკური განათლების სკოლები და ასე შემდეგ.

ეკიპაჟი რეისში გასვლამდე რამდენიმე საათის წინ დაკომპლექტდა და თუ მეთაურთა შემადგენლობა, ახე თუ ისე, ერთმანეთს იცნობდა, რიგითნი პრაქტიკულად პირველად აღმოჩნდნენ ერთ გემზე.

როგორ წარიმართება მათი ურთიერთობა, შეერწყმიან თუ არა ერთმანეთს ხასიათებით? უპირველეს ყოვლისა, ეს გვაღელვებდა.



აქ ძირითადია აღზრდის ორი მეთოდი: კოლექტიური და ინდივიდუალური. აღზრდის ინდივიდუალური მეთოდის შემადგენელი ნაწილია ყურადღება და გულითალობა. ასე, მაგალითად, მატროსმა ამირან ვერულიძემ ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი დაამთავრა. უმაღლესში შესასვლელად ემზადება. თავგამოდებით მეცადინეობს, განსაკუთრებით ინგლისურ ენაში. კონსულტაციისათვის ხშირად მომაკითხავს სოლმე. მეც ვალდებული ვიყავი თავს შეძლებისდაგვარად დავხმარო, რა დროც უნდა იყო.

ამ რეისში ჩვენთან მოვიდა მატროსი დავით ფანცულაია. ჰერ კიდევ 1979 წელს დაამთავრა მან ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი და ხომალდებზე მუშაობს. პრაქტიკულად შეეზარდა საზღვაო ცხოვრებას, შტურმანობა მოინდომა და ოდესის საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის, ფლოტის საინჟინრო ინსტიტუტის ბაქოს ფილიალში ჩაირიცხა, მაგრამ არც იგი იოლია მუშაობდე და მეცნიერებასაც დაუმეგობრდე, შეიძინო ცოდნა — ჩვენ ვატყობთ ამას და შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობთ...

თავის პირველ რეისში გადის ამირან მანაქაძე, ისე კი მთელი სამი წელიწადი მუშაობდა ნაპირზე. კეთილი და მგზნობიარე ბიჭია, გულმოდგინე მუშა შემსრულებელი. უარს არავითარ სამუშაოზე არ იტყვის, მაგრამ როგორი იქნება ახალ ამალაში? მისი „შეფობა“ ბოცმანმა გიორგი ჭყონიამ იკისრა, შედეგიც მალე გამოჩნდა — ახალგაზრდამ ნელ-ნელა შეისწავლა რთული საზღვაო საქმე.

ახლა. ახალბედებთანაც გვიწევს მუშაობა და დიდ ენერგიას ვხარჯავთ, ხანამ მათგან ნამდვილი მეზღვაურები, კოლექტივის სრულყოფილებიანი წევრები დადგებოდნენ.

„აქტაუ“ გაშლილ ზღვაში მიემართება. საღამოს ათ საათზე შევიდვართ სუეცის არხში.

ხომალდზე ამოდის ლოცმანი. შემდეგ გაბღენძილი აგენტი ქაღალდების მთელი დასტითა და სააგენტოს „მოხელით“, ამ ქაღალდების ტარება რომ ახარია, აგენტი თავს რად შეიწუხებს, ორიოდ გროშისათვის რომელი უმუშევარი არ დათანხმდება ამ ქაღალდების ტარებას. საკარანტინო სამსახურის ექიმსაც თავისი „მონღელი“ მოჰყავს. შემდეგ სუეცის არხის აღმინისტრაციის კატარღა მოადგება გემს ნაპირის მატროსებით. წესდების თანახმად, კატარღა გემბანზე უნდა ამოვიტანოთ და მატროსებიც ჩვენთან დარჩნენ არხის გავლის პერიოდში, მოულოდნელი შეფერბებისას ისინი უნდა „დაგვეხმარონ“...

სუეცის არხი. მასზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია დაწვრილებით ადგწერო. იმას ვიტყვი მხოლოდ, ბოლო წლებში იაპონელებმა ბევრი გააკეთეს არხის გასაფართოებლად და გახადრმავებლად, სუპერტანკერებისათვის მიხედვით რომ გასდარიყო იგი.

აი, ნახადგური სუეციც, არხის ბოლო წერტილი. ლოცმანი ხასწრაფოდ ტოვებს ხომალდს სწორედ იქ, სადაც უამრავი გემია თავმოყრილი და მისი ყოფნა ფრიალ ხაჭირია.

შემდეგ სუეცის ყურე და წითელი ზღვა. წყალი ანკარა და სუფთაა, მუქი ციხფერი. მაშ, რად ეწოდება მაინცდამაინც წითელი? ამაზე ბევრი ფერსია არსებობს, მაგრამ მგონია, ძლიერ ხამხრეთ-ღასავლეთის ქარს უღასნოების მორბუნო-მოწითელო ქვიშა რომ მოაქვს და გემებს უმოწყალოდ ფარავს. ამიტომ მჭვია ამ ზღვას წითელი, ალბათ.

ახემში საწვავი მოგვაქვს, შემდეგ საბალასტო (ცარიელი) გადახვლა ბომბეში, იქ ლავიტორიებით ძალმის ზეთით და ილიჩოვსკი ჩავიტანთ. საწვავი მივიღეთ მთელი გადახვლის განმარებებით, ე. ი. ბათუმი — ასები — ბომბე — ილიჩოვსკი, მტნარო-

წყალი კი — ასებამდე, რადგან იქ შეიძლება წყლის მარაგის შევსება. ამის იმედით წამოვიღეთ ზეგვევითი ტვირთი, მაგრამ... მდგომარეობა შეიცვალა.

ასებში ღამით მივედი, ღუზა ჩავუშვით სამუშაო დღის დაწყების მოლოდინში. გათენებისას შევაჩინეთ ტანკერი „აქტაში“, ნავმისადგომთან რომ იდგა. ნავსადგურის ამონახატრაციამ რაღიოთი გვაცნობა, რომ ჩვენ „აქტაშის“ შემდეგ დავდგებოდით. წყლის მარაგის შევსებაც იმ დროისათვის შეგვპირდა. დღის პირველი საათისათვის „აქტაში“ ნავმისადგომი დაცალა და მასაუას ნავსადგურისაკენ გაეშურა, ველით მი-თითებას, რომ ნავსადგურში შევიდეთ, როგორც გვეუბნებოდა, ხდება უმნიშვნელო ცვლილება — საჭიროა დაიტვირთოს პატარა ტანკერი ძალზე სასწრაფო ტვირთით. ასე რომ, გვაპატიეთ, საღამოს თუ არა, დილით აუცილებლად დადგებით ნაპირთან.

— წყლის საკითხი?

— წყალი იქნება.

— იქნებ რეიდზე მოვტანათ?

— ამის საშუალება არა გვაქვს და არც არის საჭირო. დილით დადგებით ნაპირთან.

დილაჲ გათენდა, ძალზე სასწრაფო ტვირთიანი „პატარა ტანკერი“ ისევ დგას. შუ-აღდგასაც იქაა... ბოლოს ვდებულობთ მითითებას — ღუზა ამოვიღეთ, მასაუას გზას გა-ვუყვით.

— წყალი? წყალი რომ არა გვაქვს? გადმოტვირთვას ვერ შევძლებთ, ქვაბების ჩა-ჭრობა მოგვიწევს.

— წყალი პრობლემა როდია, ჩვენ დროზე ვაცნობებთ აგენტს და მიიღებთ მასა-უაში.

— ყველაფერი ცხადია, ოღონდ თავიდან მოგვიშორონ და...

მითითება მითითებაა, სანაოსნოსთან შეთანხმების შემდეგ ვბრუნდებით მასაუაში, რომელიც ერთი დღე-ღამის წინ გამოვიარეთ.

ამდენივე დავკარგეთ აქ, ასებში, ნავმისადგომის მოლოდინში. ამდენივე უნდა მასა-უაში გადასვლას, შემდეგ გავეშურებთ ბომბისაკენ. მოკლედ, ოთხნახევარი დღე-ღამე იყარგება, დღე-ღამე ტანკერის მოცდენა კი 2.200 მანეთი ჯდება. წყალი იყრება 0.900 მანეთი, ამას მივუმატეთ წყლის მომარაგების დრო...

მეორე დღეს, 18 საათზე, მივაღწიეთ მასაუას. როგორც მოველოდით, „აქტაში“ იქ დაგვხვდა. ტვირთის მთავარი ნაწილი „მოზილოლითან“ გადმოტვირთა, მაგრამ რა ჭეშა დარჩენილი 400 ტონისათვის? ან „აჭიკ პეტრიოლიუმ კომპანი“ წაიღებს აქვე, ან ასებში დაბრუნდებით — აცნობებს „აქტაშს“. ასებში არ იდგა გუშინწინ?..

ვდებულობთ მითითებას: დღეამდე ელოდეთ, ჩვენც „აქტაშის“ გვერდით ვდგე-ბით.

— წყალზე რას გეცხუო, ჩვენი და ასებელი აგენტის ინფორმაცია თუ მიიღეთ?

— არავითარი ინფორმაცია არ მიგვიღია. წყალს გერავითარ შემთხვევაში ვერ მო-გიტანთ, ტანკერების სადგომთან წყალგაყვანილობა არ მოდის. კარჭაბი არ გვყავს და რეიდზე ვერ გამოვიგზავნით წყალს. დამცლებით „მოზილოლითან“, გარეცხავთ და გა-ანიავეთ სატვირთო სათავსებს, გადაგიყვანთ შიდა ნავსადგურში და...

— ტანკერს ვერ გადმოტვირთავთ, ქვაბიხა და მთავარი ქრავისათვისაც არ გვრჩე-ბა წყალი.

— რეიდზე წყალი რომ მოვითანათ, ამის საშუალება არა გვაქვს.

— ხომ გყავთ გაწე წყები. დასაცლელად საჭირო 10 ტონა წყალი მაინც მოგვი-ტანეთ.

— არც გამწე წყები გვყავს და არც წყალი გვაქვს. დაგაყენებთ დასაცლელ წერ-ტილზე და, რაც გინდათ, ის ქენით.

დილაადრიან კიდეც ერთი ახალი ინციდენტი. ნავსადგურიდან რადიოტელეფონით აცნობებენ „აქტაშს“: მანქანა გაამწვადეთო. ჩვენც გვიხარია: როგორც იქნა, უშველა, არ მოუხდება ასეში დაბრუნება. მაგრამ... სალოცმანო კატარღიდან გაისმის ახალი ბრძანება: — „აქტაშ“, ამოიღეთ ღუზა!

— კი მაგრამ, „აქტაში“ რომ უნდა წასულიყო?

— ასე იყო, მაგრამ გეგმა შეიცვალა.

კიდეც კარგი, მანქანა ხუთწუთიან სამზადისზე გვყავდა გადაყვანილი, ხანამ გავუშვიტ, საკონტროლოდ ავამუშავეთ, ლოცმანიც ამოვიდა. მოსაღწევის ნაცვლად იყვია, მაგრამ რა იყვია — არ ამოვიღიათ ღუზა?! იმ მამაცხონებულს „უიგულო“ ხომ არ ჰგონია ამხელა გემი — ნ წუთის განმავლობაში მანქანაც გაუშვა, საკონტროლო ბრუნიც გააკეთო და ღუზაც ამოიღო? ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

როგორც იქნა, ნავსადგურში შევედით. „მოზილოილის“ წარმომადგენლებმა გაწომეს და დაითვალეს ტვირთი. ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ წყალი? აგენტო მიუთითებს ნავსადგურის კაპიტანზე. ნავსადგურის კაპიტანი — „მოზილოილზე“, „მოზილოილი“ კი — აგენტზე. მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა.

— ვატყობ, რომ თქვენ არ გინდათ ტვირთი?

— ტვირთი გვინდა, მაგრამ წყალი რომ არა გაქვთ?

— ბუქსირით მოატანინეთ 10 ტონა წყალი.

— ბუქსირი არ მოიტანს წყალს.

— მაშ რა გქნათ?

— იდუქით ასე.

— ხანამდე?

— გაიგეღს დაცლისთვის განკუთვნილი დრო და რეიდზე დადგებით. მეგობრულად გირჩევთ: წადით, სადმე იშოვეთ წყალი და შერე მოდით.

— სად უნდა წავიდეთ? ყველაზე ახლო ნავსადგურ ადენამდე ოთხნახევარი ღღელამის გზაა, აშდენივე უკან. წყლის მიღებასაც დრო უნდა. ეს კიდეც უქმად დაკარგული 12.100 მანეთი.

— მოვრჩით ლაპარაკს?

— არა, გერ არა.

ცბაზეც მეხსიერებას... ბატონი ნიკოლოზ... მისი ტელეფონის ნომერი გამოვქმეკე ხაიდანდაც. გერეუ ნომერს: — საქართველოში, მოზილოიურ ქარელში წასულა სახლთა სავაქრო წარმომადგენლობის თანამშრომელი.

ვინ, კიდეც ვინ? — ფიქტობს გამაღებო.

აჰა, ვიქტორ ანდრიას ძე, აი ის, ნაცნობი ციხიბრელი! და ისევ ტრიალებს ტელეფონის დისკო. ხანგრძლივი მოლაპარაკება აღვილობრავ ხელსუფლებთან და, ბოლოს, როგორც იქნა, მთელი ღღელამის დაკარგვის შემდეგ ბუქსირმა მოიტანა ათი ტონა წყალი. დაეწყო ტანკერის გადმოტვირთვა.

ხანამდე გემი იცდებდა, გადაუხზვე თემას, ეთიოპიაზე ვიტყვი ორაოდე სიტყვას. საუკუნეების მანძილზე იბრძოდა იგი დამოუკიდებლობის დასაცავად მრავალრიცხოვან დამპყრობთა წინააღმდეგ. 1874 წლის თებერვლის ანტიფეოდალური რევოლუციის შედეგად პროგრესული განვითარების გზას დაადგა.

მასაუა ქვეყნის მთავარი ნავსადგურია.

გადმოტვირთვა დამთავრდა. ვინ დაძრავს წყალზე კრისტს, ოღონდ ადენამდე მივაღწიოთ. ქრის არცთუ ძლიერი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, ზღვის მღელვარება მ-4 ბაღს აღწევს; ჰაერის ტემპერატურა კი მ-6 გრადუსს. ჩვეულებრივი ამინდია და სახლმოდდე სამუშაოების შესრულების ჩვეულებრივი პირობები.

სამი კაცისაგან შემდგარი ზოცმანის ბრიგადა (სამწუხაროდ, სხვადასხვა თაღუნებისა და მოწოდების პასუხად გემების ეკიპაჟი განუწყვეტელივ მცირდება, სამუშაო კი დროთა განმავლობაში მატულობს) აწესრიგებს გემბანს, ხმასაფრებრივ სათავსებსა და რევერებს. ერთდროულად მოთავსებულ მტკნარი წყლის სათავსსაც დამუშავებია სჭირდება. უნდა გაირეცხოს, უნდა მოშორდეს, ცემენების თხელი გარსი გადაეკრას, რომ მასში ჩასხმული წყალი სამეურნეო საქიროებისათვის გამოადგეს. უნდა ქათვათებდეს გემბანი, ზედნაშე, ჭიხურები, კორპუსი, საგემბანო მოწყობილობა. გადასვლის განმავლობაში სატვირთო სათავსები უნდა გავამწაღოთ პალმის ზეთის მისაღებად, მათში კი, როგორც ვიცით, დიზელის საწვავი იყო. მასხადადე, სათავსები უნდა გაირეცხოს ნელ-თბილი წყლითა და სპეციალური ხსნარით, გაიწმინდოს უანგისა და ტვირთის ნარჩენებისაგან: ფსკერი, ტიხარები, ჭერი გამწმინდადეს სუფთა ჩერით ისე, რომ წინათ გადატანილი ნავთობპროდუქტის კვალი აღიგავოს და სუნიც გაქრეს. მეტად დიდი მოცულობის, რთული, პასუხსაგები სამუშაოა და ამის შესრულება მოუწევს სამ კაცს. კიდევ კარგი, ამინდი ხელს გვიწყობს, დღეც არც ისე ძლიერია, კარგად მუშაობს ავტოსაქე.

მიწადა ერთ საკითხზე მკითხველის ყურადღება გავამახვილო. გემზე შრომის ორგანიზაცია ვადახედვას საქიროებს. სატვირთო ოპერაციების შესრულებისას ტანკერის კაპიტანის მეორე თანამემწეს აუცილებლად სჭირდება ორი მატროსი. აქ მკაცრი კონტროლია საქირო. დმერთმა ნუ ქნას და უმეტესად უფროდ აავსონ უზარმაზარი სატვირთო სათავსები, ტვირთის ოდნავი ნაწილი გადმოიქცეს გემბანზე და მერე მოხვდეს წყალში... ვანსაკუთრებით ნავთობპროდუქტთ: საქმე სატრანსპორტო პროდუქტთან გეგნება — 20.000 დოლარი ჭარიმა ან ხუთი წელი პატიმრობა! მეორე თანამემწეს მიგეგნება მორიგე თანამემწეს, ორივეს კიდევ — ზომადლის მეთაური... არც უფროს თანამემწეს დაუფავებებს ვინმე. დიდებული პერსპექტივაა, არა?

მოდ, ორი მატროსი სჭირდება კაპიტანის მეორე თანამემწეს. სატვირთო ოპერაციის გარდა, მისაღებია წყალი, პროდუქტი, შესავსებია სხვა მარაგი. ერთი მატროსი კიდევ გემის ასასვლელთან მოუშორებლად უნდა იდგეს, ამას მოითხოვს წესდება, ამას მოითხოვენ ნავსადგურის ხელისუფალნი. მორიგე თანამემწე ათაბი რანგის უფროსობას ზედება და ანაწილებს დანიშნულების მიხედვით. მორიგე მატროსზე უკვე ვთქვით — გემის ასასვლელთან უნდა იდგეს-მეთქი. თუ ვინმე შემოვიდა უსაბუთოდ ან უსაქმოდ — პირველი შემთხვევისათვის საყვედური მზადაა, მეორედ კი ზომადლს დასტოვებს, ნაპირზე ჩამოსწერენ. ხუთი მატროსი გვეყავს ჩვენ, ხუთ მატროსი და სად, რომელ უბანს ვინდა მიაშველო ეს ხალხი, თანაც ისე, რომ რეკლამისათვის სამუშაო დღის გრაფიკი არ დაარღვიო?

ასეთივე სირთულეები იქმნება ზომადლის ნავმისადგომთან დაყენებისას...

მაღე სამ მატროსამდე დაიყუანენ, ალბათ, გემბანის ეკიპაჟს. ფორმალურია სპეციალბათა გაერთიანება: მოტორისტ-მატროსი, ის უნდა დაეხმაროს ვითომ გემბანზე მომუშავე მატროსებს. რომელი ჯეჟათმყოფელი უფროსი მექანიკოსი მოგეტყვას მოტორისტს გემბანზე სამუშაოდ, როცა სამანქანო განყოფილების პარობლემებით აქვს თავი გამოტენილი და იმასაც უმცირებენ ხალხს?.. მხოლოდ ჩვენს დღეში მყოფმა იცის, რა ძნელი და საშიფათაა ასეთ პირობებში მუშაობა.

გზას განავარძობთ, ადენს ეუბნებოდებით. ალბათ, დავგადგება ხაველი, მივიღებთ სახმელ წყალს, სხვადასხვა ტექნიკურ ზეთს, სურსათს...

ადენი იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქია 250 ათასზე მეტი მცხოვრებით. ქალაქი ადენის ნახევარკუნძულის სახმრეთ ნაწილშია და ქვეყნის საზღვაო კარიბჭეს წარმოადგენს. 1839 წელს, როგორც ადენი, ისე მთელი ქვეყანა ინგლისელმა კოლონიზატორებმა დაიპყრეს. მათ აქ დააარსეს მნიშვნელოვანი სამხედრო-

საზღვაო ბაზა, რომელიც შვირე აზიაში ინგლისელ იმპერიალისტთა კოლონიალისტური ექსპანსიის მთავარი დასაყრდენი გახდა.

1907 წელს იემენის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილე მიაღწია და განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მებრძოლებმა ინგლის ხელბის დატოვების ქვეყანა, ღმევანდელი იემენის წამყვანი ძალა იემენის სოციალისტური პარტია.

ნახევარკუნძულ ლიტლ-ადენსა და ოვით ადენის ნახევარკუნძულს შორის მოთავსებული ვრცელი ყურის მოთავსიან ნაპირებზე გაშენებული ქალაქი სპარსეთის ყურიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან, იაპონიიდან, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების სამხრეთი რაიონებიდან, შორეული აღმოსავლეთიდან სუეცის არხისაკენ მიმავალი გზების გაჯავრდნზე აღმოჩნდა. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ იგი ერთ-ერთ უდიდეს საზღვაო ნავსადგურად გადაქცია, გიბრალტარსა და ჰონკონგს გაუთანაბრა.

ნავსადგურის ფართობი 120 ჰექტარია, შიდა ნავსაყუდელი ღია ზღვასთან სუთი-ლომეტრიათა არხითაა დაკავშირებული და 12 მეტრზე მეტ სიღრმეში წყალმჭლამი გემებისათვისაც არის გათვალისწინებული.

ნაღრისფრად ისეთა, აი, ლიტლ-ადენისა და ადენის ნახევარკუნძულების კლდოვანი წარადგები, ერთმანეთს ტუშისცალებით რომ ჰგავან. 530 მეტრი სიმაღლის გორაკი „შაითანი“ გაუქმებული სასიგნალო სადგურით, აუთრული ანძა ნავსადგურის სამხრეთ-ველოს თავზე, რას ახუ კამის ძველთაძველი ფორტი, მერცხლის ბუდეხავით მრგვალი.

ქერ კიდევ ჩახახებენ ქალაქის ჩირაღდნები. მოგვადგა სალოცმანო კატარა და ხომალდის კიმზე ამოვიდა აქ მომუშავე საბჭოთა ლოცმანი, ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ძალზე საჭირო საზღვაო სპეციალისტებს რომ ამზადებს. მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ გემებს მალე იემენელი ლოცმანები მიიღებენ და გააცილებენ...

არხი გავიარეთ. ფრთხილად დავდგეთ ჩვენთვის განკუთვნილ ადგილას შიდა ნავსაყუდელში. ფორმალობას მალე მოვრჩით. ყოველგვარი აღიქმის გარეშე, დილის ცხრა საათისათვის მივიღეთ წყალი, სურსათ-სანოვადე, ტექნიკური ზეთი და ბომბების ზნას გავუდგეთ.

ადენის ყურეს მიეცემა. მარცხნივ იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, მარჯვნივ — სომალის. იქ, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზებში გულისწამლები გრუხუნითა და გრიალით წყდებათ აეროდრომის ასაფრენ ბილიც თვითმფრინავები, რომ თავბრუსხვევით სისწრაფით გადაუარონ თავს საეჰერო ხომალდების მშვიდობიან გზებს...

ბოცმანის ბრიგადა შეუდგა სატვირთო სათავსების რეცხვას რეაქტიული სარეცხო მანქანებით. უადრესად შრომატყუადი სამუშაო. პირველად ის ადგილები ირეცხება, გლუვი ზედაპირი რომ აქვს და ნელ-თბილი სპეციალურ ხსნარგარეული ჭავლისათვის ადვილი მისაწვდომია. შემდეგ — ქნელად მისადგომი ადგილები, მეტი და ძალოვან წყალი რომ სჭირდება.

სარეცხ წყალს ტუმბოებით ქაჩავენ და ვედროებით იღებენ. მაგრამ ეს ყველაფერი როგორ. სუფთა ჩვირით იწმინდება და მშრალდება სათავსების კედლები, გემბანის ქვედა ტიხარები და ფსკერშეკრულობა, მრავალი რამ, აქ რომ არის ჩადულაბებული. შემდეგ სათავსები სუფთა წყლით იესება, სისტემები მაღალი წნევით იისინჯება, რომ დადგინდეს: ხომ არ გაქარება მომავალში მისაღები ტვირთი? ბოლოს და ბოლოს, სპეციალურად გამოყოფილი კომისია ამოწმებს ნამუშევარს და ადგენს სათანადო აქტს.

ამითაც არ მთავრდება ტვირთის მისაღებად სომალდის მომზადება. ნავსადგურში რომ შესვიდე, სათანადო წყალწვა უნდა იყოს, ე. ი. სათავსებში ესნას გარკვეული რაოდენობის წყალი — ე. წ. სუფთა ბალასტი. ნაპირთან დადგომის შემდეგ ისიც უნდა

ამოიჭარბოს, სათავსები ხელახლა ამოირეცხოს (რაც უნდა იყოს. ლითონს უნაგის თხელი ფენა მანც მოეღება), ამოიწმინდოს, ამოშრეს, განმეორდეს ზემოთ აღწერილი პროცესი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სატვირთო სათავსების უცხოელი ინსპექტორებისათვის წარდგენა. თუ ინებს და მიიღეს, იწერება ორმხრივი აქტი სათანადო ხელმოწერითა და ბეჭდებით. აი, ამ წუთიდან ტანკერი მზად არის ტვირთის მისაღებად...

ჩვენი გზით მივდივართ, ხამუშაოც სამუშაოს მიაყვება მეთოდურად და გეგმაზომიერად, სადღაც გამოენიას ეხვდებით „ადიგენს“, ზომებიდან როტერდამში რომ მიდის. ჩვენ გვშურს მისი ეცაპისა, ჩვენზე ადრე მიაღწევენ სამშობლოს. უცხოეთში მშობლიურ მიწაზე ფიჭრი და ოცნება ერთი წუთითაც არ შორდება მეზღვაურს.

რადიოლოკატორის ეკრანზე უფაღაფი წერტილი ციმციმებს — ვუახლოვდებით ღია ზღვაში მსხვილტოწათანი ტანკერების სადგომს. აი, გამოჩნდა მწვერვალი მაღანგი უზარმაზარი შეუფლი კალთითა და ძველისძველი ფორტის ნანგრევებით. შემდეგ — ბომბების ცაბამბენები.

განუწყვეტლივ ვიხიბთ ბომბების და, როგორც იქნა, ვდებულობთ პასუხს. სანაგსადგურო ინსპექცია გვითითებს დასადგომ ადგილს, თანაც გვაფრთხილებს: ორი ზომადი ჩაიძირაო ტივტივის შუქურასთან. ჩვენ ეს ვიცით, რუკაზეც გვაქვს აღნიშნული. თანაც ხომადის კაპიტანი ბომბების ხშირი სტუმარია და ასეთი რამ როდი გამოეპარება.

ვდგვართ და ჩვენს რიგს ველით.

ამბობენ, ბომბების ეს სახელი ქალღმერთ მუზამახან დაენათლაო. იგი გადაქიმულია ჰინდუსტანის დასავლეთ სანაპიროზე მოკალათებულ ამავე სახელობის კუნძულზე. რეამილიონიანი ბომბები ინდოეთის მეორე უმნიშვნელოვანესი ქალაქია თავისი ეკონომიკით, მსხვილი საზღვაო ნავსადგურით, სამრეწველო და ფინანსური ცენტრებით, მეცნიერებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერებით.

ბომბები ინდოეთის საზღვაო კიშკარია, უდიდესი და განვითარებული ნავსადგური მთელი ჰინდუსტანის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე. იგი ემსახურება 12 შეტრამდე წყალტომის ყოველგვარი განზომილების მრავალრიცხოვან ზომადებს. ბომბების უბის დასავლეთით თითქმის რვა კილომეტრზე გადაქიმულა ნავსადგომები. სანაპიროებისა და ნავსადგომების გარდა მუშაობს წყლის მიმოქცევისაგან დაცული ნავსაყუდელი აუზი. ხომადებს რეიდებზეც ემსახურებან...

ნავსადგურში ბლომადაა ბუქსირები, კარჭაები, ტივტივა ამწეები და სხვა გადახატვით-გადმოსატვირთი საშუალება. ათი მშრალი დოკი და ერთი ელინგი განსაზღვრული ტვირთამწეობის საოკეანო ხომადების კაპიტალური შეკეთების საშუალებას იძლევა. აქ შემოაქვთ კვანახშირი, რკინა, ფოლადი, ავტომანქანები, ხის დასამუშავებელი ქარხნების მოწყობილობა, გენერატორები, ელექტრომოწყობილობა და მრავალი სხვა. აქედან კი გააქვთ მარგანეცის მადანი, ტყაეულობა, შაქარი, ზეთის მრავალგვარი ნაწარმი და ასე შემდეგ.

ბომბების ცენტრია სამხრეთ-აღმოსავლეთის ფორტი, სადაც განლაგებულან მუნიციპალიტეტი, უნივერსიტეტი და საქმოსანთა კვარტალები. სამხრეთით იშკაფება რაიონი კოლაშა, აღმოსავლეთით — დოკები და სანავსადგურო ნაგებობანი. ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით კეთილმოწყობილი და ვიწრო საცხოვრებელი რაიონები და სავაჭრო კვარტალებია. ჩრდილოეთისაკენ მიიღტვის სამრეწველო რაიონი პასელი, ზოლო დასავლეთის სანაპირო მწვანე კორდებსა და ყვავილნარებში ჩაფლულა. აქ ცხოვრობენ ბომბეელი კაპიტალისტები. აქვეა სახელგანთქმული „სინჰუის კოშკი“ — ფარსთა და ხალაუების ადგილი, ვრცელი პარკი, რომელსაც „დაკიდებული ბაღი“ ეწოდება. სამხრეთ-დასავლეთში, ბეკ-ბეის ყურის გასწვრივ, მისწრაფის მრავალკოლომეტრიანი

სანაპირო — მარინ-დრაიკი, საღამოს გახიზნების ადგილი. სანაპიროზე ნახევარწრის
განლაგებული ფერადი ნათურები ღამის ბოშების გიგანტურ ნაირფერ მძივებს ქმნიან
სარკინიგზო ხაზის გახიზნის, ბოშების მატერიკთან რომ აერთებს, ქალაქის შემოღობვის
გადაჭიმულა. აქვე, დასასწავლა ხანტა-კრუსში, საერთაშორისო აეროპორტია. ბოშების
ახლოს ტბა ელევანტს თავს წამოსდგომიან თვალუწვდენელი ციცაბო კლდეები, კალ-
თებზე უმჯელების ტაძრებითა და დიდებული არქიტექტურული სკულპტურული ნა-
გებობებით.

ეს ტურისტული ბოშებია. როგორ წარმოგვეხატება, ნეტავი, ნამდვილი ბოშები?..

დღე დღეს მისდევს და ღამე — ღამეს. ჩვენს ყოველ შეკითხვას ხტერეოტიპული
პასუხი ახლავს: „გვისმინეთ ულტრამოკლე ტალღოვანი რადიოსადგურის საერთაშორისო
ხო არხზე, თქვენს რიგაც დადგება და გამოგიახლოებს“.

გემის ხიდურზე რადიოსადგურის უფროსი კონსტანტინე პავლოვსკი ამოხუტა.
ხიდურის ფრთაზე დამდგარი, მოწყენით გასცქერის ბოშების ჩირაღდნებს. ოქახიდან
სახისბარლო ცნობა მიიღო — ვაჟი შეიძინა და ხანამდე უნდა იდგეს აქ?

და აი, როგორც იქნა, მივიღეთ ბრძანება. მივდევართ გარდამავალი ხვლით უთ-
ვალად სომალდს შორის, მოთმინებით რომ უცდიან ნავსადგურში შესვლის რიგს.
გამოჩნდა ღოცმანის კატარღი... ისევ ვუშვებთ ღუზას, ველით შემდგომ განკარგუ-
ლებას. კიდევ კარგი, ახალი სურსათი და ხასმელი წყალი რომ მოგვითანეს.

ოცდათერთმეტი მარტია, ღამის ორი საათი, ღოცმანი ამოვიდა ქიშზე და ინდრის
აუზის გავლით მივემართებით წინ. ნავმისადგომისაკენ. ვტოვებთ რაბებს. ვბრუნდებით
კიჩოთი წინ და შევდივართ მარცხნივ მდგარ სინგაპურის გემსა და მარჯვნივ მდგარ
ინდოეთის სომალდს შორის დარჩენილ ვიწრო დერეფანში — თითქმის გაწვდილი ხე-
ლით შევხებით ამ სომალდებს. ძლივს ჩიუვარეთ პოლონურ „პოლოკონიკ ღუბეკს“, თუ
არა ჩვენი კამიტნის გამჭირიანობა და გახედული მანერა, კიდევ შევახედებოდით მას.
აქ იუველური მუშაობაა საჭირო. ჩვენი ღოცმანი კი...

მეძივს ნავსაყუდელს მივეჭაქვით.

გათენდა.

იღვიძებს ნავსადგური, იღვიძებენ გემმისადგომები — ათასი ჯურის ხალხით ივსე-
ბიან. აქ შესვლებით დიდებულიად ჩაცმულ „ჯენტლმენებსა“ და შემოსახვევიან ღარიბ-
ღატაკებს. ფლოსტებიანებსა და ფეხშიშველებს. მათხოვრებს უკვე დაუკავებიათ ამო-
ჩემებული ადგილები. და ეს ყოველივე ხდება ნავსადგურში. ნეტავი, რა იქნება იქ,
ნავსადგურის მიღმა?

საღამოს ოთხი საათისათვის ტვირთსათავსები მზადაა, ინსპექტორი დებულობს
მათ პირველი წარდგენისთანავე.

ტვირთი ხარბშემსული ურმით მოაქვს. მახინდება რელიკვიად ქცეული ქართუ-
ლი ურემი...

დაიწყო დატვირთვა და ეახტიდან თავისუფალი ზღვასნები გავდივართ ქალაქში.
სულ რაღაც ოთხი რუპიაა საჭირო, ტაქსმა ინტერკლუბამდე რომ მიგყვანოს. ისე,
ყურადღებით უნდა იყო, თორემ უცხოელს უცნობ ქალაქში მგზავრობა შეიძლება ძვი-
რიც დაგიჯდეს — საჭირო ადგილის ნაცნადად სულ სხვაგან ამოიყოს თავი.

აქედან, ინტერკლუბიდან, იწყება ჩვენი ექსკურსია. სავაჭრო კვარტალებში ფეშე-
ნებლურ მაღაზიებთან მიკუთქმულან ფარდალადა ფარდულები და ღუშნები. ხილი, ბო-
სტნეული, ნესვი და საწამლო, ათასნაირი სურსათ-სანოვაგე პირდაპირ ქვაფენილზე
დაუწყვიათ, აქ ყოველი ცდილობს რაღაც მოგვიღოს, რაღაც შემოგაჩქროს, რომ ორი-
ოდე რუპი იშოვოს. გარს გვახვევიან „გიდები“ — მოხუცები, ახალგაზრდები, ცერო-
დენა ბავშვებიც კი. ერთი რუპის საფასურად მზად არიან, გიჩვენონ საჭირო მაღაზია,

დუქანი თუ ფარდული, გაგიწიონ საჭირო სამსახური. აღამიანებს პირდაპირ ქვაფენი-
ლზე სძინავთ. აქ ამზადებენ კერძებს, აქვე ჭამენ და სვამენ.

დატვირთვა გრძელდება და ამ პერიოდში ათობით ინდოელი ამოდის გეზზე. ჩვენს
აქტივისტები ესაუბრებიან მათ საბჭოთა კავშირზე, საქართველოზე. ქართულ კულტუ-
რასა და ხელოვნებაზე, საბჭოთა ხალხსა და მათ ცხოვრებაზე, ჩვენი ქვეყნის სამშეი-
დობო პოლიტიკაზე, ყოველი ეს თემა აქტუალურია და მსმენელთა დიდ ინტერესს იწ-
ვევს.

ტანკერი ვაღამდე დავტვირთეთ. მივიღეთ 4.000 ტონაზე მეტი პალმის ზეთი, რო-
მელიც ილიჩოვსკში უნდა ჩავიტანოთ.

ტივტივა შუქურასთან დავტოვეთ ლოცმანი და არაბეთის ზღვის უკიდურესო სივ-
რცეს მივდევთ თავი.

რადიოტელეფონით გვკავშირდება ბომბეის რეიდზე მღვარი ჩვენი სანაოსნოს
ნავთობშილი „ალექსანდრე კორნეიუკი“. ბიჭები გვისურვებენ კეთილ ნაოსნობას და
ეს გასაგებობდა. ბომბეიში გადმოტვირთვის შემდეგ ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა-
კენ გასწევენ, კიდევ რამდენიმე ნავსადგური მოეღივო წინ, ჩვენ კი დათვლილ დღე-
ებში სამშობლოში ვიქნებით...



ვასო გოძიაშვილის გახსენება

1873 წლის ივლისი... ბათუმი დიდი კულტურული მოვლენით ცხოვრობდა — გასტროლებს მართავდა მარჯანიშვილის თეატრი. გასტროლებსაღმე ინტერესს იხიცი აძლიერებდა, რომ სცენაზე გნახავლით ქართველი ხალხის უსაყვარლეს მსახიობს, სხრ ქაგშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატს ვასო გოძიაშვილს.

ვასო გოძიაშვილი არაერთხელ გამოხსულა ბათუმელი მაყურებლის წინაშე საესტრადო კონცერტებით, მისეულ არაერთ სცენურ გმირს გავცნობვართ აქ, ჩვენი თეატრის სცენაზე. ბათუმელმა იციან ჭეშმარიტი ხელოვნების ყადრი და ხიყვარულის გადახდა. იგი აჟარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გახლდათ.

საგასტროლო სპექტაკლები უდიდესი წარმატებით მიდიოდა. მაყურებლით გაჟედოლ დარბაზში, როგორც იტყვიან ნემსიც არ ჩავარდებოდა... ერთ საღამოს ვასო გოძიაშვილს უნდა შეგხედროდი. წარმოდგენის დაწყებამდე კარგა წნით აღრე მიყედი თეატრში და ბატონი ვასო ვიცითნე. საგრიმიორშიაო, მითხრეს მსახიობებმა. საღამოობით, როგორც წესი, ჩვეულებრივზე აღრე მოდიოდა თეატრში და გუშომღვინედ გშაადებოდა სპექტაკლისათვის. თეატრი, სცენა იყო მისი ცხოვრება და სიხარული.

მისვლის მიზანი რომ გვაცანი, თვალეში სიხარულის ნაპერწყმები აუციმციმდა. სიამოვნებითო, მითხრა და სკანი გამოსწია. აქ, ჩემს გვერდით ჩამოჭექაო, მანისხა.

მსახიობი გრემზე მუშაობდა და თან ხელოვნებაზე მესაუბრებოდა. მოიცონა განვლილი წლები, შემოქმედებითი შეხვედრები ბათუმელ მაყურებელთან.

— ბათუმი ჩემი საყვარელი ქალაქია, — მითხრა ვასო გოძიაშვილმა. მართლაც რა გუღლია, უზრალე ადამიანი უოფილა ეს დიდი ხელოვანი-მეტყი, გავიფიქრე. მერე წინადღინდელი ფეხბურთის მატჩი გაახსენდა და სახე მოედრებლა თბილისის „დინამოს“ მორიგ დამარცხებას მტკივნეულად განიცდიდა.

— არა, არ ითამაშეს მთელი პასუხისმგებლობით, მთელი შესაძლებლობით, უზრალოდ არ მოინდომეს, გახსოვთ ერევნის „არარატთან“ როგორი თამაში გვიჩვენეს თბილისში? აი, ისე რომ ეთამაშათ ჩვენს ბიკებს, მაშინ სხვა ანგარიში იქნებოდა, — ჭავრობდა მსახიობი...

წითელარმიელის ფორმით მივიდა ახალგაზრდა ვასო პროფესორ აკაკი ფალავას ღრამატულ სტუდიაში, აქ მალე გამოვლინდა მისი მისწრაფება, ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობანი. იგი ა. სუმბათაშვილი-იუჟინის სტიპენდიანტი იყო, ორ წელიწადს სწავლობდა ამ სტუდიაში, დაეუფლა აქტიორული ხელოვნების საიდუმლოებას და რუსთაველის თეატრს მიაშურა. იმ დროს თეატრს ორი დიდი რეჟისორი — კოტე



მარჯანიშვილი და ხანდრო ახმეტელი ხელმძღვანელობდა, აქ ეზიარა პირველად დიდი ხელოვნებას, აქ დაოსტატდა და გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი გზა.

სუთ ათეულ წელზე მეტ ხანს იგი ქართულ სცენას ამშვენებდა და უსაზღვრო სიხარულით აღაფხვბდა მაყურებელს.

ვასო გოძიაშვილი — ქართული სცენის მშვენიება და სიამაყე — მრავალხაზოვან-ნოვანი ეროვნული ნიღბის უბადლო წარმოსახველი იყო. მან წარსულის პროფესიული სახეობიდან სისხლბორცეულად შეითვისა მოხეტიალე ბერეკა-მსახიობთა გონებამახვილობა და ოსტატობა.

ვასო გოძიაშვილმა შემოქმედებითად, ნოვატორულად განავითარა ქართული აქტიორული რეალისტური სკოლის ფუძემდებლის ვასო აბაშიძის ტრადიციები. ა. ცაგარელის კომედიებში როლების ახლებური წაკითხვის თავისებური გააზრებით ისე გაცოცხლა აკოფას, ავეტიკასა და ბესოს სცენური სახეები, რომ ხყოველთაო აღიარება მოიპოვა.

გოძიაშვილი მაღალნიჭიერი, უაღრესად თვითმყოფადი ოსტატი იყო. მისთვის მიუღებელი იყო გამომსახველობითი ხაშუალებებისა და ხერხების „სესხება“, იგი უმაღლესად რეჟისორულ ჩანაფიქრს და გაღრმავებულს სთავაზობდა მაყურებელს, სწორედ ამით დაიმსახურა ახალგაზრდა მსახიობმა კოტე მარჯანიშვილის ნდობა, აღიარება და სიყვარული.

კოტე მარჯანიშვილმა „ურეილ აკოსტაში“ ურეილისა და დე ხანტოსის როლებში უშანგი ჩხეიძისა და ალექსანდრე იმედაშვილის შემდეგ თვითონ შეარჩია და მოამზადა ახალგაზრდა მსახიობები პიერ კოზახიძე და ვასო გოძიაშვილი, ისინი ათეული წლების განმავლობაში დიდი უშუალობითა და სიყვარულით ასახიერებდნენ მარჯანიშვილისეული სპექტაკლის სცენურ გმირებს.

ვასო გოძიაშვილმა პირველმა შექმნა ახმას რომანტიკული სახე ხანდრო ახმეტელის „ანზორში“. თანადროულობის აღქმით, ახალგაზრდული შემართებით და მომავლისადმი უსაზღვრო რწმენით მისი ახმა მუდამ დარჩება რევოლუციურ-რომანტიკული შემოქმედების მაგალითადად.

ვის არ უნახავს და განცვიფრებულა გოძიაშვილისეული ლუარსაბ თათქარიძით. ბევრი ესწრაფოდა ამ სახის შექმნას, მაგრამ სრულყოფილად, ილიახეული სიდიდითა და ხატორული სიმძაფრით ამ სახის წარმოსახვა მხოლოდ გოძიაშვილმა შეძლო. ვ. ყუშიტაშვილის სპექტაკლში „ლუარსაბ თათქარიძე“, მაინც რა საოცარ გარდასახვას მიაღწია აქტიორმა. იგი ისე ღრმად ჩაწვდა სცენური გმირის შინაგან სამყაროს, რომ მისი ლუარსაბი კიდევ გვაციენებს და კიდევ გვებრალებდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გოძიაშვილისეული ლუარსაბ თათქარიძე ქართული აქტიორული ხელოვნების მწვერვალია. სწორედ ამ როლისათვის მსახიობთა შორის პირველს — ვასო გოძიაშვილს მიეკუთვნა რუსთაველის პრემია.

ვასო გოძიაშვილი უმთავრესად ეროვნული რეპერტუარის შემოქმედი იყო. თავისი დიდი შესაძლებლობა და მაღალი არტისტიზმი ამომწურავად ქართველი მწერლების პიესებში გამოავლინა. მაგრამ როცა იგი არაქართულ პიესებში თამაშობდა, ამ როლების „გაქართულებასაც“ ცდილობდა. მისი ფიგარო, ხელესტაკოვი, როდერიგო, როზინონი, მეფე ფილიპე, ძაა ბაღდასარი ისევე გასაგები და ახლობელია ქართველი მაყურებლისათვის, როგორც ანმა და ლუარსაბ თათქარიძე, ერეკლე მეფე და ბესო. მან ქართულ სცენას დიდი გამარჯვება მოუტანა რიჩარდ მესამის ტრაგიკული როლის ბრწყინვალე განსახიერებით.

ვასო გოძიაშვილი შესანიშნავი რეჟისორიც იყო. მან აღადგინა და ახალი სიცოცხლე დაუბრუნა კ. მარჯანიშვილის სპექტაკლს „კაკლ გულში“. ქართული საბჭოთა

თეატრის დიდი რეჟორმატორის კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის საუბი-
ლიოდ ვასო გოძიაშვილმა აღადგინა საყვარელი მასწავლებლის სპექტაკლის „მის და-
ბნელობა საქართველოში“, რომელშიც ბევრი ახალი სცენა ჩართო.

რეჟისორული გადაწყვეტით საინტერესო იყო გოძიაშვილის სპექტაკლები — კრო-
ნინის „ბროულის ციხე-სიმაგრე“ და პარონიანის „ძია ბაღდასარი“. ამ სპექტაკლებში
როლებსაც ასახიერებდა, პირველში — კერპს, მეორეში კი ძია ბაღდასარს. წარმოდ-
გენაში მკაფიოდ იგრძნობოდა გოძიაშვილისეული რეჟისორული ხელწერა.

...საათის ისარი რვას უახლოვდებოდა. ჩემი თანდასწრებით ვასო გოძიაშვილი ხულ
შეიცვალა, ძველი თბილისის მოქალაქედ ტიგრან მოპოპიანცად გარდაიქმნა, გარდა-
სახა და იმდენად ბუნებრივი იყო ეს გარდასახვა, რომ მიკვირდა, ნუთუ ეს ის ვასო
გოძიაშვილია, რამდენიმე წუთის წინ რომ ვნახე?

— ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, — თქვა საუბრის დასასრულს ვასო გოძიაშვილმა,
— შექსპირის „ენეიდას ვაქარში“ შეილოკის ოამაშო.

საგრიმიროდან დარბაზს მოვაშურე, მაყურებელი მოუთმენლად ელოდა სპექტა-
კლის დაწყებას. აი, ფარდა გაიხსნა, სცენაზე შემოვიდა მსახიობი და მაყურებელი უჩ-
ვეულო სამყაროში შეიყვანა. გოძიაშვილმა მაშინვე „დაიპყრო“ იგი, „დაიპყრო“ და
წარმოდგენის დამთავრებამდე მის ტყვეობაში ამყოფა.

ვასო გოძიაშვილი შეხანიშნავად იცნობდა ძველი თბილისის ეგზოტიკურ ყოფა-
ცხოვრებას და მის საჩვენებლად მივიწყებული უანრი, ვოდევილი, გამოიყენა. რეჟი-
სორმა და მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა შექმნა სრულიად ახალი სამყარო, წარსუ-
ლის სცენურ გმირთა მთელი გაღერვა, რომელიც უმთავრესად იმპროვიზაციას ემყა-
რებოდა.

„ძველ ვოდევლებში“ იმდენად ძლიერი იყო სცენური შემოქმედება, რომ თით-
ქოს ჩვენც ძველი თბილისის კოლორიტული ცხოვრებით ვცხოვრობდით, იმ სამყარო-
ში ეტრიალებდით.

მაყურებელს ხიბლავდა და ატყვევებდა განუმეორებელი, თავისთავადი, ქეშმარი-
ტად გოძიაშვილისეული ტალანტი, მაღალი არტისტიკა, როლის ღრმად შეგრძნება,
გარდასახვის საოცარი უნარი, პლასტიკა და მხატვრული სიმართლის ძალა.

გოძიაშვილის ტიგრან მოპოპიანცი და მიკიტანი არშაკი სრულიად განსხვავებული
ტიპებია. მათს ყოველ შესტზე, მოქმედებაზე, დალაპარაკებაზე მაყურებელი გულიანად
იციროდა და ტამით აჯილდოვებდა.

სპექტაკლის დასასრულს ვასო გოძიაშვილი მოხუცი მსახიობის როლში მოგვე-
ვლინა, მოწყენილი და სევდიანი, თითქოს ჩვენს წინ იდგა ძველი თეატრის სიმბოლო
— მოხუცი მსახიობი ხელში ოდნავ მბუტავი ლამფით. და აი, სცენიდან გაიხმა მიმ-
ქრალი ღაღადისი, მოტეხილი, დაბერებული და ვალმოხდილი ემშვიდობებოდა საყვა-
რელი თეატრის კედლებს, სცენას, მაყურებელს:

სიბერისათვის მე ნუ დამძრახავ,
შენგან მოველი ახალს,
გამეზარდება, რაც უფრო მეტად
განასლებულაა გნახავ.

იმდენად შთამბეჭდავი იყო ეს სიტყვები, იმდენად ბუნებრივი და დამაჯერებელი
ვასო გოძიაშვილი, რომ ტანში ჟრუანტელი გვიყვლიდა, სულგანაბული შევყურებდით
და ვუსმენდით მსახიობს, რომელიც სცენაზე შემოქმედებითი ცრეხლით იწეოდა და
იფერულებოდა.

და ისევ ოვაცია, რომელიც დიდხანს არ წყდებოდა. მაყურობელი ამალღებულის
სულიერად განწმენდილი და დასვენებული ტოვებდა თეატრს...

ვასო გოძიაშვილს სიცოცხლესავით უყვარდა მარჯანიშვილის თეატრი, მისი თეატრი, მისი მალაღნიჭიერი კოლექტივი, მისი კოლეგები — საშუალო და ახალგაზრდა თაობის მსახიობები, რომლებიც შემოქმედებითად ავითარებენ საუკეთესო თეატრალურ ტრადიციებს.

შეორე დღეს ისევ ვეწვიე ბატონ ვასოს თეატრში. როგორც კი დამინახა, მაშინვე მიცნო და ჩემსკენ გამოეშურა. წერილი მინდა წაგიკითხოთ მეთქი, მორიდებით ვუთხარი.

— ასე მალე გამოაცხვე? აბა, ენახოთ რა დაგიწერია!.. — თქვა და იქვე, ფოიეში სავარძელში ჩაცქეით.

წერილს ნელა ვუკითხავდი, ზოგჯერ თვალს გავაპარებდი ხოლმე დიდი ხელოვანისაკენ, როგორ რეაგირებს-მეთქი. სახე ერთიანად გაბადროდა.

წერილი რომ ჩავთავი, მკვირცხლად წამოდგა, გადაშეხვია, გულში ჩამიკრა და მოიხრა:

ყოჩაღ, უმაწვლო, თქვენ კიდევ ერთი სიხარული მაჩუქეთ ჩემს საყვარელ ბათუმში!

ამახობაში ფოიეში ფოტოაპარატგადაკიდებული საშა მითაიშვილი გამოჩნდა. ბატონმა ვასომ არც აცნია, არც აცხელა და საშას გასძახა:

— შეგობარო, მოდი ერთი თუ კაცი ხარ, აგერ ჩემს ავთანდილთან ერთად სამახსოვრო სურათი გადამიღე!..

თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ.

იმ სურათს სათუთად ვინახავ, ვითარცა რელიკვიას.

დღეს ჩვენს შორის აღარ არის ვასო გოძიაშვილი. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ დაგვიტოვა უზადო არტისტიზმით და რაინდული სულით აღბეჭდილი განუშეორებელი ზელოვნება, რომელიც კვლავინდებურად გვენატრება, გვნიბლავს და გვატყუევებს, გვაფაჩიშებს და აღგვაძაღლებს.



რუსი მხატვრის ქართული სამყარო



აჭარის მხატვართა შორის მოძვე ერების ღირსეული წარმომადგენლებიც არიან. ერთი მათგანია რუსი იური მარტინოვი, რომელიც დაიბადა და აღიზარდა ქალაქ ბათუმში. მას პატარაობიდანვე სურვილი აღედგა მხატვრობას დაუფლებოდა. ამ სურვილს მშობლებმაც დაუჭირეს მხარი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა მოსკოვის ყოფილი სტროგანოვის უმაღლეს სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა. ამ ხნიდან მოყოლებული, 21 წელი გავიდა. იური მარტინოვი გახდა ისეთი ხელოვანი, რომლის ნამუშევრები მოწონებითა და მაღალი აღიარებით ხარგებლობს.

იური მარტინოვი ძირითადად ფერწერის სფეროში მოღვაწეობს. იგი კარგადაა დაუფლებული სახვითი ხელოვნების ამ დარგს. მხატვრის ნიჭიერება მკაფიოდაა გამოხატული პეიზაჟებში, პორტრეტებში, მარინისტულ თემებსა და კომპოზიციურ სიუჟეტებში...

მეტად მრავალფეროვანია მხატვრის შემოქმედების თემატიკა. იგი გატაცებულია აჭარის წარსულითა და აწმყოთი. მისი საყვარელი თემებია ბათუმის გულწინდელი ცხოვრება და დღევანდლობა. ასეთ და სხვა მოტივებზე მას შესრულებული აქვს მშ-მდე ფერწერული ტილო, რომლებიც ექსპონირებული იყო საკავშირო რესპუბლიკურ და საოლქო გამოვენებზე. მათი მხატვრული ღირსების აღმნიშვნელია ისიც, რომ ზეგრი მათგანი საქართველოსა და აჭარის მუზეუმების ექსპოზიციას ამჟღავნებს. აჭარის წარსულის თემებზე მიძღვნილი ნაწარმოებებიდან მოწონებას იმსახურებს „გაუიცვა ნავსადგურში“, „ძველი ბათუმი“, „ჩადრის დაწვა“. მრავალფეროვანი კომპოზიციებში გადმოცემულია მძაფრი დრამატიზმი და ემოციური განწყობილებები, ყურთა შესაბამის გზით ჩამოყალიბებულია მდიდარი კოლორითი.

მხატვარი უმეტესად საშუალო თაობის ქალთა ფაგურების გამოხატვით ცდილობს მათ ხანებზე აღბეჭდოს ჩვენი კუთხის სინამდვილეში მომხდარი სოციალური გარდატეხის განწყობილებები.

მხატვარი არ გაურბის ე. წ. „სამრეწველო თემას“, მხატვრული გამოხატვის გზით გვიჩვენებს, თუ როგორ გარდაქმნა და ეკონომიკურად დაწინაურდა წინათ ჩამორჩენილი ბათუმი. ეს თემა თავისებურადაა გაზრებული კომპოზიციურ სურათში „ძველი და ახალი ნავსადგური“. წინათ თუ გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა მუშების ხელით სრულდებოდა, დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. აი, რა არის გამოხატული ამ თემატურ სურათში. იგი გამოირჩევა მხატვრული დამაჯერებლობით, ასეთივე მოწონებას იმსახურებს „სამუშაო დღის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში“.

ჩვენი მხატვრების შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახალხო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ გრაფიკულ და ფერწერულ ნაწარმოებებს. ი. მარტინოვი ზემო აჭარას ესტუმრა და ჩანახატები გააკეთა შუამთობის წემის დღეებში. ამ ეტიუდების გამოყენებით მხატვარმა განახორციელა მრავალფეროვანი კომპოზიციები, რომელიც მხატვრულ პლასტიკური საშუალებებით დამთავლოვრებულს აცნობს სოფლის მშრომელთა საწინმო განწყობილებებს, რაც გამოხატულია ხანდაზმული, საშუალო და ახალგაზრდა თაობების წარმომადგენელთა პორტრეტებში. გამოხატვის თავისუფალი მანერა ობტიმისტურ უღერადობას ანიჭებს ნაწარმოებებს.

ი. მარტინოვი ცდილობს ზეთიანი საღებავებით შესრულებული ფერწერით ტილოებში წარმოაჩინოს ჩვენი კუთხის ღამის სოფლებისა და ქალაქების ხედები. უმთავრესად საშუალო ზომის პეიზაჟებში კარგადაა მიგნებული მრავალფეროვანი ბუნება. ზეგრ



შემთხვევაში მხატვარი პეიზაჟს თემატური სურათების ფონად იყენებს, რაც მას ცერულ ღირსებას ანიჭებს. მის ერთ ფერწერულ ტილოზე ასახულია აჭარაში გაწაფხულის დადგომა, როდესაც სოფლის მშრომელები ემზადებიან ჩაის კრეფისათვის. „გაწაფხული ჩაის პლანტაციისაში“ მისი შემოქმედების ღირსსახსოვარ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება. აქ მშრომელ ადამიანებთან ერთად ნაჩვენებია ლანდშაფტური დეტალების ემოციური ძალა, რაც მხატვრულ ღირსებას ანიჭებს კომპოზიციას. კოლორიტული დეტალებით არის დამშვენებული ი. მარტინოვის ფერწერული ტილოები: „სიმღერა საშობლოზე“, „ძველი და ახალი ბათუმი“, „გზა ბერლინისაკენ“, „შტორმი“.

პორტრეტული ჟანრის ნიმუშებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია „ჟადირ შერვაშიძის პორტრეტი“. ქედში დაბადებული და აღზრდილი ყადირი ჩვენს კუთხის ერთ-ერთი პიროვნებათაგანია, რომელმაც წარმატებით დაამთავრა ცნობილი ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და 1914 წლიდან ბათუმში მოღვაწეობდა. ამ პორტრეტში გამოსახულია რეალურად არსებული პიროვნება. ი. მარტინოვმა უ. შერვაშიძის ბიოგრაფიის დრამა გაცნობის შედეგად შესანიშნავად გადმოგვცა ამ საპატიო პიროვნების ხულიერი სამუარო, ფსიქოლოგიური დახასიათება.

დასასრულ დავსძენთ, რომ იური მარტინოვს, რომელიც კოლეგებს შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს, მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება.

ლადო შარაშიძე,
აჭარის ასსრ ბელოვების
დამსახურებული მოღვაწე.



რამაზ სურმანიძე

ნაჩივები შავშეთიდან

(ივანე ჯავახიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა)

„ივერია“, № 4, 1894 წ., 6 იანვარი.

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (გორთხის ხეობა) 11 აგვისტო. როგორც ამ ხეობისა, ზედა და ქვე-
და აჭარასა და ართვინის ოლქში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს, კაცმა რომ სთქვას,
აქამდისაც არა ჰქონდათ გული აქ დარჩენისა და ცხოვრებისა სხვა-და-სხვა შიშისა გა-
მო და ამ ბოლო დროს ხომ მთავრობის განკარგულებამ ბოლო მოუღო ამით აქ დარ-
ჩენის იმედს. მიუხედავად ამათის აქაურობაზე გულის აყრისა, როგორც ვატყობთ და გვე-
სმის, ბათუმისა და ართვინის ოლქებში ტყის მცველებს დანიშვნა უნდა იყოს, რო-
მელსაც ავერ ორი თვეა, რაც ადგილობრივი აღმანისტრაციის აბარებს ტყესა და სრვ
მიმუღებს. ამ რამდენსამე წლის წინად, მაშინ როდესაც მაჰმადიანებს სამხედრო ბე-
გარის ნაცვლიდ ფული შეაწერეს, ამით ეგონათ, ცოტახანს უკან ფულს აღარ გამო-
გვართმევენ, ჯარის კაცებს გაივანენო. თუმცა ჯერაც არავის გაუყვანია აქედან ვინ-
მე ჯარში და არც საჭირო არის ამათი ჯარის კაცები, მაგრამ ესეხი მაინც შეაწანა იმ
დროებით, ახლა კი სჯერათ, რომ აქედან ჯარის-კაცებს არ გაიყვანენ და ბევრმა კი ამი-
სი შიშით დასტოვა თავისი სამშობლო და გადაიხვეწა ოსმალეთში. ამ წაირად სოფლე-
ლის დაფრთხობის მიზეზი, როგორც მოგვხსენებთ, ხოჯა-მოღუბი იყენენ, ურთმლო-
სოდაც აქ არაფერი კეთდება და სოფლებში მათი ქაღაგების წყალობით მართლაც
ბევრმა ფუხარამ დაანება თავი თავისი დედულ-მანულის და გადასახლდა ოსმალეთში,
სადაც თითქმის ნასყვარი მათგანი შემშალ-სიციცემ იმსხვევრბოა. უკეთუდ, თუ სადმე
სამართალია, იმათი ცდაცა უნდა ეკითხოს ზოჯა-მოღებს, რომელთა მცობებით ამდენი
ქალ-ბაღანი გადაიყვანა თავისის სამშობლო ქვეყნადგან.


ახლა აქაურ ფუხრებს ეშინათ ტყის მცველებისა, ვაი თუ ისე აღარ მოგვიკენ ნე-
ბა ტყის ხმარებისა, როგორც გვიჩვენებთ დღემდისა და ტყე კი ჩვენთვის თათქმის ზე-
მთრობით საგებიც არის და სახურავიცო, რადგან აქეთკენ დიდა ზამთარი და ყინვები
იქის. მართლაც, თუ ფუხარას მთელი ღამე ცაცხლი არ უნთია ზუხარში, მართლაც ქვე-
შაგების ამარა ვერ დარჩება, რაც უნდა ბევრი ქვეშაგებიცა ჰქონდეს, თერცა ბლო-
მად ქვეშაგებიც არც ერთს არ მოეპოვება, რომ უცეცხლოდ ილაღ წვაიდეს. თუმცა
ტყის მცველებიც, სადაც კი ნიღბი სოფლებში, ყველას იმა უქადაგებენ, რომ თქვენ
ნუ გეშინათ, თქვენთვის რაც-კი საჭირო არის, მთავრობისაგანაც ნაბრძანები გვაქმს
არ დაგეშალოთ და როგორც დღემდის გიხმარით, ისე იხმარებთ ტყესაო, მაგრამ



ჭყის მცველები ვის დააჯერებენ, როდესაც ამ მოლა-ხოვებს წინა კაცებიც მიჰმტყუნებენ ფუხარის საუბედუროდ. ეს აღა-ფფუნდები თითოთი უჩვენებენ ხოლმე არაფერსაა, თქვენი ერთი ჰეირის ნეკრის ვერ მოსჭრის ფუხარა, სანამ სახელმწიფო ხარჯს არ გადაიხდისო და თქვენც ამისთანა დღე დაგადგებოთ ხეალ და ზეგათ. აქაურმა წინა კაცები თუ მოინდომებენ, ამათ შეუძლიან საწყალი ხალხი გააჩუმონ და შეაგონონ, რომ არსად არ იჩივლონ ამის გამო, რადგანაც ამისთანა უსახელო საჩივარს თითქმის ყურადღებას არაფერს მიაქცევს. მაგრამ მაგარიც ის არის და სამწუხაროც, რომ ესენი უფრო აქეზებენ ფუხარას და ეუბნებიან, ჩვენ მოგვეცით სამზაურო ფული, წავალთ ქუთაისში, ტფილისში და იქიდან მოვიტანთ ბრძანებას, რომ ტყის მცველები არ იყვნენ. რააკვირდელია, საწყალი სოფელებიც ამათ უჯერებენ და უარს ვერ ეტყვიან თავიანთ წინა კაცებს, მართალი ჰქონიათ იმათი დაპირება, კრეფენ მოსახლეზედ 40-50 მანათამდის საგზაო ფულს, იჩივებენ თავიანთ საზოგადოებაში ერთს წინა კაცს, აძლევენ ამ ფულს და ჰგზავნიან ქუთაის-ტფილისში. იმანიც სიამოვნებით იღებენ ამ კარგს და სასარგებლო მოვალეობას, დიდის სიხარულით დადიან ამ ქალაქებში სხვისი წაშრომ-წაოფლარით და თრიალდე გროშიც კიბეში რჩებიან. გააყეთებენ რასმეს თუ არა ფუხარის სასარგებლოდ, ამისთვის ბევრად თავს არ იწყნებენ. როგორც გაიფიქრო, რამდენსამე საზოგადოებას კიდეც შეუწყვეიათ საგზაო ფულები და გაუგზავნიათ ვეჩილები უშაღლეს მთავრობასთან, ტყის მცველი არ გვინდო. ბევრჯერ უთხრია იმისთანა შემთხვევა აქაურობაში, რომ იმისთანა ვეჩილებს ბლომად აღდიათ ფუხარისაგან ფული, არაფერი გაუკეთებიათ და მერე ცემა-ტყეებით დამთავრებულა საქმე. საუბერებელია, რომ იმისთანა არა სასიამოვნო ცემა-ტყეების მოწამე ახლაც გავხდებით, თუ რომ საწყალი ხალხი კიდევ მოატყუეს.

უსათუოდ ამისთანა წინა-კაცების მოწყალებას უნდა მივიწეროს, რომ თითქმის დაცარილებულია ეს ქვეყანა და მესამედი ნაწილი არ დარჩენილა იმისი, რაც ოსმალეთის ღროს ყოფილა აქ. როდის იქნება ის ბედნიერი დღე ხალხსათვის, რომ ამისთანა ვეჩილებს თავიდან მოიშორებდნენ. იქნება მაშინ დაწყნარდეს და გულ-დადებით მოუაროს თავისს დედულ-მამულს.

საჭიროდ ერაცხათ ორიოდ სიტყვა ქალაქ ისმითის (ოსმალეთშია) შესახებაც ვსთქვით. ეს ამბავი გვიამბო ამ ერთის კვირის წინათ იქიდან მოსულმა, რომელიც გადასახლებულია აქედან ამ ექვსის წლის წინათ. გავიგე, რომ ისმითიდან მოსულა ერთი მუშაჯირი თავისის ხისიშებისა და მეზობლების სანახავად (უფრო თითო და ორი-ოთხი ჰქონასთლის მოსაქრებად). გავზავნე კაცი და მოვყვანიე, რადგან მანდოდა ისმითის მუშაჯირების ამბავი მკითხნა, უფრო იმიტომ, რომ ვიცოდი ამ ჩვენის ხეობის მუშაჯირები იქ იყვნენ დასახლებულნი. საღამის ნიცებისა და ართმევის შემდეგ, ჩემს სტუმარს მოართვეს ონჯანით ყავა, ჩვეულებისამებრ უშაქროდ. ჯერ გვითხე სტუმარს, სტამბოლის მიწის-ძვრისა და ზარალის ამბავი, მერე მოვეცით მუსაფთს მუშაჯირების შესახებ. მიახრა, რომ მუშაჯირები ისმითში უფრო მდიდრად არიან, ვიდრე ღარიბად, მაგრამ იმის ლაპარაკიდან სიანს, რომ მატყუებდა. მაგრამ სასიამოვნოდ მხოლოდ ისღა მქონდა, იმისთანა წმინდა ქართული ენით მელაპარაკებოდა ამ ამბავს, რომ აღამაის გაკვრევებაში მოეყვანდა და ეერ შეამჩნევდით, თუ ისმოიდან იყო მოსული. მერე გვითხე რათ ეძახიან ისმითს მერტ სახელად გაიურ-ისმითის მეოქი. მიპასუხა, იმისთვის, რომ აქედან გადასული მუშაჯირები იქ დასახლდნენ და იმათი შინაური ენა ქართული იყო; ამის გამო იქაურმა თურქებმა ჩვენ ხალხს გაიურის დააქმესო. მის შემდეგ ისმითსაც დერქვა მერტ სახელად გაიურ-ისმითიო. თუმცა ჩვენებს მკუთრ თურქებთან ბევრჯერ ჰქონიათ ამის გამო ჩხუბი და ცემა-ტყევა, მაგრამ მაინც ვერ შევიძელით იმათგან გაიურის ქახილის თავიდან აშორებაო. ახლა ცოტა მოგვეჩ-



გვინს, თორემ გზაზე ისე ვერ გავივლიდით, რომ არ ეთქვათ ოურბების ბაღნებს: გე-
 აურები მოდიან, დამალეთო. დამაჯერა და დასაჯერებელიც არის, რომ ზღაპრულად
 გადასასლესულან მახაჯირები, მას აქეთა ისმითს დარქმევია მეტსახელად გააურ-ისმე-
 თი ღი ესენიც ამდენად მისწევნიან, რომ ძალიან ხშირად შეგვდგებოთ და ვაიგონებთ
 გააურისმითის სახელს. აქედგან ადგოვალ მიხედვებით, საწყალი ხალხი რა საცოდისა-
 ბაშა ჩავარდნაო, ამ აღაფიენდების გადამკიდე, რომელნიც იქ ურჩევნ ვადასახლე-
 ბას, ხადაც თითქმის ნახევარი შემშლით იხიციება და, ამას გარდა ყოველს ნაბიჯზედ
 გააურებს ეძახიან.

08. ჯანინი.

„ივერია“, № 219, 1894 წ. 15 ოქტომბერი

გურია და ზოგიერთი ძველი და ახალი ჩვეულება გურულებისა.

სოფ. ბაგში არის ახლად დამთავრებული მშენებრი და დიდი ეკლესია, ღვთის
 შობის სახელობაზე აგებული. ამ ეკლესიის დღეობა მოდის 8 სექტემბერს. ამ ეკ-
 ლესიის აგებაში, როგორც სხვა მრავალ საქველმოქმედო საქმეში, დიდი ამაგი შეუძღვის
 ყოველად აწმღღელო ვაბრიელს, რადგანაც თვითონ ამ სოფლის შვილი ბრძანდება.
 მწიფად რომ საქართველოში ამისთანა ახალი სამშენი ეკლესია მოიპოვებოდეს სადმე,
 თუმცა დღეობას წინა დღეებში წვიმიანი დარები იყო და ძალიან ხელი შეუშალა შო-
 რიდან მომავლელ შლოცელებს, მაინც რაკი იმ დღეს კაც დარი იყო, დიდმა საზოგა-
 დოებამ მოიყარა თავი, ასე რომ ეკლესია და ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით. ამ
 ეკლესიის დღეობის წინა ღამეს იციან ღამის თევზა, დიდ-ძალი კაცი და ქალბი იყრის
 თავს ღამის სათევალად ყოველ კუთხიდან, მაგრამ როგორც მოიხრებს, ქალები თითქმის
 ნახევარზედ მეტი ღვთისმშველები მოდიან 30-40 ვერსტის მანძილიდან შესაწირავის
 მოსართმევად და სალოცავად, როგორც ეტყობა, ამ სოფარიდან ფენაშეგვლა ქალებ-
 ბის მოსვლია მიზეზი უნდა იყვნენ მკითხავ-მარჩიელები, რომელნიც თურნე კარგად
 ბლომად მოიპოვებინა გურაში და დიდი გავლენაც აქვთ მუდამა ხალხზედ; იმათის
 მეოხებით უნდა იყოს, რომ ამ სოფარიდან თითქმის ეტეხე გასასხლიანებული მო-
 დიან ღამის სათევად, რათა თავის წესი და რეგი შესრულონ მარჩიელის დარიგებით.

როგორც ყველგან მიღებულია, მეტადრე ჩვენ დასავლეთ საქართველოში, ამ
 დღეობაზედ დიდი სტუმრობა და ხარჯი იციან ბახველებმა. იმათი ნათესავ ნაცნობები
 იმ დღეს ყოველ მხრიდან იქ იყრიან თავს, რადგან იციან, რომ თუ იმ დღეს იქ არ
 დაესწარი, დაენდურება თავისი ნათესავი. რაც უნდა ღარიბი იყოს, მაინც ეს დღეობა
 ოცადგან დაწყებული ას მანათამდის უჯდება მოსასლეს. ამას იმიტომ ვიმბობ, რომ მე
 ამ დღეობას ვიყავი მიწვეული ა. მ. და მისი ძმა პ. მასარაძეებისას, სადაც ას სულზე
 მეტი იქნებოდა დიდა, თუ პატარი და სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 150 მანეთზედ
 მეტი ხარჯი მოუვადოდა. იმ დღეს ხოჯასაც რომ თავი დავანებოთ, ამტენის სტუმრის
 ამსახურს დიდი ჭაფა და ტანჯვა უნდება.

მეორე დღეობაზედ კი არა, უბრალოდ დროსაც რომ ესტუმროთ გურულს კაცს,
 თუ იმის საზღიდან კარგა ღვთისმად დაზარბომებული არ გაესტუმრა, სახლის ბა-
 ტონის გალანდღად ითვლება. რადგან ეს დღეობა დიდს ზარალს აძლევს ბახველებს.
 მის გამო როგორც მოიხრებს სარწმუნო კაცებმა, ქიქოძეებს, ამ დღეობის მოსპობა უნ-
 დასდეთ, რომ სოფლებებისათვის აწმორებისათ ამდენი ხარჯი, მაგრამ ამ სოფელთა
 რამდენისაზე ყრალბის შემდეგ უარი საქვებს ამ დღეობის გაუქმებაზედ. მართალია
 დიდ სარგებლობას მოუტანდა თავიდან აწმორებისათ ეს დღეობა, მაგრამ რადგან
 ყველა ამის თანახმა არ გახდა, ამის გამო თანდათან უმატა სტუმრობასაც და რაჯაგე-

თითქმის მთელი ზაფხული შეგვეთილსა და ქობულეთის ზღვის პირები გავსებულა ზღვაში მობანავე ქალებით, რომელთაც ორა და ზოგს სამი ქორთა ბაღნებზე დაუტოვებიათ ქმრებისათვის და ვითომ ავადმყოფები ღრთებას ატარებენ ზღვის სანაპიროს პირას. რაღაც ორა გროში აუღიათ აბრეშუმის ფასა და იმასაც ჰვლანგავენ და მოდიან შინ ხელცარიელები. მართალია, ზოგიერთ ქალს ექიმები არც-კი უნახავს და ერთი მეორის მიბაძვით მოუხდებიათ თუ აწყენთ, იმას აღარ კითხულობენ. გარდა ამისა, რომ ქობულეთში რკინის გზათა-კი ბევრნი მოდიან, იმისთანა დღე არ იქნება, რომ სამი და ოთხი ურემი სავსე ქალები არ წახოთ როგორც აქ, ისე შეგვეთილში, თუმცა ზოგიერთნი სამის და ოთხის ბანათობის შემდეგ მართლაც კარგა ხდებიან, მაგრამ სირცხვილად მიიჩნიათ, რომ ერთი კვარა მაინც არ გაატარონ ბანათობასა და ცეცვათიანში. ამისთანა ზაფხულის დღეებში, სადაც ერთი მუშა კაცი მანათი ღირს და რადგანაც მთელის წლის სარჩოა მოსაქრეფა, იქ ბაღნების მოვლას უნდება და ქარანხული-კი ისე უპატრონოდ არის მიტოვებული და მომვლელი არა ჰყავს.

ამის გარდა, შარშან და წელსაც დიდი ძალი ზალხი მიდის „ბახმაროს“ მთაზედ, სადაც კარგა ბლომად გაუკეთებიათ საზაფხულო სადგომები. როგორც ამბობენ, ეს მთი ზღვაზედ უარესად არ უხდება ქალებს და ბევრს მათგანს ზღვისთვის თავი დღენებზეა და ახლა იქითგან უფრო მიეშურებაან, საეჭვო არ არის, რომ მთის ჰაერი უფრო ღონიერია და დიდხანს არცგანს აღაშინებს ზაფხულობით იქ ცხოვრება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ზღვაზედ უფრო მომეტებული საზიანო არ იქნას სოფელელისათვის იქ უქმად დღეს და ღამის გატარება. მოგვცათ ლხენა, ჩვენი ქალებიც, რომ იმისთანა ჯაფას აკისრებდნენ და გასწევდნენ როგორც აჭარლების ქალები, მაშინ საზიანო კი არა, როგორც იტყვიან ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყევდა, აჭარელი ქალები იალაღში, როგორც მთისი ღადგება და მთები აფშინდებთ თოვლისაგან, მაშინვე საქონელს მისდევს და თითქმის ოქტომბრის დამლევამდის იქა ცხოვრობს და აკეთებს ერბო-კარაქს და ყველს. კაცმა თუ თევში ერთხელ მაინც არის მიაკითხა, ისიც დიდი წყალობაა, თუ არადა ერთის ბავშვის შემწვობით თითოეული იმათგანი ზაფხულობით რამდენისავე თუშის ერბო-ყველს აკეთებს და თითქმის ქმარ-შვილების ხარჯსა, სახელმწიფო გადასახადსა და ათას ნაირ სხვა გაჭირვებას ამით ისტუმრებს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ საქონლის მოშენებას არ მივსდევთ და თუნდა ვიყოლიოთ კიდევ, მაინც ჩვენი „ხანუშები“ იმისს მოვლისთვის თავს არ შეიწუხებენ და სირცხვილადაც მიიჩნიათ ზოლზე საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება.

ესლა მაინც იქნება ღმერთმა მოგვჩენდოსო, რადგან აჭარელი და გურული ქალები ზაფხულობით ერთად იყრიან თავს, ერთს იმავე მთაზედ დღიან და, ვინ იცის, იქნება იმათგან საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება ისწავლონ. საქონლის მოშენება-საც ხელს მოუწყობს ის უხვი მთა და ბარის საბალახოები, რომელიც გურიას აქვს და თითქმის სხვა ქვეყნის ხალხი იმათს საბალახოებს შეჰნატრას. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს ქალებსაც მივბაძოთ აჭარელ ქალებსათვის და ამით ოდნავ მაინც დახმარებოდნენ თავიანთ ქმრებს, რომელთაც ათასნაირს გარდისახადისა და გაჭირვებისაგან თავი მაღლა ვერ აუწევიათ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმეს ერთმა მოჰკიდოს ხელი და მერე სხვებიც იმას მიჰბაძავენ ისევე, როგორც ბანათობა მიჰბაძეს.

ივ. ჯანიანი.

„ივერია“, № 256, 1894 წ. დეკემბრის თვე.

სოფ. ბორჩხა (ჭირიხის ნეობა). ოქტომბერმა და ნოემბერმა მშვენიერი დარებით გაიარა, მაგრამ ამით ფუხარას არა ეშველა, რადგან მოსავლა ძალიან მცირე იყო.

[illegible]

0. 330350.

„ცერია“, № 269, 1894 წ. 20 დეკემბერი

სოფ. ბორჩხა (ქორთხის ხეობა), 24 ნოემბერი. ჩვენში საცირბოროტო საგანგზა არის, რომლის გამოსახობითაც ბაღის დიდს გაჭარბებაშია. თუ წინაჲ, ეიღრე ამ გზის შეკეთებას დაუწყებდნენ, იგი მგზავრობისათვის უსერბული იყო, ენდა როდესაც ყოთამდა სკდილობენ მას გათერთობასა და შესწორებას, უფრო უარეა ყოფაში ჩაყარდა, თორთაოროთ გაბდა და ალაგალაგ ტალახი იმ ზომამდეა, რომ ცხენი ყურე-ბამდე ეფლება. მაშინ როდესაც ამ გზის ნოაჭარადრე ათას თუხნობით ილუბს გზის შესაკეთებელ ფასს, ბაღის იძულებულია ასეთის გაჭირკვებით იმოგზაუროს. წარმოიდგინეთ იქანდის უბერბულია ეს გზა, რომ ყოველთვის ფოსტას გაელას ერთა ვარი-უშეე-ლებელი მოსდებს ჩოლზე, რადგანაც ცხენებს, თუმცა მცირე ტვირთიც მოაქვთ, მაინც ვერ დაუდწევათ თავი გზაში აზედილ ტალახისაგან. ნე მგონია დრო არის მოავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მოაქციოს და იჭარადარს თავისი მოვალეობა შესაბრ-ლებინოს. ჩვენ უტყუარია წყაროდგან ვიცით, რომ გზის შეკეთებისათვის იჭარას მე-სამედიც არ იხარჯება და საქმეს ისე უბრალოდ აფუტჩებენ იაფად დაჭერილას მუშე-ბით, რომელნიც, ფსის სამცირის ვაზო უფულოდ ეკიდებან თავის მოვალეობას. ადგილობრივი მცხოვრებთაგან არავის მიდის სამუშაოდ, რადგანაც 20-30 კაბიად ღღეში თავის ბოლ-მონის შეღეფას ძნელად თუ იკიარებს კაცი; ამის გამო გზაზედ განსაკუთ-რებით ოსმალთაგან მოსულთა თათრება და სომხები ჰმუშაობენ და იმათთვის რა იკ-ნურში მოსატანია ხალხის შევიწროება უგზოობის გამო? კარადარიც ყურადღებას არ აქცევს, რადგანაც სწის ინტერესს წხოლოდ ფული შეადგენს. არ ვიცი როდემდის გა-გრძელდება ასეთი ყოფა? ზამთარი ღდება და, მგონია, გზას თუ ესლავი არა ვიშე-ლეთ-რა ფოსტის ნოჭრატბა მალე შესწყდება.

Q. X.

„ივერია“, № 35, 1895 წ. 17 თებერვალი.

கருத்துக்களென்கொ

საფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა) არა უშველა-რა, ბოლო არ შეიღო სოფელშია დაშოშმინება-დაწყნარებას იმის შესახებ, რომ ტყეს მცველები არ გეშორია და ტყე როგორც აქამდე გვიმსარია, კიდევ ასე გვიმსარყეთო, თუცა იმ საქმას გამო რამდენჯერმე გაგზავნეს ანათ თავიანთი დეპუტატებიო, სადაც ეგრე იყო და ყარგა იყო ფეშქვარზე მიიღეს ფურტებადგან მოთავე ქვეშა, მაგრამ როგორცა სჩანს, ამათი საჩივარს ბიც მიიღეს ფურტებადგან მოთავე ქვეშა, მაგრამ როგორცა სჩანს, ამათი საჩივარს მოვალეობას. როგორც ზემოთაღ მოგასწენეთ, იმ დეპუტატებშია რამდენამე ასო მანეთი მიიღეს ფურტებადგან ამ დავის მოგვებისთვის და ზევრი იარეს ქუთაისსა და ტფილისს შუა, მაგრამ მაინც არა უშველა-რა. ყველა, ვისაც კი ვუღო შესტევა ამათზედ, დიდი თუ პატარა ურჩევს საწყალს ხალხს, რომ ამ დავას თავი დაანებონ მაგრამ როგორც ეტყვიო ამა, ისინი, ე. ი. დეპუტატებიო, მაშინვე არდაგნს ილქზე მიუთითებენ, სადაც იმისთანა ფუნხარა არ მოიპოვება თურმე, რომ თითოეულს ასიდან ჯუთახ მანათამდე ოქში არ ჰქონდეს ტყის მცველისაგან შედგენილი. ასე, რომ ეს მესამეთაო

ფუტბოლიდან ფუტბოლი იკრებდა დეპუტაციისაგან და ძლივს ამ ორას კვირის წინად მოათავეს მოკრება ფუტბოლის, ახლა როგორც ვაგიგეო, ეს დეპუტაციები ქუთაისში ირიან თავმოყრილი და იქიდან პეტერბურგს აბრებენ წასვლას.

როდესაც ეს დეპუტაციები გამოისტუმრეს, აჭარიდან თითქმის ერთი წლის წინ ვალზედ გააცილეს სოფლებმა და ეხვეწებოდნენ, საქმისთვის როგორმე ბოლო მოეღოთ. როგორც ვაგიგე სანდო წყაროდგან, თითოეულ დეპუტატს 300-400 მანათამდის აქვს მიღებული ამ მოგზაურობისათვის, ახლა არ ალღევენ თურმე იმათ პეტერბურგში წასვლის ნებას და პირიდან, აქვე გაურიგონ ფუტბოს საქმე. სწორედ მოგახსენოთ, დიდი სამადლო საქმე იქნება, რომ აქვე მოელის ბოლო ამ დღეს და ამითი ედრისოს ფუტბოს, რომ დეპუტაციისათვის მისაცემი ფული თავიდან აიცილოს, ამითი იმისთანა საწყლვებაც ურევინ, რომელთაც სახელმწიფო ხარჯის გაღმადის შეძლება არა აქვს და ამ გაუთავებელისა და ბოლომოუღებელის საჩივრისთვის ფულის გაღებაში ხომ წელში მოღუნა საწყალი ხალხი. ვისაც არ უყურებია ამ ფულების მოკრების დროს, ეს არ დაიჯერებს, თუ რა სასტიკად აგროვებენ ამ ფულებს. ეს ყველა ჰდება ღამით და ჩუმად. ვინც თავის დროზედ ვერ მისცემს ამ ფულებს, იმის სჯულისა და ქვეყნის მოღალატეთ კსთელიან. უნდა ჩაიბაროს ხსენებული ფული საქმის მოთავეთ. როგორ სიმაჩვენებაც ამ ფულების მოკრების დროს იჩენენ, თუ საქმის გაყვებაშიაც ასეთი სიმაჩვენებე გამოიჩინეს. მაშინ ფუტბოს ბედს ჰაღლი არ დაყვეს.

ამას, წინად აქ გარდაიცვალა ერთ-ერთი პატიოსანი და გაგებული კაცი იბრაიმი ალა კერაშიძე. ცნობებულს იბრაიმ კერაშიძეს დიდი სამსახური მიუძღოდა ჩვენა ჯარებთან წინაშე. როდესაც პირველად აქ ამოვიდოდა გურიის დრუჟინა სინორას დსა-კაველად, მოელი ჰანეთი აჯანყებული იყო და ჭოროხს გაღმა არ უშვებდნენ ჩვენს ჯარს, რადგან ლაზებს ჭოროხი ეგონათ სინორას. ამასთან, ლაზებს ჰქონდათ განდობილი ბორჩხელ მენაგეებისათვის, რომ ვინც რუსის ჯარს ჭოროხის გაღმა გაიყვანდა, იმას მოკვლას პირიდანდნენ და სახლის დაწვასაც. მაგრამ იბრაიმ კერაშიძემ მიუხედავად ამისა, ერთ ღამე მთელი გურიის დრუჟინა თავისი ნავით გაიყვანა და ამითი რამდენიმე ასი კაცი დაიხსნა ჭოროხისა და თოფის პირიდან. როდესაც გაიგეს ჰანებმა, რუსის ჯარი იბრაიმს გამოუყვანაო, ამისთანა დალატისათვის აკლებას უპირებდნენ, მაგრამ რაკი ჭოროხს გაღმა ჯარი გავიდა, ეს აჯანყებული ჰანებიც მალე დიფანტეს და ამითი დაიხსნეს იბრაიმი. იბრაიმ დიდი მოღვაწელი იყო ქართველებისა: აქ რომ დაეხმება ქართველი კაცი, დიდი იყო, თუ პატარა, ათი თუ ოცი, ყველას მასთან უნდოდა გაეთია ღამე და დიდად ნასიამოვნებს ისტუმრებდა თავის საყვარელს სტუმრებს. მასთან კერაშიძე უპირველეს მენაგედ (რეიზად) ითვლებოდა ჭოროხის ხეობაში: იმას რომ ზადალი არ ჰყავდა, ეს იმითი დამტკიცდა, რომ შარშან ართვინიდან ნავით რომ წამობრძანდა მეგვიდრე ცუხარეიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე, იბრაიმ იყო არჩეული იმათთვის, იმის ნავით წაბრძანდა აჭარის წყლამდის, რომლისთვისაც დიდი მიღლობა მიიღო ადგილობრივის ადმინისტრაციისაგან. სწორედ მოგახსენოთ დიდს დასაჯლისად უნდა ჩაითვალოს იმის ნაცნობ ქართველებისათვის ამისთანა კეთილის ქართველ-მაჰმადანის დაკარგვა.

0. ჯანაფი

„ივერია“, № 51, 1895 წ. 8 მარტი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა) — 3 მარტს. როგორც მოეხსენება „ივერიის“ მკითხველს საზოგადოებას, ს. ბორჩხა მდებარეობს ბათუმიდან 45 ვერსის მანძილზედ. თვითონ ბორჩხა კლდისაა გორაკზე ჭოროხის ნაპირას წარმოშობილი და მიწის მოსავალი სამეოფიო აქ არავის მოსდის, რადგან ქვიანი ნიადაგია: ქარნახული ზაფხულის სიტყვებისაგან იწყვის. მიუხედავად ამისა, მთელს ჭოროხის ხეობაში ბორჩხა უფრო

ზედგებულ და მდიდარ სოფლად ითვლება: ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აქ აკეთებენ თიხის ჭურჭელს, რომელსაც კარგ ფასად ჰყიდიან ბათუმში და ხან და ხან ზღვისპირა ბით ტრაპიზონშიაც-კი მიაქვთ ნაგებიით (როდესაც ზღვაზე კარგი ამინდია). რუსთა-თის მფლობელობის დროს ბორჩხაში 187 კომლი მოსახლე ითვლებოდა თურმე, დღეს — კი 22 მოსახლე; დანარჩენი ოსმალეთში გადასულა. უწინდელს დროს იმდენი მცხოვრებლები ირჩენდნენ თავს ამ ჭურჭლისა და აგურ-კრამიტის ფასით. რადგან აქაურ თიხიდან მშენებელი და მავარი გამოჰყავდათ ქველა ეს საჭირო მასალა. დღეს კი აქ კრამიტს არ აკეთებენ. რადგან უცხოეთიდან მოტანალი უფრო იაფად ჯდება ბათუმში, ვიდრე აქაური და მერე ამ საქმის მცოდნესაც აღარ დარჩენილან. გარდა ამ ხელობასა, ბორჩხელები, უპირველეს მენავეებათ ითვლებიან ჭობახის ხეობაში და ამითაც კარგა ბევრს ფულს იღებენ, (ახლაც ბევრა კარგა მენავეა). ამ გარემოებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ბორჩხის დაახლოებით ოთხი ხეობა კარგად დიდი სოფლები, სადაც 500-დის მოსახლე ითვლება ე. ი. მურღულისა, დევაკლისა, ჩხალისა და კელასკურისა, მთელი სამ-ოთხ ხეობის ქარნაჟული ბორჩხაში ისყიდება და აქედ-გან იგზავნება სხვა და სხვა ქვეყნებში. ამას გარდა ბათუმიდან წამოსული ვაჭრები აქ დგებიან და აქედგან ბორჩხელთა დახმარებით აკეთებენ საქმეს. ამ ხეობის მცხოვ-რებლებსაც, საქართვება თუ მოითხოვს, ბორჩხელები გაჰყვებიან ვაჭრებს სოფლიდან სოფლამდე, რომ არავინ არა აწყენინოს და საქონლით აღებამათ შემწეობა მისცეს. ამის გამო ესენი სმთაგან გვირაბის სასყიდელს იღებენ თავიანთის ჯაფის ფასად. ამის მეოხებით ბორჩხელს, ვინც-ც აქ დარჩენილან, უფრო მეტი ვაჭრობის შნო და უნა-რი ეტყობათ სხვა სოფლებთან შედარებით. ოცე წლის ზედაა ვერ ჰნახავ აქ იმის-თანას, რომელსაც აღესიდა მოკიდებულა შავი ზღვის ნაპირი ქალაქები არ დაეაროს და აქაური ცოფა-ცხოვრების ამნავი არ გაამბოთ. თუმცა ამ ზღვისპირის ქალაქების ურთიებისაგან ამით ბევრი ზიანი უნახავთ, მაგრამ მაინც სიამოვნებით იგონებენ იქაუ-რობას და როგორც ორსამის ნავს ხილს იშოვნის, მაშინვე იქით მოაქვს და ასაღებს.

ასეთის აღმზრდობის გამო მოთვრობას დაუარსებია 1879 წელს აქ „ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება“. მართლაც ამ პატარა სოფლიდან იმდენი შემოსავალი აქვს ამ განყოფილებას, რომ ხარჯიც ჭადრაკს და ხაზინასაც სარგებლობა პრჩება: მხო-ლოდ ერთი რამ არა-სასიამოვნო ნიჭი ჰქონდა ამ განყოფილებას, რომელსაც ჯაფისა და წვალბის გარდა, ხარჯიც ბლომად უნდებოდა დღემდის. ეს არასასიამოვნო მაზრე ის გახლავთ, რომ მკარე-რამ ნივთის გაგზავნა გდომებოდათ, აქ კი არ მიიღებდნენ თუ რომაულა ბეჭედი არ ექნებოდა გასაგზავნს ნივთს დასმული. ამ გვარად ნივთი ვერ ბათუმში უნდა ზაგეტანათ და ან ორჯოხის საბაჟოში (ორჯოხის საბაჟო-კი ართვინი-დან ორმოცს ვერსზეა აქედგან). როგორც მოგვხსენებთ, ამ სიშორეზედ წასვლა წამო-ხვალს დიდი ხარჯი და დღეების დაღამება ეკირებოდათ, რომელიც ფუხრისათვის დი-დად საგრძნობელია, ბათუმში რომ აქაურს ფუხარს ჩაეტანა ნივთი, იმას რომ ერთი „აბუტატი“ უნდოდა, რომ ესწავლებინა საბაჟოს გზა და საქმე გაერჩებინა. ამ ჯაფი-სთვის „აბუტატს“ რომ სასყიდელი დასჭირდებოდა, ასე ხომ მ მანეთად ღირებულის ნივთის გაგზავნისათვის 5-7 მანეთი მაინც უნდა დიეხარჯა და რამდენიმე დღეც დაე-ღამებინა.

ეს რომ სიძირალეს არ ერის მოკლებული, იმითი შეგვიძლიან დავაბუთოთ, რომ ამ სამის თვის წინათ სამხედრო გამომძიებელს ჩემსას სახელმწიფო ბეჭედი ღარჩა, რომლის გაგზავნისთვის თქვენმა უმორჩილესმა მონამ 6 მანეთი დავხარჯე კაცის გაგ-ზავნა-გამოგზავნის გარდა. მასთან ვის არა ვთხოვე ბათუმში, რომ შემწეობა მიეცათ ბეჭისათვის და ბეჭედი გაგზავნენებინათ. მაგრამ სამწუხაროდ ბათუმშიც კი, სანამ-დის საბაჟოს ბეჭედი არ ექნება გასაგზავნს ნივთს დასმული, მანამდის ფოსტა-ტელე-

გრაფის კახტორაში არ იღებენ. სწორედ საყვარელი იყო სახელმწიფო ბეჭედს, რომ ბეჭედით შემოწმება ეკარგებოდა მაშინ როდესაც ზედზე იყო გამოტვირთილი თუ რა იყო. ან ვის ეკუთვნოდა გასაგზავნი ბეჭედი. ეს სწორედ ძველის ძველი პორტო-ფრანკის ადათი, რომელმაც თავისი დრო უკვე მოჰყვა და განსვენა, იქ-იქ აქამდის არ დაუ-გარბიათ. ჩემის ფიქრით ამ უხერხულობის თავიდან აცილებით მართლაც დიდს ჯაფას აშორებდნენ, როგორც ბათუმელებს აგრეთვე სოფლელებს. ახლა-კი ჩვენდა სასიამოვნოდ ჩვენმა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა უფ. ვასაძემ იშუამდგომლა, სადაც ჯერ იყო, რომ ყოველივე ნივთი მიეღო საბაჟოს უბეჭდოთ და ნებართვაც მოუვიდა.

0. ჯანიასი.

„ივერია“, № 88, 1895 წ. 22 მარტი

სოფ. ბორჩხა. — ჩვენსკენ საშინლად მძინვარებს ყვავილი და ყელ-ჭირვება და დიდი ზარალიც მოაქვს. მხოლოდ ისიც-კი უნდა მოვახსენოთ, რომ ერთი სამწუხარო და არა სასიამოვნო ადათი აქვთ აქაურს ქართველ მაჰმადიანებს, დიდი იყოს თუ პატარა; რაც უნდა სენი გაჩნდეს სოფელში, კაცის თუ საქონლის, არ შეიძლება თავისი დროზედ შეატყობინონ, სადაც ჯერ არს და დროზედ წავსვლოს, ვისაც მოვალეობა არის, ამ სენის მოსასპობად. როგორც ეტყობათ და საქმიდანაც სჩანს, ესენი ძალიან გულ-გატეხილები არიან ექიმ-ფერშლეზზედ და ნდობის თვალთ არ უქუქებიათ. ამისთანა გულ-გატეხილობა ექიმებზედ და ფერშლეზზედ უნდა მიეწეროს იმას, რომ შარშან ორივე ოქტის ფერშლეზმა დაიარეს სოფლები და ბავშვებს ყვავილი აუტერეს. თითო-ეულ ბავშვის თავზედ თითო აბაზიც ჩაჯიბეს. თითო აბაზს ჩვენი ქირი წაუღია, ვინ ღირებდა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თურმე ბოლოს შემოკლებიდათ ყვავილის ჩირქი და ამ აბაზების ზაორისათვის უხაზეს ბავშვებს კლავები და ტყუილად აღინეს სისხლი. ამ წაირად, ვინც იღბლიანი იყო და წინ-და-წინ აუტერეს, მნათ მართლა არ დაჰმართვიათ ყვავილი, ვისაც კი ბოლოს მოუწია, იმათში ერთაც არ გადარჩენილა, რომ არ ღამართოდეს, და ბევრიც იმსხვერპლა. აი, ამისთანა კაცების მეოხებითაა, რომ ჩვე-მათთან არასასიამოვნო შემთხვევის თავიდან აშორებისათვის ძალიან კარგს იზავდა ადგილობრივი ადმინისტრაცია დაავალბდეს მუხთრებს, თუ ვინაცობა ამისთანა სენმა იჩინა თავი სოფელში, მაშინვე აცნობონ მთავრობას, რომ იმან თავის დროზედ მიაშველოს ექიმი და ფერშალიცა. მაშინ საეჭვო არ არის, რომ აქაური ფუხრის ბაღნებს, ბევრს დაიხსნიდნენ საცვდილის ხელიდან. ეს ხომ ჯაფას არ თხოულობს არაგის-გან და დიდი სამამულო საქმეც იქნებოდა ყველასათვის. დეუსკელის ხეობაში სამი სამამასახლისოა და ოჯახს ვერ იშოვით ამისთანას, სადაც 1-3 ბაღანა არ დაჰკლებოდეს ყვავილით, თუ კისკრით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ არც ერთს მუხთარს ამ სენის შესახებ ერთი მოზსენებაც არ გაუგზავნია თავის უფროსთან მთელი ზამთრის განმავლობაში. ეს რომ ასე არ იყოს, არ შეიძლებოდა მთავრობას ექიმი არ გამოგზავნა. ესეც ხომ დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა ფუხრისთვის.

03. ჯანიასი

„ივერია“, № 113, 1895 წ. 2 ივნისი.

კორეპონდენცია

სოფ. ბორჩხა, (ჭოროხის ხეობა). თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან გვესმის, რომ ამა და ამ სოფელში სკოლა დაარსდა, ამა და ამ სოფელში სამკითხველო გახსნესო და სხვა... ამ მხრივ ჭოროხის ხეობა უკან არის ჩამორჩენილი. ჩვენ არ მოვგებოვე-

ბა არც ხეოლა არც სხვა რამ გონების გასაწვრთნელს, თუმცა იმდენი შეიძლება მოგვეპოვეთ, რომ შეგვიძლიან გავხსნათ სკოლაც და სამკითხველოც, მაგრამ თუკი ჩვენს არც ერთი გვაქვს და არც მეორე, ეს იმის ბრალია, რომ ფუხარებს არ გვსძლევს განათლების მნიშვნელობა. ამის შეგნებას დიდად ხელს უშლიან მოლა-ხოვები. მაგრამ, საკვირველია, ჩვენი ალა-ბეგების ხელგაუწერებლობა ამ საქმეს. ისინი ფუხარების ყველა საქმეს უძღვებიან, ყველაფერში მოთავენი არიან და რატომ ამ ფრიალ კეთილ საქმისათვისაც არ იზრუნებენ. მათ თვით კარგად ესმით, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს წერა-კითხვის გავრცელებამ მდებრი ხალხს; მაშ რად არ ჩაავსებენ მას, რათ არ მისცემენ მათ მაგალითს, მათ უმეტეს რომ, როგორც გავიგეთ, მთავრობას მოუტურგებია გახსნა ჩვენში რამდენიმე სკოლა.

ვარწმუნებ ამ შეგნებულ პირს, რომ საჭიროა მათი მაგალითი უჩვენონ ფუხარებს და ისინი თავისს წვლილს არ დაზოგავენ ამ სასარგებლო საქმისათვის.

(ი. ჯაიანი).

„ივერია“, № 127, 1888 წ. 15 ივნისი

სოფ. ბორჩხა, (ჭოროხის ხეობა). ამ ერთის კვირის წიხად აქაურ ქართველთა მამადიანების ყურბან ბაირამი იყო, მაგრამ აქამდის აქ მოღებეს ვერ მოუხერხებიათ, რომ ეს საერო დღესასწაული მაჰმადიანთა ერისა და იმავე დროს იუქმონ. დროს აღრიცხვის უცოდინარობისა და კალენდრის უქონლობის გამო ბაირამს სხვადასხვა დროს დღესასწაულებზე ხლდებ. ამითი, რასაკვირველია, ხალხი ბრკალდება. საჭირო იყო, რომ ყოველგან, სადაც მოღები არიან, თითო კალენდარი მაინც იქონიონ; თუ სხვათრე არა, ამ წესით მაინც ეცოდინებათ საერთო დღესასწაული.

ამაწუხაროდ, შევნიშნოთ, რომ ამ ხეობაში ბაირამ დღეს არავითარი დროს გატარებია და თამაში არ იციან, როგორც ზედა და ქვედა აჭარაში. ამათში, როგორც დრო და ეამი მიდის, ისე პირება თურქე ძველთაგან დარჩენილი ცეცხლ-სიმღერა; აქ ვერსად გაიგონებთ იმისთანა სიმღერას, რომელიც ცოტათი მაინც ჰგავსდეს ჩვენებურს. აქაურები როგორც გამოვლიან ჯამეთგან, მიულოცავენ ერთმანეთს ბაირამს და მაშინვე სახლისკენ მიდიან სადალად. სადალის შემდეგ სამსა და ოთხს კაცს ვერ შეხვდებით თავმოყრის, რომ რაიმე სათამაშოებით შეიქცევიდნენ თავს, ზოგს სძინავს და ზოგად კიდევ მუშაობს.

აჭარაში-კი სულ სხვას ვხედავთ ამ დღეებში: აქ დილითგან სადამომდის ათას ხალხი სხვა-და-სხვა თავ-შესაქცევს რასმეს ნახავთ. რამოდენიმე სოფლის ყმაწვილები მოიყრიან თავს ერთ კარგს მიწოდორ ადგილზედ და აქ გამართავენ სხვა-და-სხვა გართულ-თათრულ თამაშს, მაგრამ იმათი სიმღერა თამაში გურულ სიმღერებზეთგან არ განიჭნება. მართლაც ამათ რომ მაშინ უყუროთ, თქვენი თავი აჭარაში კი არა, ჯარბანო მაში გეგონებთ. მხოლოდ ამათ განსხვავება მითი აქვს გურულებთან, რომ გურბანო ჭიდაობა არ იციან და აქ-კი დიდად მიღებულია. ხანდისხან ქვაბლიანიდან და მესხეთი-დგანაკი-კი გადმოჰყავთ მოჭიდავეები აჭარაში და მაშინ იმართება დიდი საინტერესო ჭიდაობა. მესხები აჭარლებს უძახიან ფიცხოვის საბოჭაულოში მცხოვრებლებს და აჭარლები და მესხები როდესაც ჭიდაობენ, არიქა ბეჭეობ, მესხმა არ გვაჯობოს და სირცხვილი არ გვაძოთ, გაიძახიან. თუმცა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ აჭარლებს ამ დროს დამარცხება, მაგრამ ჭიდაობაში თითქმის ყოველთვის მესხები იმარჯვებენ. აქ ერთი სასიამოვნო ისიც არის, რომ სადაც თამაშობაა გამართული, იქვე ახლოს გორაკზედ ქალებიც მოიყრიან თავს და იქადაგან სეირობენ. ამას გარდა ქალებითგან გაიგონებთ გურულ წგრილს ხმით სიმღერას, რომელსაც კარგად მღერიან და სასიამოვნო გასაგონიც გისლავთ.

ი. ჯაიანი.

ახალი სწობა შერიფ ხიმშიაშვილზე

შერიფ ხიმშიაშვილი იმ გამომჩენილ ქართველ პატრიოტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სამ საუკუნეს სამშობლოს მოწყვეტილ ქართული ოლქების დედასაქართველოსთან ერთიანობისათვის იბრძოდნენ. ამ ისტორიული აქტის განხორციელებით იგი გახდა რუსეთის არმიის პირველი გენერალი სამხრეთ საქართველოდან. ამ დიდ ქართველ მოღვაწეზე ხაქმაოდ ბევრი დაიწერა, განსაკუთრებით მას გვერდს ვერ აუვლიან მკვლევარები, ვინც აჭარის განთავისუფლებასა და დედასამშობლოსთან შეერთებაზე წერს, ამიტომ ყოველი ახალი ცნობა ამ პროგრესულ პიროვნებაზე ჩვენი ისტორიო-გრაფიისათვის მეტად საინტერესო და საყურადღებოა.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში, კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების № 403 ფონდში, დაცულია საქმე № 125, რომელიც მხოლოდ 2 ფურცელს მოიცავს.

პირველი ფურცლის ორივე გვერდი შეიცავს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ოფიციალურ წერილს, რომელშიც იგი ახალციხის ეკლესიის დეკანოზ გამყრელიძის ცნობის საფუძველზე ზემოთ აღნიშნული საზოგადოების საბჭოს 1886 წლის 2 ნოემბერს აუწყებს ვარძიას მონასტრის გამარცხვას და თან დასძენს, რომ მძარცველთა შეპყრობა შეუძლებელია, რადგან ისინი თურქეთიდან იყვნენ.

მეორე ფურცელიც ორივე გვერდზეა ნაწერი, უმისამართო, ხელმოუწერელი და დაუმთავრებელია. ჩვენი აზრით, ეს მცირე მოცულობის ნაწერი წინასწარი მონახაზია შემდგომი ოფიციალური მიმართვისა ან წერილისა, რომელიც რატომღაც დაუმთავრებელი დარჩენილა, რადგან შინაარსით ცხადი ხდება, რომ გაბრიელის ოფიციალური მიმართვა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებისადმი ქუთაისიდანაა გამოგზავნილი, შინაარსით ისიც გასაგები ხდება, რომ ეს უმისამართო, უთარილო და ხელმოუწერელი წერილი დაწერილია ახალციხეში და მას საერთო არაფერი აქვს დეკანოზ გამყრელიძის იმ წერილთან, რომლის საფუძველზე გაბრიელის მიმართვა დაიწერა, ამიტომ ისიც გაუგებარია, თუ როგორ მოხდა ეს ორი, შინაარსით ურთიერთსაწინააღმდეგო წერილი ერთ საქმეში. მოგვაქვს თვით წერილის შინაარსი:

„ვარძიას მონასტრის მძარცველები ღვთის წყალობით დააკავეს. აქაურმა მმართველობამ ენერგიული ზომები მიიღო დამნაშავეთა შესაპყრობად, მაგრამ ამ საქმეში არანაკლები დამსახურება მიუძღვის პოლკოვნიკ ალიბეგ აბაბეგოვს. ჩვენი თხოვნით აღნიშნული ფაქტის შესახებ მან წერილი მისწერა აჭარის მუდირს შერიფ ბეგს“ და

*შერაფ ბეგი ეკუთვნის თავად ხიმშიაშვილების საგვარეულოს, რომელიც ქართველ გავლენიან თავადებთან თდოთვე ნათესაურ ურთიერთობაში იყო. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა აჭარაში, არდაგანში, შავშეთსა და აზიური თურქეთის სხვა ბრძოლის ვიწროებში, რომლებიც ქართული ტომებითაა დასახლებული და საქართველოს ენაზღვრება. პაპამისი სელიმ-ფაშა ამ საუკუნის დასაწყისში ახალციხის საფაშოს განაგებდა, ხოლო მამა — ახმედ ფაშა, თავის მხრივ, ასევე უდიდესი გავლენით სარგებლობდა.

თან ამცნო, რომ ვარძიის მონასტრიდან გატაცებული ნივთების დიდი ნაწილი მისი იმპერატორის უმაღლესობის კავკასიის მეფის ნაცვლის მიერ იყო შეწირული. შერიფ ბეგმა საქმისადმი დიდი მონდომება და ერთგულება გამოამჟღავნა და დაჰმარაგვენი იპოვნა. ერთი მათგანი ახალციხეში ჩამოიყვანა, როგორც აქაური მკვიდრი, ხოლო 18 კაცი თურქეთში იმყოფება, ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებულია, ხოლო სხვები... ტრაპიზონის ფაშამ უნდა შეიპყროს.

შერიფ ბეგმა ყველა ამ ღანჯანაზეთა სია გადმოგვცა, სვით კი ახალციხეში სამ კვირას დარჩა. იგი ხაინტერესო პიროვნებაა, გარეგნობით მთლიანად კახელ თავადს გავს. ასაკით კი დაახლოებით 40 წლისაა. მას დიდი სურვილი აქვს მის უმაღლესობას კავკასიის მეფის ნაცვალს შეხვდეს. მან მითხრა, რომ გაზაფხულზე ბორჯომში ჩამოვა მისი უმაღლესობის იქ ყოფნის დროს. მას ძალიან უნდა, რომ შვილები გამნაწიაში აღზარდოს. თურქი ფაშები, თუმცა ბრძანებენ შერიფ ბეგის ჩვენთან ჩამოსვლის გამო, მაგრამ იგი ისეთი ვაჟკაცია, ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და არც ეშინია მათი.

შერიფ ბეგი ქართულად ისე ლაპარაკობს, როგორც გორის მცხოვრები, ჩემთან იგი ხშირად და ძლიერ დავმეგობრდით. ქართული წიგნები ვაჩუქე, რაც მან დიდი მადლიერებით მიიღო და მითხრა, რომ მისი ღებო ქართულად კითხულობენ.

გარწმუნებთ, რომ ვარძიის საქმის გამო შერიფ ბეგისა და სხვთა ხაზუქრებზე 20 მანეთზე მეტი დანახარჯი. მათ ოდითგანვე წესად აქვთ, რომ უნნიშვნელო ხაზუქარიც კი დიდი პატივისცემის ნიშნად მიიღონ, ხოლო თუ უყურადღებოდ შეხვდო, განაწყენებული დაგხვდებიან. რა უნდა ქნას აქაურმა დეკანოზმა თავისი სამასი მანეთი ხელფასით. ამ სახსრებით სხვასაც როგორღა აამოს“.

რითაა ეს წერილი ხაინტერესო, ან რა დახვეწა შეიძლება მისგან გავაყეთოთ. როგორც ვხედავთ, წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მის ბოლო ნაწილს, ხალაც სწერია, რომ „რა უნდა ქნას აქაურმა დეკანოზმა თავისი 300 მანეთი ხელფასით. ამ სახსრებით სხვასაც როგორღა აამოს“, — ცხადი ხდება, რომ მისი ავტორი ახალციხის დეკანოზი გამჟღავნებდა, რადგან თვით გაბრიელის ოფიციალურ წერილში ახალციხის ეკლესიის უფროსად ეს პიროვნება მოიხსენიება. წერილი იმიტია მნიშვნელოვანი, რომ იგი განეკუთვნება გასული საუკუნის 60-იან წლებს, ეს კი ის პერიოდია, როდესაც შერიფ-ბეგზე ძლიერ ძუნწი ცნობები გაგვარჩნია. 70-იანი წლებიდან კი ასეთები ბლომად მოგვებოვება.

ხელნაწერებიდან ჩანს, რომ შერიფ ხიმშიაშვილი ახალციხის ხშირი სტუმარი ყოფილა. ე. ი. მის ურთიერთობას საქართველოსთან გაცილებით ადრინდელი ისტორია აქვს, ვიდრე ეს ჩვენთვისაა ცნობილი, — ცხადი ხდება ისიც, რომ შერიფი ილევოდა ყოველდღე იმისათვის, რაც მის სამშობლოს ეტობოდა.

ჩვენთვის შ. ხიმშიაშვილის არც ოჯახის შემადგენლობა იყო ზუსტად ცნობილი. ამ საბუთიდან კი ჩანს, რომ მას ორი და ბყლია და თანაც ქართული წერა-კითხვა სცოდნიათ. შვილებიდან ცნობილია მხოლოდ მურად-ბეგი, წერილიდან ჩანს, რომ ისინი იყვნენ რამდენიმე და მამას სურდა მათი გიმნაზიაში აღზრდა.

საყურადღებოა ისიც, რომ შერიფ-ბეგს ჯერ კიდევ 60-იან წლებში სურდა მეფის ნაცვალთან შეხვედრა. ვფიქრობთ, რომ მას ეს აინტერესებდა არა უბრალოდ ცნობისმოყვარეობისათვის, არც სემინარიაში ბავშვების განწესებისათვის, რადგან ეს საკითხი გაცილებით დაბალ დონეზე გადაწყდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ შერიფ ხიმშია-

შვილს მეფის ნაცვალთან შეხვედრა უფრო სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით აინტერესებდა, თუნდაც მისი მხარის მომავალ ბელთან დაკავშირებით.

ასე რომ, ამ მცირე მოცულობის წერილში საკმაოდ ახალი და საინტერესო მასალა მოცემულია.

ესარგებლობთ შემთხვევით და უნდა ვაღიაროთ, რომ დროა, ამ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს და ხალხის საამაყო შვილს ძეგლი დაედგას ქ. ბათუმში რომელიმე მოედანზე.

ზაფხუმ მიგრალში,

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

გ ა ს უ ლ ო რ თ ვ ე შ ი

დაფუძნებული კომუნარმაცია

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის სხდომათა დარბაზში გამართა საქართველოს კულტურის საბჭოთა ფონდის აჭარის განყოფილების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელიც გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ.

საქართველოს კულტურის საბჭოთა ფონდის ამოცანებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კულტურის საბჭოთა ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თ. ბუაჩიძე.

სიტყვით გამოვიდნენ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი ა. ახვლედიანი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ბ. მახარაძე, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა აჭარის განყოფილების თავმჯდომარე ა. ჩხაიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

მომხსენებლმა და სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ახლადშექმნილი

კულტურის ფონდის განყოფილება აქტიურად უნდა ჩაებას ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების გააქტიურებაში, რათა თავისი წვლილი შეიტანოს მშრომელთა პატრიოტულ, ინტერნაციონალურ და ესთეტიკურ აღზრდაში, იზრუნოს კულტურული ცხოვრების შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, საზოგადოებაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისათვის.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კულტურის საბჭოთა ფონდის აჭარის განყოფილების გამგეობა და სარეგიონო კომისია.

გაიმართა ახლადარჩეული საქართველოს კულტურის საბჭოთა ფონდის აჭარის განყოფილების გამგეობის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი.

გამგეობამ საქართველოს კულტურის საბჭოთა ფონდის აჭარის განყოფილების თავმჯდომარედ აირჩია ა. ახვლედიანი, თავმჯდომარის მოადგილედ — გ. სურმანაძე, სარეგიონო კომისიის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ცანავა.

აჭარის მწერალთა ორგანიზაციის კლუბში შეხვედრა მოუწევს ქალაქ ბათუმის მოწინავე ქალებს. შეხვედრა გახსნა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ქ. ქათამაძემ.

შეკრებილთ მიესალმნენ და ნაწარმოებები წაიკითხეს პოეტებმა ქ. მთავამ, ც. ანთაძემ, უ. ხაჭიშვილმა, ჯ. ჭაყელმა, ე. დავითაძემ, ზ. ფირცხალაიშვილმა, ა. ხაბაშმა.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს აგრეთვე საქართველოს სახალხო არტისტმა ნ. საკანდელიძემ, ბათუმის პედაგოგიკის სტუდენტმა ნ. ტაყაიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ მწერალი რ. სურმანიძე და დოცენტი ი. ბიბილიაშვილი. ბათუმის № 6 საშუალო სკოლის მერეკლასიელებმა წარმოადგინეს "ვეფხისტყაოსნის" ცალკეული თავები. ნორჩმა დეკლამატორმა თ. თედორაძემ წაიკითხა ლადო ასათიანის ლექსები.

აჭარის პროფკავშირების საოლქო კულტურის სახლში მოეწყო პოეტ ქსენია მთავიას შემოქმედებითი საღამო, რომელიც გახსნა ლიტერატურული გაერთიანების წევრმა ნ. კუცაშ. მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ე. რუსეიშვილმა.

პოეტს მიესალმნენ პარტიის ფეტურანი აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. გელაშა, ბიბლიოთეკარი დ. ფაღვანელიშვილი. შემდეგ შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ დეკლამატორები ი. გოლიაძე, ი. ვადაჭკორაძე, ნ. და ფ. ქაშადაძეები, ნ. ბაოშანიშვილი, ნ. კვასტიანი, ხ. სამხონია, ე. ურუშაძე.

ქ. მთავიამ მადლობა გადაიხადა გულითადი შეხვედრისათვის.

სამშენიარო სმინა

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტურ კლუბში თბილისის შრო-

მის წითელი დროშის ორდენოსანმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბათუმის უ. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტმა და წიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და მენდელეევის სახელობის ხაყავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ მოაწვეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ნოლიაშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შეხავალი სიტყვით გახსნა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა დ. ბალაძემ.

ა. ნოლიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დ. ხანანაშვილი, დოცენტი ი. შამილაშვილი და სხვები.

სამეცნიერო სესიაზე მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი მ. გოგოლიშვილი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დ. ხაბუთაიშვილი, ქ. ბათუმის ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი რ. ქიქვაძე, პროფესორები: შ. ჭაჭაიძე, ა. გობორაძე, შ. ქეზაძე; აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე დოცენტი ე. ცივაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალმოდერნული ნაერთების ქიმიის კათედრის დოცენტი დ. ნაყაიძე, ანალიზური ქიმიის კათედრის დოცენტი შ. მიქაძე, ბათუმის პედაგოგიკის უმაღლესი ინსტიტუტის დირექტორი დისციპლინის კათედრის გამგე დოცენტი ს. ნიჟარაძე.

„საგზოთა აპარატი“ განმოსტა

„ივერთა მიმე უამიანობის დროს მოულოდნელად მიიცვალა სამცხის ათაბაგი მანუჩარ მეორე. მეშვიდრეობა მისმა ძემ მარაზდის ომის გმირმა და სამშობლოსათვის თავდადებულმა გმირმა მანუჩარ მესამემ მიიღო. მაგრამ ქართველობიდან და ქრისტიანობიდან გადამდგარმა ლივანის მთავარმა ბეკა ჭაყუტაძემ 1828 წელს საწამლავით მოუღო ბოლო ძმისწულს, ღალატის ფასად ოსმალთაგან ორთუღიანი ფაშობა ერგო, სახელად საფარფაშა ღაირჩქვა, სამცხის ათაბაგად თავად დაჯდა და ოსმალთა ლაშქარს კლარჯეთი-საგენ გზა გაუხსნა. — ასე დაიწყო აჭარაში ოსმალთა სამახწლოვანი სისხლიანი ბატონობა“ გვითხულობთ ანოტაციაში, რომელიც ემენ დავითაძის ისტორიულ პოემას უძღვის. პოემის სახელწოდებაც — „ღალატი“ — იმაზე მოგვანთხნებს, რომ ჩვენს ავტორს წარსულში ღალატის ფასად დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა მიწამ.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვრულად გააფორმა ზ. ხაბაძემ.

საიუზილიო პრეზული

გამოვიდა კრებულის „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურული თანამგობრობის“ მეხუთე წიგნი. მას რუსულ ენაზე უშვებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ამ კრებულში იბეჭდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების ლიტერატურული ურთიერთკავშირისა და მხატვრული თარგმანის კათედრისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა ლიტერატურის კათედრის მავრ ჩატარებული ერთობლივი სიმპოზიუმების მასალები.

კრებულის მეხუთე წიგნი ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რე-

ვოლუციის 70-ე წლისთავს და შეიცავს შემდეგ თემატიკურ განყოფილებებს: „მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა“, „ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები“, „მხატვრული თარგმანის პრობლემები“.

წიგნის ბოლო განყოფილებაში მოთავსებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორის ხსენავლო დარგში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნური ვერძაძის გამოკვლევა „ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ უკრაინულ ენაზე“.

წიგნის განხილვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგია-ფსიქოლოგიის კათედრამ და პედაგოგიკის სამეცნიერო წრემ მოაწვევს პროფესორ ალექსანდრე გობრონიძის ნაშრომის „სკოლა გარდაქმნის გზაზე“ განხილვა.

მოსენება წაიკითხა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ჯ. დიასამიძემ. კამათში გამოვიდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა წიგნის ავტორი პროფესორი ა. გობრონიძე, მან უპასუხა გამოთქმულ შენიშვნებს და მადლობა გადაიხადა ნაშრომის განხილვისათვის.

„ტბამთი“ მოსკოვში

მოსკოვის შემოქმედებითი ასალგაზრდობის ხალაოზე „თქვენთვის. სტუდენტობა“, რომელიც ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა, წარმატებით გამოვიდა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის ქორეოგრაფიული კოლექტივი „ტბეთი“ (ხელმძღვანელი აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ჯ. ჩიჩუა).

აჭარის პროფსაბჭომ ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის დირექციისა და შემოქმედი და სტუდენტი ახალგაზრდობის სექციის საბჭოსაგან მადლობის ბარათი მიიღო.

„ტბეთი“ მოსკოვში იმყოფებოდა „რუსული ზამთრის“ ფესტივალის ფარგლებში მიმდინარე სტუდენტურ დღეებზე და გამოვიდა კავშირების სასახლის სვეტებიან დარბაზში, კინოს ცენტრალურ სახლში, კულტურის სასახლეებსა და საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ხასტუმრო „ორდიონოვის“ საკონცერტო დარბაზის სცენაზე. მოსკოველ მაყურებელს მოეწონა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „იანანა“, ქართული ხალხური ცეკვები, რომლებიც ოსტატურად შეასრულეს ბათუმელმა სტუდენტებმა.

„სბთაფლია“ ეწვიბ „გაზაფხულს“

ი. ქაევავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მეგობრობის ზეიმი. მასში მონაწილეობდნენ ქ. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო სკოლის მოსწავლეთა ანსამბლი „სათაფლია“ (ხელმძღვანე-

ლი ნ. გოგუაძე, ქორეოგრაფები ნ. ალა-ვიძე, თ. კოპალაძე) და ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან არსებული ბავშვთა ხელოვნების პირველი საკავშირო ფესტივალის ლაურეატი ქორეოგრაფიული ანსამბლი „გაზაფხული“ გოგონათა ვოკალურ ანსამბლ „ცოხიერთან“ ერთად (ხელმძღვანელები: — საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, აჭარის დამსახურებული არტისტი თ. ბეჟანიძე და აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. გრეკოვი).

კონცერტის პირველი განყოფილება ბათუმის მოსწავლეთა შემოქმედებას დაეძღვა, შემდეგ მაყურებელთა წინაშე წარსდგა ანსამბლი „სათაფლია“.

ბათუმელებს მიესალმა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო სკოლის დირექტორი ბ. მეღაძე. მან მადლიერების გრძნობით აღნიშნა ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექციის ღვაწლი ქუთაისელი და ბათუმელი ბავშვების დამეგობრების საქმეში, მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი შეხვედრისათვის.



ფან 40 ქმ.

6 234/130



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118